PRIME Time

N13 (263) ორშაბათი, 7 აპრილი, 2014 წ.

ყოველკვირეული გაზეთი · ფასი 2 ლარი · www.ptpress.ge

„Skytrax World Airport Awards“-ზე თბილისის საერთაშორისო აეროპორტი აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო აეროპორტად დასახელდა




## არაადამიანური მოპყრობის ფაქტები ციხეებში



## რა დარღვევებზე საუბრობს უჩა ნანუაშვილი?

EXCLUSIVE



EXCLUSIVE

# ალასანია ნატომძრაობის რეზერვის ოფიცერი

მინისტრის კრიმინალური წარსული და პოლიტიკური ავანტიურა

# SCANDAL



**ალანა გაგლოევა:** „მე არც ვალერი გელაშვილის ცემის ფაქტთან ვყოფილვარ რაიმე კავშირში და არც სხვა რამესთან. ჩემი სახელი და გვარი მაშინ ბევრ რამეს უკავშირდებოდა, მაგრამ არაფერი სიმართლე არ იყო“

EXCLUSIVE

**ვალერი გელაშვილი:** „არ მინდა კომენტარის გაკეთება გამწარებული ადამიანის საუბრებზე. გამწარებული ადამიანი რა სტატუსს დაწერს არც მაინტერესებს და არც პასუხს გავცემ“

## „ნავერტილე“ და პუტინის ფავორიტი ალიანსს ქმნიან





## რამდენი უჯდება ბურჯანაძეს კობა დავითაშვილი

EXCLUSIVE

## სასოფლო სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი დაიწყო



EXCLUSIVE

# EXCLUSIVE



# ალექსანდრე ჭიკაიძე მოსალოდნელ დესტაბილიზაციაზე საუბრობს

## ექსკლუზიური ინტერვიუ შს მინისტრთან

„არის ინფორმაციები, რომ დაიწყეს საბურავების ყიდვაც... მეტსაც გეტყვით, მათ ჩამოიყვანეს უკრაინიდან ევრომაიდანის აქტივისტები, ატარებენ ტრენინგებს და მოსამზადებელ სამუშაოებს... აქტიურად მუშაობენ იმაზე, როგორ გამოიყვანონ ხალხი ქუჩაში, მოხდეს არეულობა, შემდეგ ისევ მათმა ხალხმა ესროლოს ვინმეს და ეს დაჰბრალდეს ხელისუფლებას... ჯგუფები, რომლებიც ეცდებიან ქვეყანაში დესტაბილიზაციის მოხდენას, ხალხის ხოცვა-ჟლეტას, რათა ეს ყველაფერი მერე სახელმწიფოს დააბრალონ, უმკაცრესად დაისჯებიან... მათი მიზანი შეიძლება იყოს სახელმწიფო ინსტიტუტების დამხობა, ხელისუფლების შეცვლა...“




## „პრაიმტაიმი“ X Factor-ის კულისებში





## რატომ ელოდნენ ნაციების ერთ-ერთ ლიდერს ოპოზიციაში

გიორგი ვაშაძეს არასაპარლამენტოებთან კონსულტაციები ჰქონდა?



## რატომ ვერ ამოიცნო ლევან ბუხაიძემ ოლეგ მელნიკოვი?

## ორი გარდაცვლილი და ორი გატაცებული მოწმე... რატომ იტაცებენ მხოლოდ ახალაიების საქმის მოწმეებს? რატომ გაურბოდა დაცვას შალვა თათუხაშვილი?



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ექსკლუზიური ინტერვიუ შს მინისტრთან



exclusive

**„ის, ვინც შეეცდება დესტაბილიზაციის მოხდენას და კანონის დარღვევას, უმკაცრესად დაისჯება!“**

# ალექსანდრე ჭიკაიძე მოსალოდნელ დესტაბილიზაციაზე საუბრობს

**„არის ინფორმაციები, რომ დაიწყეს საბურავების ყიდვაც... მეტსაც გეტყვით, მათ ჩამოიყვანეს უკრაინიდან ევრომაიდანის აქტივისტები, ატარებენ ტრენინგებს და მოსამზადებელ სამუშაოებს.. აქტიურად მუშაობენ იმაზე, როგორ გამოიყვანონ ხალხი ქუჩაში, მოხდეს არეულობა, შემდეგ ისევ მათმა ხალხმა ესროლოს ვინმეს და ეს დაჰბრალდეს ხელისუფლებას... ეს კეთდება იმისთვის, რომ საკუთარი პოლიტიკური ინტერესები გაამყარონ“**

მირიან ბოქოლიშვილი

**„პრაიმტაიმის“ ექსკლუზიური ინტერვიუ შინაგან საქმეთა მინისტრთან საკმაოდ სკანდალურიც აღმოჩნდა... ჩვენთან საუბრისას ალექსანდრე ჭიკაიძე ქვეყანაში მოსალოდნელ დესტაბილიზაციაზე საუბრობს... რა ინფორმაციას ფლობს ქვეყნის პირველი პოლიციელი? ვინ და როდის გეგმავს მასობრივი გამოსვლების დაწყებას? რას ყვება თათუხაშვილის გახმაურებულ საქმეზე, დეპუტატ ნუგზარ წიკლაურზე თავდასხმის, ასევე ქურდულ სამყაროსთან და ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ? ამ და სხვა აქტუალურ თემებზე გთავაზობთ „პრაიმტაიმის“ ექსკლუზიურ ინტერვიუს შინაგან საქმეთა მინისტრ, ალექსანდრე ჭიკაიძესთან.**

**– პირველ რიგში მინდა გკითხოთ, რამდენად დეპოლიტიზებულია დღეს შინაგან საქმეთა სამინისტრო? მიუხედავად თქვენი მტკიცებისა, რომ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, ოპონენტები მაინც ირწმუნებიან, რომ მთელი რიგი საქმეები პოლიტიკურად მოტივირებულია...**

– ამ შენიშვნას ნამდვილად ვერ მივიღებ. ზოგადი საუბარი ერთია და მეორეა კონკრეტული ფაქტები. ფაქტი კი არის ის, რომ ჩვენ ამ ხნის განმავლობაში პოლიტიკური ნიშნით არავინ დაგვიკავებია, სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო. კანონის წინაშე ყველა თანაბარია, როგორც ჩვენი მომხრეები, ისე მოწინააღმდეგეები. მიზანშეუწონლად მიმაჩნია ამ თემებით სპეკულირება. არათუ დაკავება, თანამდებობაზე დანიშვნაც კი არ ხდება პოლიტიკური ნიშნით, შსს აღარავის დევნის პოლიტიკური ნიშნით და არ ასრულებს რომელიმე პოლიტიკური ძალის დაკვეთას. ჩვენ ვემსახურებით საქართველოს მოქალაქეებს და ვფიქრობ, წარმატებითაც.

**– ახლოვდება ადგილობრივი არჩევნები და საინტერესოა, რა ფორმით ჩაერთვება შსს ამ პროცესში? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ გასულ წლებში მუდმივად იყო ბრალდებები, თითქოს შსს-ს სხვადასხვა დანაყოფი, მთელი თავისი რესურსით, ჩართული იყო ნებისმიერი ტიპის საარჩევნო პროცესში...**

– პოლიცია გამოყენებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების დღეს მოხდება კანონდარღვევები, ინციდენტები... ჩვენ უზრუნველვყოფთ საარჩევნო გარემოს უსაფრთხოებას და ამის მაგალითი იყო წინა არჩევნებიც. არანაირი ჩარევა პოლიციის მხრიდან არ ყოფილა, ასე იქნება ადგილობრივი არჩევნების დროსაც. ყველა ადამიანს ექნება საკუთარი ნების თავისუფლად, უსაფრთხო გარემოში გამოხატვის შესაძლებლობა და ამის გამო მის დევნას არავინ დაიწყებს. სამწუხაროდ, ეს ასე არ ხდებოდა წინა წლებში. იგივე 2012 წლის არჩევნებზე, მთელი სამინისტრო, სახელმწიფო რესურსი ჩართული იყო იმ მიზნით, რომ მოქალაქეების თავისუფალი ნება შეზღუდულიყო.

**– „ნაციონალური მოძრაობა“ ხშირად აკეთებს მინიშნებას იმის თაობაზე, რომ შესაძლოა, საქართველოში განმეორდეს ევრომაიდანის მოვლენები... ხედავთ თუ არა ამის ალბათობას და როგორ იმოქმედებს პოლიცია უკრაინული სცენარის შემთხვევაში?**

– რაც უკრაინაში მოხდა, განაპირობა იმან, რომ იქ ხელისუფლებამ უარი თქვა დემოკრატიულ და ევროპულ ღირებულებებზე, რაც საქართველოში არ შეიმჩნევა, პირიქით, ივნისში ჩვენ ხელს ვაწერთ ასოცირების ხელშეკრულებას და ეს კიდევ უფრო დაგვაახლოებს ევროპასთან. რა მიზნითაც უკრაინაში ევრომაიდანი მოხდა, ჩვენთან ამის წინაპირობა ნამდვილად არ არის. წინა წლებთან შედარებით 200 და 300 პროცენტით მეტადაა დაცული ადამიანის უფლებები, მათი პირადი ცხოვრება, პოლიტიკური შეხედულებები და ა.შ. თუმცა არ დაგიმალავთ და გეტყვით, რომ არსებობს გარკვეული ინფორმაციები. როგორც იცით, ყოფილმა პრეზიდენტმაც გააჟღერა ევრომაიდანის იდეა და ამბობენ, რომ ეს თემა პარტიის შიგნითაც აქტიურად განიხილება. არის ინფორმაციები, რომ დაიწყეს საბურავების ყიდვაც.

**– ანუ თქვენ გინდათ თქვათ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ აქტიურად განიხილავს მასშტაბური გამოსვლების სცენარს და ამ მიზნით მოიმარაგეს საბურავები?**

– დიახ, არის ასეთი ინფორმაცია. მათ სურთ რაღაც ზონდერჯგუფების ჩამოყალიბება, შესაძლოა, მოახდინონ წარსულში კრიმინალთან და მრავალ დანაშაულებთან ასოცირებული პირების მობილიზება. არის ჯგუფები, რომლებიც შეეცდებიან, გამოიწვიონ ქვეყანაში აურზაური და ეს კეთდება იმისთვის, რომ საკუთარი პოლიტიკური ინტერესები გაამყარონ. მე მგონი, ამას თვითონ საზოგადოება არ დაუშვებს, რადგან დღეს ქვეყანა დგას სწორ გზაზე. მთავარი პრობლემა, რაც საქართველოს გააჩნია, არის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და მერწმუნეთ, საქართველოს მთავრობა, ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, აქტიურად მუშაობს ამ პრობლემის დაძლევის მიზნით. ოპონენტებს, რა თქმა უნდა, ექნებათ არეულობის მცდელობები, მაგრამ ეს არის მხოლოდ მათი სურვილი და ასეთ იდეებს რეალობაში განხორციელება არ უწერია. მეტსაც გეტყვით, მათ ჩამოიყვანეს უკრაინიდან ევრომაიდანის აქტივისტები, ატარებენ ტრენინგებს და მოსამზადებელ სამუშაოებს. ეს ინფორმაცია მედიაშიც მუსირებს. მათ საფარქვეშ ჰყავთ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც აქტიურად მუშაობენ იმაზე, როგორ გამოიყვანონ ხალხი ქუჩაში, მოხდეს არეულობა, შემდეგ ისევ მათმა ხალხმა ესროლოს ვინმეს და ეს დაჰბრალდეს ხელისუფლებას. იგეგმება, რომ გაშალონ კარვები, სადაც 300-400 კაცის მობილიზებას მოახდენენ. მე მჯერა, რომ ჩვენი ოპონენტები, თავადვე მიხვდებიან, რომ ეს არ არის ის გზა, რომელიც ქვეყანას, ან ნებისმიერ ჩვენგანს რაიმე სიკეთეს მოუტანს.

**– თუკი თქვენ საუბრობთ მოსალოდნელ სისხლისღვრაზე, რა პრევენციულ ღონისძიებებს ატარებთ იმისთვის, რომ ეს არ მოხდეს?**

– დღეს ჩვენ არ ვართ ის უწყება, რომელიც, სურვილებისა და იდეების გამო, რა გინდ მიუღებელიც არ უნდა იყოს ეს, დავიწყებთ დაჭერებს. მათ აქვთ საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა, მაგრამ ჯგუფები, რომლებიც შეეცდებიან ქვეყანაში დესტაბილიზაციის მოხდენას, ხალხისა და ოპონენტების ცემას, რათა ეს ყველაფერი მერე სახელმწიფოს დააბრალონ, უმკაცრესად დაისჯებიან! ჩვენ მაქსიმალურად შევეცდებით, არ დავუშვათ ქვეყანაში დესტაბილიზაცია და აღვკვეთოთ ყოველგვარი მსგავსი ქმედება. მათ, პირველ რიგში, საზოგადოება უპასუხებთ და გაცილებით მკაცრად. საქართველოში უკანასკნელი წლების განმავლობაში საკმაოდ ბევრი სისხლი დაიღვარა. ეს ხალხს აღარ სჭირდება, ხალხს სჭირდება სიმშვიდე და ნორმალური განვითარება.

გაგრძელება 4-5გვ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ექსკლუზიური ინტე

მე-3 გვ-დან

**– უკრაინაში ევრომაიდანის შედეგად იანუკოვიჩის მთავრობა დაემხო... ამ შემთხვევაშიც მიზანი იგივე იქნება, თუკი თქვენ უკრაინულ სცენარზე საუბრობთ?**

– მიზანი არის დესტაბილიზაცია, შეეცდებიან, ევროპელ პოლიტიკოსებს ცრუ ინფორმაციები მიაწოდონ და ამით გარკვეული წრეების მხარდაჭერა მოიპოვონ. მიზანი შეიძლება იყოს სახელმწიფო ინსტიტუტების დამხობა, ხელისუფლების შეცვლა და ა.შ. არის ინფორმაცია, რომ შესაძლოა, ეს სცენარი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ აამუშაონ, თუმცა არც ისაა გამორიცხული, გარკვეული ნიადაგი მანამდეც მოსინჯონ.

**– საკმაოდ სერიოზული განცხადებაა, მით უმეტეს, როცა ამაზე შინაგან საქმეთა მინისტრი საუბრობს, თუმცა არჩევნებამდე წინ გვაქვს 17 მაისი, რომელიც ერთგვარ ტესტად იქცევა როგორც საზოგადოებისთვის, ასევე თქვენი უწყებისთვის... გასული წლის გამოცდილებიდან გამომდინარე, რამდენად ადეკვატურად მოიქცევა პოლიცია, თუ იგივე ექსცესებს ექნება ადგილი?**

– პირველ რიგში, მოვუწოდებ საზოგადოებას, კანონს სცეს პატივი. ის, რაც გასულ წელს მოხდა, არ არის მისასალმებელი. უნდა გვესმოდეს, რომ ყველა ადამიანს, ნებისმიერ ჯგუფს აქვს საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება. არა მგონია, წელსაც დრამატულად განვითარდეს მოვლენები. ქართველი ხალხი არის ბრძენი, მას აქვს ანალიზის შესანიშნავი უნარი და დასკვნებსაც კარგად აკეთებს. აქედან გამომდინარე, რაიმე განსაკუთრებულ გართულებებს არ ველით, თუმცა ნებისმიერ სამართალდარღვევას პოლიცია ადეკვატურად უპასუხებს და იქნება შესაბამისი რეაგირება.

## „მაქვს ინფორმაცია, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები კვლავ ახორციელებენ ფარული ჩანაწერებით შანტაჟს“

**– რაც შეეხება ქვეყანაში არსებულ კრიმინოგენურ ვითარებას... ხშირად გსაყვედურობენ, რომ სტატისტიკის მიუხედავად, ქვეყანაში კრიმინალის დონე საგრძნობლად გაიზარდა...**

– საუბარი იმაზე, რომ ქვეყანაში კრიმინალური ვითარება დამძიმდა, არის აბსოლუტურად უსაფუძვლო და ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს დისკრედიტაციას. რაც არ უნდა კარგი გავაკეთოთ, ჩვენი ოპონენტები ცდილობენ სიტუაციის დამძიმებას და საზოგადოებაში არასწორი შეხედულების ჩამოყალიბებას. მინდა დაგარწმუნოთ, რომ ჩვენ ვაკონტროლებთ სიტუაციას და არაფერი საგანგაშო არ ხდება. კრიმინალი ყველა სახელმწიფოშია. თუ სახელმწიფო არსებობს, სამწუხაროდ, იქ ხდება კრიმინალიც, ეს თანამდევი პროცესია. მთავარია, მოხდეს მისი კონტროლი და მინიმალიზება. ამას ჩვენ წარმატებით ვახერხებთ და ყოველგვარი საუბარი, კრიმინალური ვითარების გაუარესებაზე, არის სპეკულაცია.

**– თქვენ წინა ხელისუფლების დროსაც ამავე სტრუქტურაში მუშაობდით და საინტერესოა იმდროინდელი სიტუაცია, კრიმინალის კუთხით, რამდენად განსხვავდება დღეს არსებულისგან?**

– დღეს საზოგადოება ინფორმირებულია თითქმის ყველა დანაშაულის შესახებ, რაც ქვეყანაში ხდება. იმიტომ რომ სამინისტრო არის გახსნილი და ჩვენი საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი ღიაა ნებისმიერი ინფორმაციისთვის. ჩვენ არ ვაწვდით საზოგადოებას ტყუილს და შეფუთულ ინფორმაციას. რაც შეეხება გასულ წლებს, მინდა გითხრათ, რომ უფრო მეტი დანაშაულიც ხდებოდა და უფრო მძიმე კატეგორიების, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ამ ინფორმაციების მიჩქმალვას. მაგალითად, ღამე რომ გადიოდა გადაცემა „პატრული“, იქ ქვეყნდებოდა სტატისტიკური ინფორმაციები, სადაც, მაგალითად, ეწერა, რომ დღის განმავლობაში ქვეყნის მასშტაბით მოხდა 3 ქურდობა. ეს მაშინ, როცა მე ვიყავი ერთ-ერთი დანაყოფის ხელმძღვანელი და მარტო მე მქონდა 20-მდე მსგავსი შემთხვევა აღრიცხული დღის განმავლობაში. დასკვნები თავად გააკეთეთ.

**– ბოლო პერიოდში თქვენი უწყება განსაკუთრებით აქტიურობს ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ... წამოიწყეთ სპეციალური კამპანიაც და ხორციელდება საკანონმდებლო ცვლილებები... რატომ გახდა ასეთი აქტიურობა საჭირო? რა საფრთხეები გამოიკვეთა ამ მიმართულებით?**

– იმიტომ, რომ ეს იყო სერიოზული პრობლემა წლების განმავლობაში. უამრავი ახალგაზრდა შეიწირა, ზოგადად, ნარკოტიკებმა. აფთიაქებიდან დაუბრკოლებლად ხდებოდა ისეთი პრეპარატების რეალიზება, რომლისგანაც მზადდება ე.წ. „კრაკადილი“ და სხვა მსგავსი ნივთიერებები. ამაზე დაწესებული იყო მხოლოდ ადმინისტრაციული სასჯელი. ჩემი გადაწყვეტილებით, მოხდა გამკაცრება. შესაბამისი ინიციატივა წარვუდგინე მთავრობას, რომელიც შემდგომ პარლამენტმა დაამტკიცა და დღეს რეცეპტის გარეშე ფსიქოტროპული მედიკამენტების გაცემა უკვე შეიზღუდა. თუ ვინმე ამას მაინც მოახდენს, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრება. ამან მოგვცა საკმაოდ დადებითი შედეგი, დაახლოებით 80-90 პროცენტით შემცირდა. სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ ეს მოვახერხეთ.

**– თუმცა არსებობს მეორე და არანაკლებ სერიოზული პრობლემა სინთეტიკური ნარკოტიკების სახით...**

– რაც შეეხება ე.წ. ბიოს, ის ძალიან მარტივად შემოედინება და არ არსებობდა არანაირი საკანონმდებლო ბაზა ამის აღსაკვეთად. იყო შემთხვევები, როცა ერთდროულად 8-10 კილო სინთეტიკური ნარკოტიკიც კი ამოგვიღია, თუმცა იმის გამო, რომ ეს არ იყო კრიმინალიზებული, ვერავის ვსჯიდით. ახლა ინიცირება მოხდა კანონპროექტის, რის მეშვეობითაც დარეგულირდება სინთეტიკური ნარკოტიკების შემოდინება, მისი რეალიზაცია და მოხმარება. უფრო მის შემოტანა-რეალიზაციაზეა გათვლა და არა იმდენად მოხმარებაზე... ეს ჩვეულებისამებრ დაექვემდებარება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. ზოგადად, ჩვენი სამინისტრო ძალიან აქტიურია ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ, ამის დასტურია უპრეცედენტო რაოდენობის ჰეროინის (116 კგ) ამოღება. ჩვენ არც ერთი წუთით არ ვაპირებთ მოვუყრუოთ ამ საკითხს.

**– საზოგადოებაში იყო მოლოდინი, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ნათელს მოჰფენდა გასულ წლებში საკმაოდ ბუნდოვან ვითარებაში გაუჩინარებული ადამიანების საქმეებს... შეგიძლიათ, გვითხრათ, რა ეტაპზეა ეს საქმეები?**

– გამოძიება მიმდინარეობს და დიდი იმედი მაქვს, უახლოეს ხანში გაიხსნება ეს დანაშაულები, თუმცა გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, წინასწარ ვერაფერს გეტყვით. ამას აქვს თავისი საიდუმლო საქმეები. გეტყვით, მხოლოდ იმას, რომ არის გარკვეული შედეგები.

**– ბოლო დღეების ერთ-ერთ გახმაურებულ საქმეზე მინდა გკით-**

**„განცხადება, რომ ისევ გვისმენენ, არის ტყუილი. ეს ადამიანები წინა წლებშიც აქ ცხოვრობდნენ, მაშინაც წარმოადგენდნენ არასამთავრობო ორგანიზაციებს, თუმცა მათი მხრიდან ასეთი აქტიურობა ფარულ მოსმენებთან და მიყურადებასთან დაკავშირებით, სამწუხაროდ, არ მახსოვს“**

**„ჯგუფები, რომლებიც ეცდებიან ქვეყანაში დესტაბილიზაციის მოხდენას, ხალხის ხოცვა-ჟლეტას, რათა ეს ყველაფერი მერე სახელმწიფოს დააბრალონ, უკაცრესად დაისჯებიან... მათი მიზანი შეიძლება იყოს სახელმწიფო ინსტიტუტების დამხობა, ხელისუფლების შეცვლა...“**



**„უსმენდნენ და იღებდნენ ყველასა და ყველაფერს, საკუთარ თანაგუნდელებსაც კი. ეს ადამიანები დღესაც არიან მათ პარტიაში, გამიკვირდა, რომ ასეთ კომპრომატებს ერთმანეთზეც კი აგროვებდნენ“...**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რვიუ შს მინისტრთან

## „რაც უკრაინაში მოხდა, განაპირობა იმან, რომ ხელისუფლებამ უარი თქვა დემოკრატიულ და ევროპულ ღირებულებებზე, რაც საქართველოში არ შეიმჩნევა“

exclusive

## „თათუხაშვილის გარდაცვალება არის თემა, რომელსაც ოპონენტები პოლიტიკური კამპანიისთვის იყენებენ“




**„დაიკითხა რამდენიმე თვითმხილველი, რომლებიც ამბობენ, რომ სამ კაცზე მეტი არ შეუნიშნავთ, ნუგზარ წიკლაური ამბობს, რომ ცხრა კაცი დაესხა თავს“...**

**ხოთ. მართალია, ეს უშუალოდ თქვენს უწყებას არ ეხება, მაგრამ მაინც საინტერესოა, რა აზრის ხართ თათუხაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით... ოჯახი და თქვენი ოპონენტებიც პროკურატურას ადანაშაულებენ...**

– თათუხაშვილის გარდაცვალება არის თემა, რომელსაც ოპონენტები პოლიტიკური კამპანიისთვის იყენებენ, რაც ძალიან სამწუხაროა. მე მოვისმინე პროკურატურის პოზიცია, რომელიც იყო გამყარებული მტკიცებულებებით. საზოგადოება რეალობას ხედავს და არა მგონია, საბოლოოდ ამ მიმართულებით კითხვები დარჩეს. თვითონ პროკურატურას არანაირად არ აძლევდა ხელს ამ ადამიანის გარდაცვალება. პროკურატურის დანაშაულს ამ საქმეში გამოვრიცხავ.

**– როგორ ფიქრობთ, მინიმუმ დაცვის პასუხისმგებლობის საკითხი მაინც თუ იკვეთება, რომელიც თათუხაშვილს პროკურატურის მიერ ჰყავდა დანიშნული და აღმოჩნდა, რომ გაექცათ... შეგახსენებთ, რომ ზურაბ ჟვანიას დაცვის წევრი მიხეილ ძაძამია დაკავებულია იმის გამო, რომ მან ვერ უზრუნველყო დასაცავი ობიექტის უსაფრთხოება და ვერ შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა...**

– შედარება არასწორია, რადგან ზურაბ ჟვანიას დაცვის უზრუნველყოფა იყო სავალდებულო პირადი მცველისთვის. თათუხაშვილის შემთხვევაში არ ყოფილა პირადი დაცვა, ეს იყო მოწმის დაცვის სამსახური, რომელზეც თუ თავად დასაცავმა ობიექტმა თქვა უარი, არანაირი უფლება არ გვაქვს, სავალდებულო დაცვა განვახორციელოთ მასზე. მოწმეს იძულების წესით ვერავინ დაიცავს. ჟვანიას შემთხვევაში კი დაცვას პირდაპირ ევალებოდა, ნებისმიერ შემთხვევაში დაეცვა ის.

**– დეპუტატ ნუგზარ წიკლაურის ცემის ფაქტთან დაკავშირებით თუ ხართ ინფორმირებული, რა ეტაპზეა ძიება?**

– გამოძიება დაიწყო 125-ე მუხლით, ცემის ფაქტზე. იძიებდა დიდუბე-ჩუღურეთის პროკურატურა, თუმცა რამდენადაც ვიცი, მათივე მოთხოვნით საქმე მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში გადავიდა. დაიკითხა რამდენიმე პიროვნება, თვითმხილველები, რომლებიც ამბობენ, რომ სამ კაცზე მეტი არ შეუნიშნავთ ამ ინციდენტის დროს. თავად ბატონი ნუგზარი ამბობს, რომ 9 კაცი დაესხა თავს, გამოიყენეს ელექტროშოკი და სცადეს გატაცება. ვნახოთ, გამოძიება დაადგენს, რეალურად რა მოხდა. არა აქვს მნიშვნელობა რაოდენობას, ვინც დააშავა, ნებისმიერი პიროვნება პასუხს აგებს კანონის შესაბამისად. ამ შემთხვევაშიც ხელისუფლების დადანაშაულება სრულიად გაუგებარია, არ მესმის, რაში აწყობდა ხელისუფლებას ოპოზიციონერი დეპუტატის ცემა? ზოგადად, „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ საზოგადოებაში არის აგრესია და ხშირად მიწევს მითითების მიცემა, რომ პოლიციამ მაქსიმალურად უზრუნველყოს მათი უსაფრთხოება მოქალაქეებისგან. ამისთვის პოლიციას მინდა მადლობა გადავუხადო, რადგან მათ ესმით, რომ თითოეული ადამიანი, პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად, არის ამ ქვეყნის მოქალაქე.

**– რამდენად აქტიურია შინაგან საქმეთა სამინისტრო ქურდულ სამყაროსთან წინააღმდეგ ბრძოლაში?**

– ქურდული სამყაროს წევრობის გამო ჩვენ პასუხისგებაში მივეცით არაერთი პირი. შსს მაქსიმალურად მობილიზებულია ამ დანაშაულის წინააღმდეგ და, ალბათ, თქვენს მკითხველსაც მოეხსენება, რომ ჩატარდა რამდენიმე სპეცოპერაციაც. აქვე მინდა შევეხო ე.წ. „მაზავშიკების“ თემას, რომელიც გარკვეულწილად ქურდულ სამყაროსთანაა დაკავშირებული, რადგან ხშირად ხდება ხოლმე რომ თანხის ამოღების მიზნით საქმეში ერთვებიან სწორედ კრიმინალური „ავტორიტეტები“. ჩვენ დავაკავეთ რამდენიმე პირი, როლებიც ე.წ. მაზებს აკეთებდნენ. შემდეგ ის პიროვნებები, რომლებიც თანხებს აგებდნენ. ისინი უმეტესწილად იძულებულნი ხდებოდნენ, სახლიდან ქონება გამოეტანათ. იყო შემთხვევები, როდესაც პირდაპირ სახლების გადაფორმება ხდებოდა. ამიტომ შსს-ს განსაკუთრებული კონტროლის ქვეშაა ეს დანაშაული, რადგან ამას თან სდევს მრავალი სხვა დანაშაულიც – ყაჩაღობა, ძარცვა ქურდობა და ა.შ.

**– არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილმა წამოიწყო კამპანია სახელწოდებით – „ისევ გვისმენენ“... მოდით, პირდაპირ გკითხავთ – გვისმენთ?**

– პირდაპირ გიპასუხებთ, რომ არა! ამას სრული პასუხისმგებლობით გეუბნებით. მიმდინარეობს კონსულტაციები სამართლებრივი ნორმების დახვეწის მიზნით. კარგია ამ ადამიანების აქტიურობა, თუმცა გარკვეულწილად ვიგრძენი, რომ ადგილი აქვს შსს-ს დისკრედიტაციას. განცხადება, რომ ისევ გვისმენენ, არის ტყუილი. სამწუხაროდ, ეს ადამიანები წინა წლებშიც აქ ცხოვრობდნენ, მაშინაც წარმოადგენდნენ არასამთავრობო ორგანიზაციებს, თუმცა მათი მხრიდან ასეთი აქტიურობა ფარულ მოსმენებთან და მიყურადებებთან დაკავშირებით, სამწუხაროდ, არ მახსოვს. როცა მათ ამის რეალური საფუძველი ჰქონდათ, ჩუმად იყვნენ, მე თავად გახლდით იმ კომისიის თავმჯდომარე, რომელმაც გაანადგურა პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული კადრები. პრაქტიკულად უსმენდნენ და იღებდნენ ყველას და ყველაფერს, საკუთარ თანაგუნდელებსაც კი. ეს ადამიანები დღესაც არიან მათ პარტიაში. გამიკვირდა, რომ ასეთ კომპრომატებს ერთმანეთზეც კი აგროვებდნენ.

**– მართალია ჩანაწერები განადგურდა, მაგრამ ხომ არ არსებობს მათი კვლავ გავრცელების საფრთხე? ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ ჩანაწერების ნაწილი გატანილია...**

– სამინისტროდან დისკის ან რაიმე ჩანაწერის გატანა სავსებით შესაძლებელი და მარტივი იყო. დისკი კი არა, ავტომანქანებს, უშველებელ ჯიპებს ვეძებთ, რომლებიც სამინისტროს ბალანსზე იყო და გაურკვეველია, სად წაიღეს. შემიძლია, გითხრათ, რომ სამინისტროდან დიდი ოდენობის მასალაა გატანილი და თუ ამას წარმოადგენენ, პასუხისმგებლობა არ დაეკისრებათ, ხოლო თუ ვინმე შანტაჟისა და საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენებს, ეს იქნება უმკაცრესად დასჯილი. მაქვს ინფორმაცია, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები კვლავ ახორციელებენ ფარული ჩანაწერებით შანტაჟს.

**– რას გულისხმობთ?**

– დაიბარეს რამდენიმე პიროვნება და ანახეს რაღაც ჩანაწერები, – აი, ჩვენ შენზე ეს გვაქვს და ჭკუით იყავიო. თუ ეს მართალია და დადასტურდა, ძალიან ცუდი. იმედს ვიტოვებ, რომ ინფორმაცია, რომელიც ჩვენ მოგვაწოდეს, სიმართლეს არ შეესაბამება.

**– დაბოლოს, მინდა გკითხოთ მთავრობაში მოსალოდნელ საკადრო ცვლილებებზე... შეგიძლიათ, გვითხრათ, რა მიმართულებით იგეგმება ცვლილებები?**

– ბატონი პრემიერი ამას მე არ შემითანხმებს. ეს გადაწყდება კონკრეტული შედეგებით. ჩემთვის ამ ეტაპზე არ არის ცნობილი, რომელ მინისტრს შეიძლება შეეხოს ცვლილება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ირაკლი ალასანიას კრიმინალური წა




ქეთი ხატიაშვილი

**ყოველთვის ამბიციური, პოლიტიკურად არასაიმედო, მხოლოდ საკუთარ თავზე ორიენტირებული და, უბრალოდ, სახიფათო – ასე შეიძლება მოკლედ ირაკლი ალასანიას დახასიათება. მთელი მისი ცხოვრება ერთი დიდი სკანდალია.**

90-იანი წლებში პოპულარული რომ ყოფილიყავი, ხელში იარაღი უნდა გჭეროდა, ჯიბეში „მხედრიონის“ ბილეთი გდებოდა და კრიმინალურ გარჩევებშიც უნდა მიგეღო მონაწილეობა. ანუ აგრესიული, დაუნდობელი და სასტიკიც უნდა ყოფილიყავი.



„მხედრიონის“ რიგები ასეთი „პოპულარული“ ბიჭებით სავსე იყო. სწორედ მაშინ იწყება ირაკლი ალასანიას პოპულარობაც.

„კულინართა საძმოს“ წევრობა, სამწუხაროდ, მის ანგარიშზე ყველა იმ შემზარავ კრიმინალურ ისტორიას აგროვებს, რომელიც ამ საძმოს უკავშირდება. და უკვე სულერთი ხდება, რომელიმე კრიმინალში – ძარცვა, ყაჩაღობა, მკვლელობა – მონაწილეობდა თუ არა ის უშუალოდ. ამ დაჯგუფების წევრობით ალასანიამ ეს პასუხისმგებლობა მთლიანად გაიზიარა. თუმცა მისი მისამართით კონკრეტული ბრალდებაც დღემდე ისმის. ალასანიას ღიად ადანაშაულებენ კუტუზოვის ქუჩაზე მცხოვრები ახალგაზრდა ბიჭის – რეხვიაშვილის მკვლელობაში. მოკლულის დედა ირწმუნება, რომ ამ მკვლელობის თვითმხილველები არიან.

90-იანი წლების პოლიტიკოსები ამტკიცებენ, რომ მაშინ ეს საქმე იგორ გიორგაძემ ჩაფარცხა და ახალგაზრდა ბიჭს ბიოგრაფია „გაუსუფთავა“, შემდეგ კი თავისთანაც წაიყვანა შეიარაღებულ ფორმირება „დელტაში“.

პირველად ალასანიას კონტრაბანდასთან მაშინ ექნებოდა შეხება. მაშინ ყველამ იცოდა, რომ უშიშროება სიგარეტისა და ნავთობის ბიზნესს კრიშავდა. შეიარაღებული „დელტა“ და „ომეგა“ კი ამ ტვირთების დაცვისთვისა და კონკურენტების ჩამოშორებისთვის სჭირდებოდა.

ალასანიამ სერიოზული გამოცდილება მიიღო ჯერ „კულინარებში“, სადაც მას კრიმინალთან ჰქონდა შეხება და შემდეგ უკვე უშიშროებაში, სადაც ის კონტრაბანდასთან ურთიერთობას აითვისებდა.

და არავინ იცის, სად გადაუხვევდა ირაკლი ალასანია, მისი მამის ტრაგიკული სიკვდილი რომ არა. ახლობლებმა ტრაგიკულად დაღუპული მეგობრის ხსოვნას პატივი სცეს და ალასანია ჯერ საჯაიას უწყებაში გადაიყვანეს, მისი სიკვდილის შემდეგ კი ის უკვე უშიშროების მინისტრის, ვალერი ხაბურძანიას მოადგილედ ინიშნება.

ეს შევარდნაძის პერიოდია. ალასანია პუტინის ფავორიტი მინისტრის მოადგილე ხდება. კრიმინალიც გავლილი აქვს და კონდრაბანდაც ნანახი. ალბათ, ამიტომაც, მას ვითარებასთან შეგუება არ უჭირს, არც პროტესტის გრძნობა აქვს და არც ვითარების შეცვლის სურვილი.

მაშინდელი მედია აქტიურად წერდა, პანკისის ხეობასა და იქ განვითარებული პროცესებზე. ეს პროცესები კი ყველას გვახსოვს – იარაღით უკანონო ვაჭრობა, ნარკოტრასა, ხალხის გატაცებები ფულის გამოძალვის გამო... მაშინ მედია წერდა, რომ ამ კრიმინალურ საქმეებში სწორედ ძალოვანი უწყებები მონაწილეობდნენ, ამიტომაც არც მაშინდელი შსს და არც უშიშროება ვითარების შესაცვლელად არაფერს აკეთებდა. ბევრ სხვა გვართან ერთად, ასახელებდნენ ვინმე გია დგებუაძეს,იგივე „მასტერას“, რომელიც ალასანიას დავალებებს უშუალოდ ასრულებდა.

შევარდნაძისდროინდელი მინისტრების მთავარი ფოკუსი გახლავთ ის, რომ მათი ხელფასი ხშირად 45 ლარსაც ვერ აღწევდა, სამაგიეროდ, ისინი ხელგაშლილად ცხოვრობდნენ, საუკეთესო მანქანები ჰყავდათ, კომფორტულ ფეშენებელურ სახლებს იშენებდნენ და საზღვარგარეთ მოპინგობდნენ.

პოლიტიკური კრიზისიც ამ ფონზე იჩენს თავს და ირაკლი ალასანია ხვდება, რომ მან შეიძლება დაკარგოს ყველაფერი. ამიტომაც, შს მინისტრის კობა ნარჩემაშვილისგან განსხვავებით, შევარდნაძეს ღალატობს და რევოლუციას უერთდება.

ერთხელ ის იგორ გიორგაძემ გადაარჩინა, მეორედ მამის მეგობრებმა, ასე რომ მას საკმარისი გამოცდილება აქვს იმისთვის, რომ იცოდეს, სად დადგეს, რომ გადარჩეს. ან იცის, ანდა იმდენად დამოკიდებული ხდება კომფორტზე, რომ მზად არის, მის შესანარჩუნებლად ყველა და ყველაფერი „გაყიდოს“.

ამიტომაც, შევარდნაძეს უშიშროება ღალატობს. და ახლა არა აქვს მნიშვნელობა, როგორი იყო შევარდნაძე, მთავარი ის არის, რომ არც ხაბურძანიას და არც ალასანიას რევოლუციამდე არანაირი დისკომფორტი არ უგრძნიათ, როგორც კი მათ პირად კომფორტს დაემუქრა პოლიტიკური პროცესი, მაშინვე შეუერთდნენ მას და გადარჩნენ.



# ტრაგიკული 90-
# სახიფათო პოლიტი

თუმცა, მიხეილ სააკაშვილი მეამიტი არასოდეს ყოფილა. ის კარგად ხვდებოდა, რა დროს და რა ინტერესების გამო გადაბარგდნენ მის გარემოცვაში ხაბურძანია და ალასანია. ამიტომაც, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ერთიც გააგდო სამსახურიდან და მეორეც.

ამბობენ, რომ მაშინ ალასანია ნინო ბურჯანაძემ გადაარჩინა. მაშინ მას ჯერ კიდევ ჰქონდა გავლენები, ამიტომაც ალასანია დიპლომატიის ხაზით გაააქტიურა. სააკაშვილი მას ყოველთვის უნდობლობას უცხადებდა. მას ღალატი შეუძლია და ჩვენც კრიზისულ ვითარებაში გვიღალატებსო, ამბობდა. ამიტომაც, ირაკლი ოქრუაშვილს მწვანე შუქი ჰქონდა ანთებული და შანსს არ უშვებდა ხელიდან, რომ ალასანიასთვის არ დაერტყა. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ თავდაცვის მაშინდელმა მინისტრმა ოქრუაშვილმა „გააძევა“ ის საქართველოდან, ანუ ალასანია იძულებული გახდა, დიპლომატიური სამსახური საზღვარგარეთ გაეგრძელებინა.

ღალატის გარდა, ნაციონალები დარწმუნებულები იყვნენ, რომ ალასანია რუსებთან კონტაქტს ინარჩუნებდა. ალბათ, ასეც იყო. ირაკლი ოქრუაშვილისა და ირაკლი ალასანიას დაპირისპირება, ეს მხოლოდ პიროვნული ხასიათის არ იყო. ის იგივე აფხაზეთისა და ცხინვალის მიმართულებით სწორედ იმ სამშვიდობო გეგმას ლობირებდა, რომელიც კრემლის ინტერესებში შედიოდა.

ალბათ, ეს ლოგიკურიც იყო. ირაკლის არასოდეს ჰქონია ურთიერთობა პროდასავლურ ძალებთან. ჯერ იგორ გიორგაძე იყო, შემდეგ ნუგზარ საჯაია, მერე უკვე პუტინის „ფავორიტი“ და ეს პუტინის ეპითეტია.

და თითქოს მოგვიანებით უკვე დიპლომატიური ხაზით ის შეეცადა პროდასავლელის იმიჯის მორგებას,








© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რსული და პოლიტიკური ავანტიურა



# იანი წლებიდან კურ თამაშებამდე



თეთრი სახლის წინაც რამდენჯერმე დადგა განცხადების გასაკეთებლად, თუმცა, რამდენიმე ხნის წინ მან მრჩევლად დანიშნა ხაბურძანიას ყოფილი მოადგილე, რუსების სპეცსამსახურებთან დაახლოებული პირი, დავით ბაზღაძე. ეს უკანასკნელი ბურჯანაძის ახლო გარემოცვის წევრია და ადრე ბურჯანაძესთან პარტიაშიც იყო.

თბილისში ალასანია მაშინ ჩნდება, როცა პოლიტიკური კრიზისი მწვავე ფაზაშია. როცა 2007 წლის მიტინგი დარბეული და დიპლომატი ლევან მიქელაძე გადამდგარია. დიპლომატიურ და საექსპერტო წრეებში მიქელაძე დიდი ავტორიტეტით გამოირჩეოდა. ოპოზიციაში პატარკაციშვილის შემდეგ ახალი ლიდერის დაბადების მოლოდინი გაჩნდა. სწორედ ლევან მიქელაძემ ჩაუყარა საფუძველი პარტია „თავისუფალი დემოკრატების" შექმნას.

თბილისში ახალი მოძრაობა იწყება და მაშინ 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომის შემდეგ ალასანია გაეროდან პროტესტის ნიშნად მოდის და ქართულ პროცესებში ერთვება.

ირაკლი ალასანიას მაშინდელი თანამებრძოლები მიიჩნევენ, რომ ყველაფერი ეს სააკაშვილის თამაში იყო. რომ ალასანიას დიდი ფული გადაუხადეს იმისთვის, რომ ჩამოსულიყო და პოლიტიკური პროცესები ხელში ჩაეგდო. ალასანიას ხელში მოხვედრილი ოპოზიციური პროცესის გაკონტროლებას კი საკაშვილის ხელისუფლება უფრო მარტივად მოახერხებდა. და ასეც მოხდა.

ირაკლი ალასანია „მართული ქაოსის" უპირობა ლიდერი ხდება. უპირობო, რადგანაც საეჭვო ვითარებაში კვდება ლევან მიქელაძე:

ლევან მიქელაძის ბინა იქურდება, თუმცა ბინიდან არაფერი მიაქვთ. რამდენიმე დღეში კი საკუთარ სახლში საეჭვო ვითარებაში ლევან მიქელაძეს გარდაცვლილს პოულობენ. ბინის ქურდს აკავებენ, თუმცა, ის უკვე ციხეში კვდება.

მისი გარდაცვალების ოფიციალური ვერსია ინფარქტი იყო. თუმცა არაოფიციალურად ექსპერტები ამ დიაგნოზს ეჭვქვეშ აყენებდნენ. მიზეზი – გულის კუნთი იყო სისხლისგან დაცლილი. მათი აზრით, სიკვდილი შეიძლება დამდგარიყო სპეციალური პრეპარატების გამოყენებით.

ასეა თუ ისე, მიქელაძე გარდაცვლილია, ალასანია კი მისი პოლიტიკური მემკვიდრე ხდება. ჯერ ალიანსი იქმნება და შემდეგ მოულოდნელად იშლება.

ირაკლი ალასანიას ამბიციებზე დიდხანს ეწყობოდნენ „ალიანსის" სუბიექტი პარტიები – ახლები და რესპუბლიკელები. პირად საუბრებში ისინი ადასტურებენ, რომ ალასანიამ მათ უღალატა და რომ ალიანსი სრულიად უსაფუძვლოდ დაიშალა, ისე, რომ რეალური მიზეზი დიდხანს ვერ გაიგეს.

შემდეგ კი გაუჩნდათ ეჭვი და ამის შესახებ ახლები პირად საუბრებში ამბობდნენ, რომ ის ხელისუფლებასთან, ანუ სააკაშვილთან თანამშრომლობდა. მიიღო დიდი ფული, „ალიანსის" პროექტი ჯერ შექმნა და ნაციონალებს ადგილობრივ არჩევნებში დაუპირისპირდა, შემდეგ კი დაშალა.

რატომ აირჩია სააკაშვილის ხელისუფლებამ მაინცდამაინც ალასანია? კონფრონტაცია მასთან თავიდანვე არსებობდა და ამიტომაც მისი ოპოზიციაში გადასვლა დიდად არც არავის გაუკვირდებოდა, თანაც, იცოდნენ, რომ ფულის გულისთვის ის ყველაფერს გააკეთებდა. ეს ყველაფერი კი, როგორც ისინი ამბობენ, ერთ მილიონად შეფასდა.

ლევან გაჩეჩილაძემ, როგორც პირად საუბრებში მაშინდელი „გაერთიანებული ოპოზიციის" წევრები ამბობენ, 2008 წელს მიტინგი დაშალა და სააკაშვილისგან ერთი მილიონი აიღო. მაშინდელი „ალიანსის" წევრებს ეჭვი აქვთ, რომ უკვე ალიანსის პროექტში ალასანიას ერთი მილიონი გადაუხადეს.

შემდეგ ალასანიამ „რვიანი" ჩაშალა. ყველაფერი რომ გეგმის მიხედვით წასულიყო, ახლა პარლამენტში ოპოზიცია ქრისტიან-დემოკრატები და ალასანიას პარტია იქნებოდნენ, 10-10 ადგილი უნდა რგებოდა თითოეულს. თუმცა, პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილი შემოდის და პოლიტიკური პროცესები რადიკალურად იცვლება.

იწყება ახალი ციკლი ალასანიას პოლიტიკურ ბიოგრაფიაში. ის ხვდება, რომ მილიარდერის გვერდით შეიძლება მოიწყოს კომფორტიც და დაიკმაყოფილოს ამბიციებიც. ამიტომაც, ის სრულად ერთვება ნაციონალების წინააღმდეგ კამპანიაში.

როგორც ჩანს, მას უკვე აღარც ბიძინა ივანიშვილი ენდობა. ყველანაირად ცდილობს მისი ამბიციების მოთოკვას და მაქსიმალურად დისტანცირებას უკეთებს მთავარი პოლიტიკური პროცესებისგან. შესაძლოა პრემიერი ივანიშვილი ფიქრობდა, რომ ალასანიას მისი კოალიციის დაშლაც შეეძლო შიგნიდან.

ალასანია არც სიფრთხილეს იჩენს და ბიზნესის გაკონტროლებას ლიად ცდილობს. ამ მიზნით ფინანსური პოლიციის უფროსად მისი ბავშვის ნათლიას, გიგა ახვლედიანს ნიშნავს. თუმცა, მას მალევე თანამდებობიდან ათავისუფლებენ, ღარიბაშვილი კი ფინანსურ პოლიციაში დიდი წმენდას ატარებს - ალასანიას ბიზნესის გაკონტროლების საშუალება არ მისცეს.

ალასანიას არ ედნობიან. ამიტომაც, ჯერ ვიცე-პრემიერობიდან გადააყენეს, შემდეგ არც პრემიერის პორტფელი ჩააბარეს და მოგვიანებით არც პრეზიდენტის არჩევნებში დაუჭირეს მხარი.

მით უფრო, რომ ჩნდება ინფორმაციები იმის შესახებ, რომ ირაკლი ალასანია საიდუმლოდ ხვდება საზღვარგარეთ „ნაციონალური მოძრაობის" ლიდერებს - ბოკერიასა და უგულავას. ამის შესახებ ივანიშვილმა ჯერ კიდევ მისი პრემიერობის დროს ისაუბრა.

საიდუმლო შეხვედრები თითქმის ყოველთვის ასოცირდება ხოლმე შეთქმულებასთან, ხელისუფლების შეცვლის მცდელობასთან ან რაიმე მშვიდობიან გეგმასთან, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ხელისუფლებას. სწორედ ასეთი ეჭვები გაჩნდა უკვე მის წინააღმდეგაც. განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც ალასანია ცდილობს, მაქსიმალურად გაიფართოოს გავლენები. მის ამ მცდელობას ზოგი მისივე უზომო ამბიციას მიაწერდა და ზოგიც მზაკვრულ გეგმას, შიგნიდან გაეხლიჩა კოალიცია.

საინტერესოა, რომ მედიაში ამ თემაზე ხშირად იწერებოდა. ისიც ითქვა, რომ ალასანია დემარშის მოწყობასაც აპირებდა, თუმცა, ვერ შეძლო, რადგანაც პარტია ვერ აიყოლია. ისინი კოალიციის დატოვებას არ დაეთანხმნენ. ალასანიამ მაშინ დემარშის მოწყობა ვერ გაბედა. არ გარისკა.

ახლა, როგორც მიანიშნებენ, ის შესაძლოა მარტო არ იყოს. მის „კამანდაში" უკვე რესპუბლიკელებსა და პრეზიდენტ მარგველაშვილსაც მოიაზრებენ. რა გეგმით, რთული სათქმელია. თუმცა, ფაქტია, რომ ექსპერტები დაძაბულობაზე მიანიშნებენ. და ეს დაძაბულობა მმართველ კოალიციაში ჯერ მხოლოდ თვალხილულია.







© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვალერი გელაშვილი: „ზუსტად ვიცი, რომ რამდენიმე დღეში ბრა

**ხათუნა მგალობლიშვილი**



**„ეს ნამდვილად არ ყოფილა ცემის ფაქტი. ეს იყო ჩემი მოკვლის მცდელობა“**

**„არ მინდა კომენტარის გაკეთება გამწარებული ადამიანის საუბრებზე. გამწარებული ადამიანი რა სტატუსს დაწერს არც მაინტერესებს და არც პასუხს გავცემ“**

**გახმაურებული საქმეების ძიება, როგორც ჩანს, დასასრულს უახლოვდება. საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, გოგლა ჟვანია აცხადებს, რომ ყოფილი პრემიერისა და მისი ძმის გარდაცვალების საქმე ძალიან მალე გაიხსნება. დეპუტატმა მინიშნება გააკეთა, რომ კვალი შესაძლებელია, ყოფილ პრეზიდენტამდე მივიდეს. პარალელურად რამდენიმე დღის წინ, ვალერი გელაშვილმა ერთ-ერთ ტოქშოუში მასზე თავდასხმის საქმის გამოძიების დასასრულიც დააანონსა. მისი განცხადებით, ერეკლე კოდუას გავლით კვალი აქაც სააკაშვილამდე მიდის.**

2005 წლის თავდასხმის ფაქტის გამოძიებას გელაშვილი ცხრა წლის განმავლობაში ელოდებოდა. ხელისუფლების ცვლილების შემდეგ გადეპუტატებული ბიზნესმენი მუდმივად აცხადებდა, რომ მოთმინებით დაელოდებოდა დროს, როდესაც მისი მოკვლის მსურველების ვინაობა საჯარო გახდებოდა. იყო პერიოდი, როდესაც დეპუტატი აღიარებდა, გამოძიება უფრო გაიწელა, ვიდრე მე მეგონაო, თუმცა მიზეზს პროკურატურაში უთვლელი საჩივრების რაოდენობით ხსნიდა. საბოლოოდ კი, როგორც ირკვევა, გელაშვილის თავდასხმის საქმეში ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა სოდ-ის ყოფილი უფროსი, ერეკლე კოდუა ყოფილა. გელაშვილის განცხადებით, მასზე თავდასხმის ოპერაციას სწორედ კოდუა ხელმძღვანელობდა, რომელმაც დავალება ვანო მერაბიშვილისგან მიიღო. მერაბიშვილს კი ანგარიშსწორება პირადად სააკაშვილმა დაავალა. სწორედ ასეთია ვალერი გელაშვილის მიერ დალაგებული სქემა. ბუნებრივია, კითხვები ყოველთვის იყო. რა მოხდა სინამდვილეში? თავად დეპუტატი აცხადებს, რომ ეს იყო პოლიტიკური და ფინანსური ანგარიშსწორება. იყო სხვა ვერსიებიც, უფრო პირადი და არაეთიკური. ბუნებრივია, გელაშვილს ამ ვერსიებზე საუბარი დღეს აღარ სურს. როგორც ამბობენ, გელაშვილი მაშინდელი პრეზიდენტის პირად ცხოვრებას საჯაროდ განიხილავდა და მიხეილ სააკაშვილს მეუღლის ღალატში სდებდა ბრალს. მაშინ პრეზიდენტის პრესსამსახურის თანამშრომლის, ალანა გაგლოევას სახელმა და გვარმაც გაიჟღერა. უკვე დღეს თავად გაგლოევა ადასტურებს, რომ გელაშვილმა თავის დროზე ბევრი არასწორი ინფორმაცია გაავრცელა.

**ალანა გაგლოევა:**

– მე არ მინახავს ვალერი გელაშვილის ინტერვიუ და ვერც კომენტარს გავაკეთებ. მე არც ვალერი გელაშვილის ცემის ფაქტთან ვყოფილვარ რაიმე კავშირში და არც სხვა რამესთან. ჩემი სახელი და გვარი მაშინ ბევრ რამეს უკავშირდებოდა, მაგრამ არაფერი სიმართლე არ იყო. გელაშვილმა ბევრი რამ თქვა და ძალიან ბევრი სისულელეც. რა თქმა უნდა, მე არანაირი შეხება არ მქონია ამ ფაქტებთან.





თავად ვალერი გელაშვილი აცხადებს, რომ ბოლო ორი თვის განმავლობაში აქტიურად თანამშრომლობდა გამოძიებასთან, დადიოდა პროკურატურაში და შეხვედრა ჰქონდა პრემიერთანაც. შესაბამისად, მან ზუსტად იცის, რომ ძიება დასასრულს უახლოვდება.

გელაშვილის მიერ საქმეში ერეკლე კოდუას ჩართვას სოციალურ ქსელში კოდუას მეუღლე, ნანუკა ჟორჟოლიანი გამოეხმაურა. მან უამრავი ფაქტი გამოაქვეყნა „facebook“-ის საკუთარ გვერდზე, რომლის მიხედვითაც გელაშვილს ბრალი სხვადასხვა მძიმე დანაშაულებში ედება. ჟორჟოლიანი აცხადებს, რომ დეპუტატისგან კონკრეტულ პასუხებს ელოდება და იმედი აქვს, რომ თითოეულ ბრალდებაზე სრულყოფილ პასუხს მიიღებს.

**ნანუკა ჟორჟოლიანი, ერეკლე კოდუას მეუღლე:**

– მე დავდე მასალები, სადაც წერია, რომ ვალერი გელაშვილი არის რუსეთის აგენტი, ეს ფაქტი ლიტვაში ცნობილია და იქ ჩასულ პრემიერ-მინისტრს სიიდან ამოაღებინეს. ასევე, დავდე ვიდეო, რომელიც ადასტურებს, რომ გელაშვილი ლობირებს ბორდელებს. დავდე ლიტვური პრესის მიერ გამოძიებული მასალა, სადაც წერია, რომ გელაშვილი კავშირშია დაჯგუფებასთან, რომელიც კავშირშია შეკვეთილ მკვლელობასთან. ასევე, ამბობენ, რომ გელაშვილმა საკუთარი ბიზნესის გამო ბავშვებს ბაღი გადაუწვა და არის ისეთი ფაქტიც, რომელსაც ჯერ კიდევ არ ვწერ! ასევე, არსებობს მოზარდის კომენტარი, რომელიც ადასტურებს, რომ მას ვალერი გელაშვილი პირადად დაესხა თავს და სცემა. არაადეკვატურია, როდესაც მე გელაშვილი დებატებში მეპატიჟება. მე ვარ ჟურნალისტი, მე არ ვარ პოლიტიკოსი. მე ვარ ჟურნალისტი, რომელიც მას ფაქტებით ესაუბრება. უპასუხოს გელაშვილმა ამ ფაქტებს, ჭორაობის დონეზე რომ ლაპარაკობს.

თავის მხრივ, გელაშვილი უარს ამბობს ჟორჟოლიანის ბრალდებებზე კომენტარის გაკეთებაზე. აცხადებს, რომ კოდუას მონაწილეობაში ასი პროცენტითაა დარწმუნებული და ბოდიშის მოხდა სწორედ კოდუების ოჯახს მოუწევს...

**ვალერი გელაშვილი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი:**

– არ მინდა კომენტარის გაკეთება გამწარებული ადამიანის საუბრებზე. გამწარებული ადამიანი რა სტატუსს დაწერს არც მაინტერესებს და არც პასუხს გავცემ.

**– როგორ ფიქრობთ, რატომ გაიწელა თქვენი საქმე ასე?**

– არ ვიცი, რატომ გაიწელა გამოძიება ამდენი ხნის განმავლობაში. ვიღაცას ხომ უნდა ელაპარაკა ფაქტებით. მხოლოდ ჩემი, გამწარებული ადამიანის საუბრის საფუძველზე ხომ არ დაიწყებდა საგამოძიებო ქმედებებს? გამოძიებას თავისი წესები აქვს. სატელეფონო საუბრების ამოღებას და სხვა დამატებით დეტალებს დრო სჭირდება. ზუსტი პასუხი არც მა-





**ალანა გაგლოევა: „გელაშვილმა ბევრი რამ თქვა და ძალიან ბევრი სისულელეც. რა თქმა უნდა, მე არანაირი შეხება არ მქონია ამ ფაქტებთან“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ...ლს წაუყენებენ რამდენიმე ადამიანს, ერთ-ერთი კოდუა იქნება“



## „სააკაშვილს დაუმძიმდება თუ არა ბრალი, ეს დამოკიდებულია იმაზე, რას იტყვის კოდუა. როგორც ვიცი, კოდუამ უნდა ილაპარაკოს ვანოზე, ვანო კი ილაპარაკებს მიშაზე“

ქვს, რატომ გაიწელა გამოძიება ასე ძალიან. იცით, რომ პროკურატურას ძალიან ბევრი საქმე აქვს? მე ამ საქმის გამოძიებას 9 წელი ველოდებოდი და კიდევ ერთი წელი დალოდება პრობლემას არ წარმოადგენდა. თუმცა ბოლო პერიოდში ძალიან გავაქტიურდი, საუბრები მქონდა პრემიერთან, ბოლო ორი თვეა, პროკურატურაში დავდივარ და გავდიოდი პროცედურებს. ადრე იმიტომ არ ვაქტიურობდი, რომ პროკურატურას ისედაც ბევრი საქმე ჰქონდა და არ მინდოდა ჩემი პრივილეგია – პარლამენტარობა გამომეყენებინა. ზუსტად ვიცი, რომ რამდენიმე დღეში ბრალს წაუყენებენ რამდენიმე ადამიანს, ერთ-ერთი კოდუა იქნება.

**– შეიძლება რომ სააკაშვილსაც დაუმძიმდეს ბრალი თქვენი ცემის ფაქტის გამო?**

– სააკაშვილს დაუმძიმდება თუ არა ბრალი, ეს დამოკიდებულია იმაზე, რას იტყვის კოდუა. როგორც ვიცი, კოდუამ უნდა ილაპარაკოს ვანოზე, ვანო კი ილაპარაკებს მიშაზე.

**– ანუ ახლა ყველაფერი კოდუას დაკითხვაზეა დამოკიდებული?**

– კი, როგორც ვიცი, სააკაშვილმა დავალება მისცა ვანო მერაბიშვილს, ვანომ კი, თავის მხრივ, კოდუას დაავალა. თუ კოდუას არ ჩამოიყვანენ და არ ილაპარაკებს, მაშინ არაფერი გამოვა. შეიძლება კოდუამ თავის თავზე აიღოს, მაგრამ, როცა სპეცსამსახურების ადამიანები მუშაობენ, ესე იგი ზემდგომი აძლევს დავალებას, ამიტომ არ ვფიქრობ, რომ კოდუა თავის თავზე აიღებს ამას.

**– ცნობილია, რომ თქვენი ცემის ფაქტზე ადანაშაულებდით სააკაშვილს, მერაბიშვილს, მაგრამ არასოდეს გიხსენებიათ ირაკლი კოდუა, რატომ არასოდეს თქვით, თუ ეს ინფორმაცია გქონდათ?**

– ოქრუაშვილსაც ვუთხარი ბევრჯერ, რომ ეს ამბავი სააკაშვილის კაბინეტში დაიგეგმა და ვანო მერაბიშვილმაც პირნათლად შეასრულა დავალება. ვიცოდი, რომ კოდუა ელიავას ბაზრობასთან იჯდა მანქანაში და იქიდან აკონტროლებდა ამ ოპერაციას. მე დიდი ხანია, ეს ამბავი ვიცი. როგორც კი საქართველოში ჩამოვედი, მაშინვე ვთქვი ეს ინფორმაცია, რომ თავდასხმის მომენტში იქვე ახლოს, ტერიტორიაზე შეამჩნიეს კოდუა მანქანაში. ამიტომ გამოძიებას შეუძლია ამოიღოს კოდუას სატელეფონო საუბრები და დაადგინოს, რომ მართლაც იქ იმყოფებოდა. შეიძლება უკვე დადგენილიცაა.

**ნანუკა ჟორჟოლიანი: „მე ვარ ჟურნალისტი, მე არ ვარ პოლიტიკოსი. მე ვარ ჟურნალისტი, რომელიც მას ფაქტებით ესაუბრება. უპასუხოს გელაშვილმა ამ ფაქტებს, ჭორაობის დონეზე რომ ლაპარაკობს“**



**– ნაციონალები აღიარებენ, რომ თქვენი ცემის ფაქტი უარყოფითი რამ იყო თავად მათი გუნდისთვისაც და პარალელებს ავლებენ ნუგზარ წიკლაურის შემთხვევასთან...**

– ჩემი ცემა ცემის ფაქტი არ იყო. ცემის ფაქტი იყო, წიკლაურს რაც შეემთხვა, ის. მე ძლივს გადავრჩი და როგორც მაშინ ექიმები ამბობდნენ, უკეთეს შემთხვევაში ინვალიდად უნდა დავრჩენილიყავი. როდესაც თავის ქალა იმსხვრევა, ძირითადად ფატალური შედეგით სრულდება. რკინის გირი მომარტყეს და ერთი მილიმეტრითაც კი ზევით რომ მომხვედროდა, ვერ გადავრჩებოდი. ჩემი გადარჩენა ღვთის ნება იყო, სასწაული მოხდა მაშინ. ამიტომ ეს ნამდვილად არ ყოფილა ცემის ფაქტი. ეს იყო ჩემი მოკვლის მცდელობა.

**– კოდუას მონაწილეობის ფაქტი დადასტურდება გამოძიების მსვლელობისას? როგორც თქვენი ოპონენტები ამბობენ, ეს ცილისწამებაა.**

– დაველოდოთ გამოძიებას. თუ ჩემი ნათქვამი არ გამართლდება, ოფიციალურად ბოდიშს მოვუხდი კოდუების ოჯახს, მაგრამ ვნახოთ, ვის მოუწევს ბოდიშის მოხდა. 100%-ით ვიცი, რომ ჩემი თავდასხმის ოპერაციას კოდუა ხელმძღვანელობდა. საიდან ვიცი ეს ინფორმაცია, ამას ვერ გეტყვით, ეს დგინდება, მტკიცდება და ვნახავთ, პროკურატურა რასაც წაუყენებს კოდუას. ამის შემდეგ გამცეს პასუხი კოდუების ოჯახმა.

ჟორჟოლიანის მიერ ჩამოთვლილ ბრალეულობებში ერთ-ერთი ფაქტი ჟურნალისტის ცემას უკავშირდება. გიორგი ქართველიშვილი 2012 წელს საპარლამენტო არჩევნების პერიოდში საინფორმაციო სააგენტოს „მე მიყვარს ხაშურის“ ჟურნალისტი იყო. არჩევნების დღეს მან დააფიქსირა ფაქტი, როგორ ცდილობდნენ გელაშვილის მიერ მართული ჟურნალისტები ხაშურის მეათე საარჩევნო უბანზე ძალით შესვლას. სწორედ ეს ფაქტი გადაიღო ქართველიშვილმა საკუთარი კამერით, რასაც გელაშვილის გაღიზიანება მოჰყვა და ჟურნალისტს ის ფიზიკურად გაუსწორდა. ჟურნალისტი იხსენებს, რომ დეპუტატი მას იარაღით სცემდა და ფაქტის შესახებ მაშინვე ეცნობა პოლიციას. ქართველიშვილი სამართალდამცავებმა ერთხელ დაკითხეს, თუმცა ამის შემდეგ პროცესი აღარ დაძრულა.

**გიორგი ქართველიშვილი:**

# EXCLUSIVE

– პირველ ოქტომბერს მე ვიღებდი ვიდეოკადრებს, როგორ ამტვრევდნენ გელაშვილის ჟურნალისტები საარჩევნო უბანზე კარს. ეს რომ გელაშვილმა და მისმა შეიარაღებულმა რაზმმა დაინახეს, ფიზიკურად გამისწორდნენ. ასევე, მომაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფაც. ძლივს გამოვეცალე, ადგილზე პოლიცია მოვიდა და ჩვენებები ჩამომართვეს, მაგრამ შემდეგ აღარაფერი გაგრძელდა, გამოძიება არ მოჰყვა. ფაქტიდან მეორე დღეს, ტელეკომპანია „იმედთან“ საუბრისას, ვალერი გელაშვილმა აღიარა, რომ მე ფიზიკურად გამისწორდა. თუ გამოძიება მოინდომებს და დაინტერესდება, შეუძლია, ნახოს ეს კადრები. ეს ფაქტი მოხდა 2012 წლის პირველ ოქტომბერს, არჩევნების დღეს. თავად გელაშვილმა კი ჩემი ცემის ფაქტი მეორე დღეს, ანუ 2 ოქტომბერს აღიარა.

**– პირადად ვალერი გელაშვილმა მოახდინა თქვენზე ანგარიშსწორება?**

– კი, პირადად გელაშვილმა მცემა. მას იარაღი ჰქონდა და იარაღით გამისწორდა. შესაბამისი სტრუქტურები საქმის კურსში იყვნენ ფაქტის მოხდენის პირველივე წუთიდან. არსებობს ვიდეომასალები, რომელიც გამოძიებას გადავეცით. თუ დაინტერესდებიან და სურვილი ექნებათ, საქმის გამოძიებას ვერაფერი შეუშლის ხელს.

**– თქვენ არ დაინტერესდით, გამოძიება რა ეტაპზე იყო, ან როგორ მიმდინარეობდა?**

– არა, რადგან რეაგირება რომ არ მოჰყვა თავის დროზე, აღარ მეგონა, თუ რამეს გაარკვევდნენ. ახლა ვფიქრობ, როგორც მინიმუმ, რეაგირება უნდა მოახდინონ აღნიშნულ ფაქტზე.

**– ამ ინციდენტის შემდეგ ხომ არ ყოფილა გელაშვილისგან მორიგი მუქარა?**

– ვერ დავადასტურებ, მაგრამ იყო ფაქტები...

**– კონკრეტულად რა ფაქტები?**

– ხელის შეშლის ფაქტები იყო...

**გიორგი ქართველიშვილი: „კი, პირადად გელაშვილმა მცემა. მას იარაღი ჰქონდა და იარაღით გამისწორდა“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მისამართი: ფალიაშვილის ქ. №53
მობ: 595340034, 599973094
ტელ: 2223238
ელ-ფოსტა: info@gurme.ge
www.gurme.ge
Gourmet La Cafeteria

გურმე
კაფეტერია



Gourmet
La Cafétéria

Address: #53 Paliashvili str.
Tel: 2223238
Mob: 595340034, 599973094
E-mail: info@gurme.ge
www.gurme.ge
Gourmet La Cafeteria


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რატომ ვერ ამოიცნო ლევან ბუხაიძემ ოლეგ მელნიკოვი?



**my View**

**მირიან ბოქოლიშვილი**



## რას ყვება მელნიკოვთან ერთად ამოცნობაზე გაყვანილი მოდულის იზოლატორის კონტროლიორი?

**სანდრო გირგვლიანის საქმეზე წინა ხელისუფლების დროს გასამართლებული კუდ-ის ყოფილი მაღალჩინოსნები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში რომ პრივილეგიებით სარგებლობდნენ, ამის შესახებ საზოგადოებისთვისაც და ჩვენი მკითხველისთვისაც კარგადაა ცნობილი. ამჯერად კი გიამბობთ, რა ხდებოდა მოდულის წინასწარი დაკავების იზოლატორში, სადაც ბრალდებულები გამოძიების პერიოდში ჰყავდათ შესახლებული. მათი იზოლატორში განთავსებიდან მალევე ჩატარდა ამოცნობის პროცედურა, რა დროსაც გირგვლიანთან ერთად გატაცებულ მის მეგობარს, ლევან ბუხაიძეს უნდა ამოეცნო კუდ-ის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი ოლეგ მელნიკოვი. ამოცნობის პროცედურაში, მელნიკოვთან ერთად დააყენეს სამი პიროვნება, მათ შორის ერთ-ერთი მოდულის წინასწარი დაკავების იზოლატორის კონტროლიორი ნოდარ ნარსია. „პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი გახდა ნარსიას ჩვენება, რომელიც მან პროკურატურას ხელახალი გამოძიების პროცესში მისცა. ჩვენებით დასტურდება, რომ ბუხაიძემ პროკურატურაში ოლეგ მელნიკოვი ვერ ამოიცნო, თუმცა ნოდარ ნარსია ვარაუდობს, რომ ბუხაიძე დააშინეს.**

„სამსახურში ყოფნისას მე დამიბარა ჩვენმა ხელმძღვანელმა ვ. იმედაშვილმა, რომელმაც მითხრა, რომ ამოცნობასთან დაკავშირებით პროკურატურას ესაჭიროებოდა სლავური ფიზიკური მონაცემების, დაახლოებით ჩემი ასაკის მამაკაცი და რადგან მე ვაკმაყოფილებდი ამ მოთხოვნას, მისთვის დავალებული ჰქონდათ, რომ მონაწილეობა მიმეღო ამ საგამოძიებო მოქმედებაში. იმედაშვილის ნათქვამზე დავთანხმდი, როდესაც შევიცვალე ცვლაში, მე მითითების შესაბამისად მივედი მთავარ პროკურატურაში, სადაც ერთ-ერთ კაბინეტში ჩატარდა ამოცნობა, კერძოდ, ბუხაიძეს უნდა ამოეცნო დანაშაულში მონაწილე პირი. ამოცნობაში ჩემ გარდა 2 პიროვნება მონაწილეობდა, რომლებიც იყვნენ ჩემი ნაცნობი თანამშრომლები ე.წ. „კრიტიდან“, მეოთხე პიროვნება კი იყო ოლეგ მელნიკოვი, რომელსაც, ასევე, ვიცნობდი ჩვენთან დაწესებულებაში ყოფნის პერიოდიდან. ამოცნობის დაწყებამდე მე გამომძიებლის მითითებით დავიკავე მარცხნიდან რიგით პირველი ადგილი, შემდგომი ორიოდ ადგილი დაიკავეს „კრიტის“ თანამშრომლებმა, ხოლო მარცხნიდან მეოთხე ადგილი, ასევე გამომძიებლის მითითებით, დაიკავა ოლეგ მელნიკოვმა. შემდეგ, ვიღაც პირმა, რომლის სახელი და გვარი არ ვიცი, გარედან შემოიყვანა ბუხაიძე, რომელიც დაგვაკვირდა ჩვენ, ოთხ პიროვნებას და მიაშტერდა ოლეგ მელნიკოვს. როგორც შევატყვე, მან ის იცნო, რადგან ფაქტობრივად მხოლოდ მას უყურებდა დაჟინებული მზერით. ბუხაიძის გამოხედვიდან და ოლეგ მელნიკოვის მიმართ გამწარებული, ბოროტი მზერიდან გამომდინარე, მეგონა, რომ ის ამოიცნო, მაგრამ ჩემი აზრით, ალბათ, შიშის, ან სხვა ფაქტორის გამო, მან შეგნებულად არ დაადო ხელი ოლეგ მელნიკოვს. ამის შემდეგ, ჩვენ გაგვიშვეს. არ მახსოვს, ამ ამოცნობასთან დაკავშირებით შეადგინეს თუ არა რაიმე ოქმი, ან მომაწერინეს თუ არა ხელი რაიმე დოკუმენტზე“, – ყვება ნუგზარ ნარსია.



რატომ ვერ ამოიცნო ლევან ბუხაიძემ ოქროყანის ეპიზოდის ერთ-ერთი მთავარი ფიგურანტი მაშინ, როდესაც ხელახალი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში ამბობს, რომ თოვლში წაქცეულს სახე იარაღით ამოუტრიალა ოლეგ მელნიკოვმა და ფოტოც გადაუღო. ჩნდება ეჭვი, რომ პროკურატურაში ამოცნობაზე მიყვანილი გირგვლიანის მეგობარი იმდენად დაშინებული იყო, რომ მან მელნიკოვისთვის ხელის დადება ვერ გაბედა, თუმცა საბოლოოდ ბუხაიძემ ის სასამართლოში დაასახელა, რასაც ირინა ენუქიძის ოვაციებიც კი მოჰყვა სხდომათა დარბაზში. ბუხაიძის ჩვენების შესახებ „პრაიმტაიმი“ ერთხელ უკვე წერდა. აი, რას ამბობს ის მელნიკოვთან დაკავშირებით.

„თოვლში წამაქციეს და ერთ-ერთმა თქვა: „ერთი აქეთ ამოიხედეო“. რაზეც მეორემ იარაღის ლულით სახე ამომიტრიალა და თვალებთან უეცარი გაშუქებით მივხვდი, რომ სურათი გადამიღეს. ...ამჟამად შემიძლია, დარწმუნებით და შეუცდომლად განვაცხადო, რომ სასაფლაოზე შემდგომში მოსული პირი, რომელმაც იარაღიდან ისროლა და შესაძლოა, ფოტოც გადამიღო, ნამდვილად იყო ოლეგ მელნიკოვი, რომელიც გამოძიების დროს მე, მართალია, ვერ ამოვიცანი, მაგრამ სასამართლოს მიმდინარეობის პერიოდში პირდაპირ სხდომაზე განვაცხადე ამის შესახებ. დარწმუნებით შემიძლია დავასახელო, რომ ოქროყანის სასაფლაოზე იმყოფებოდნენ გია ალანია, ალექსანდრე ღაჭავა, ოლეგ მელნიკოვი და ავთანდილ აფციაური“, – ყვება საგამოძიებო ორგანოსთვის მიცემულ ჩვენებაში ლევან ბუხაიძე.



**„ბუხაიძე დაგვაკვირდა ჩვენ, ოთხ პიროვნებას, და მიაშტერდა ოლეგ მელნიკოვს... მელნიკოვის მიმართ, მისი გამწარებული და ბოროტი მზერიდან გამომდინარე, მეგონა, რომ ის ამოიცნო, მაგრამ შიშის, ან სხვა ფაქტორის გამო, მან შეგნებულად არ დაადო ხელი მელნიკოვს“**

დავუბრუნდეთ კვლავ ნოდარ ნარსიას ნაამბობს... მისი ჩვენებიდან ირკვევა, რომ კუდ-ის დაკავებული მაღალჩინოსნები წინასწარი დაკავების იზოლატორშიც, ისეთივე პრივილეგიებით სარგებლობდნენ, როგორც მოგვიანებით ციხეში. იზოლატორის ხელმძღვანელობასთან შეთანხმების გარეშე მათთან ინტენსიურად შედიოდნენ კუდ-ის თანამშრომლები, მათ შორის ხელმძღვანელი პირები.

„დეპარტამენტის უფროსი დათა ახალაია და მისი მოადგილე სოსო თოფურიძე რამდენჯერმე შემოვიდნენ მათ მოსანახულებლად, განსაკუთრებით სოსო თოფურიძე, რომელიც 5-6-ჯერ იყო შემოსული. მნახველი პირები მათ ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე აწვდიდნენ საჭმელს და სპირტიან სასმელებს. მეტიც, ამ პირთა ჩვენს დაწესებულებაში ყოფნისას ჩვენთან სხვა დაკავებული პირი არ შემოუსახლებიათ, სამსახური იყო პარალიზებული. მნახველმა პირებმა, რომლებიც ძირითადად იყვნენ კუდ-ის თანამშრომლები ჩვენი უფროსი ვ. ადამაშვილი გამოიყვანეს თავისი სამუშაო ოთახიდან და მის კაბინეტში გაშალეს სუფრა და მოაწყვეს ქეიფი, რა დროსაც დაკავებულებს არანაირი შეზღუდვა არ ჰქონიათ. მათ დალიეს ალკოჰოლური სასმელებიც, იქცეოდნენ ისე, როგორც მოესურვებოდათ. ერთი სიტყვით, მათ მიმართ განხორციელდა მხოლოდ ერთადერთი შეზღუდვა, რომ ისინი იზოლატორიდან გარეთ არ გადიოდნენ, თუმცა ესეც რომ მოენდომებინათ, ხელს ვერავინ შეუშლიდათ. ამ პირების მნახველები ჩვენ არც კი გვეკითხებოდნენ, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, რამდენ ხანს გაჩერებულიყვნენ და რა თემებზე ესაუბრათ დაკავებულებთან. მათ მიერ შემოტანილ ნივთებსა და ამანათს ვერც ვამოწმებდით. ფაქტობრივად ჩვენზე დაკისრებულ მოვალეობას ვერ ვასრულებდით, რითაც ხელი გვეშლებოდა სამსახურის ნორმალურ ფუნქციონირებაში. მნახველთა იზოლატორში შემოსვლა არ ფიქსირდებოდა სპეციალურ ჟურნალსა და სხვა დოკუმენტაციაში, რაც უნდა განხორციელებულიყო დადგენილი წესით“, – ყვება პროკურატურისთვის მიცემულ ჩვენებაში მოდულის იზოლატორის კონტროლიორი.

როგორც ცნობილია, განაჩენის გამოცხადების შემდეგ გირგვლიანის მკვლელობაში მხილებული კუდ-ის მაღალჩინოსნები სასჯელაღსრულების #10 დაწესებულებაში გადაიყვანეს, სადაც მათ სპეციალურად გარემონტებული საკნები დაახვედრეს და განუსაზღვრელი პრივილეგიებით განაგრძეს სასჯელის მოხდა, მანამ სანამ პრეზიდენტმა მათი შეწყალების გადაწყვეტილება არ მიიღო.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ვფრთხილობ, განსაკუთრე
# ვესაუბრები, ჩვენგან პა



**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

„პრაიმტაიმს“ ბოდიში ერთხელ უკვე მოუხადეს. ეს მაშინ, როდესაც „სამართლიან არჩევნებს“ მედიამონიტორინგის ჩატარებისას გაზეთი „შემთხვევით“ გამორჩა. მაშინ ორგანიზაციამ თითი IPM-ისკენ გაიშვირა, მათ მიერ მოწოდებული გაზეთების ჩამონათვალში თქვენი გაზეთის სახელწოდება შეყვანილი არ იყოო. ერთი წლის შემდეგ პრობლემას კვლავ IPM ქმნის. სწორედ გოჩა ცქიტიშვილის კვლევითმა ორგანიზაციამ ჩაატარა საველე სამუშაოები IRI-ს გამოკითხვისთვის, სადაც „პრაიმტაიმი“ კვლავ ვერ ფიგურირებს. ამჯერად პასუხს ვერც ერთი მხარე ვერ იძლევა. ისინი ძირითადად ურთიერთბრალებებით არიან დაკავებული. IPM აცხადებს, რომ მზა მეთოდოლოგია, სია და მექანიზმი სწორედ IRI-სგან მოდის, ხოლო IRI-ში კი ამბობენ, რომ 4 ათას გამოკითხულს ღია კითხვით მიმართეს და შედეგად არც ერთმა არ ახსენა „პრაიმტაიმი“. ღია კითხვის პრინციპი შემდეგია: გამოკითხულ ადამიანს მკვლევარი უსვამს კითხვას, თუმცა არ ეუბნება სავარაუდო პასუხებს. აღმოჩნდა, რომ გაზეთი, რომლის ტირაჟიც „პრაიმტაიმის“ ტირაჟზე 50-ჯერ ნაკლებია, გამოკითხულებს ახსენდებათ... ბუნებრივია, ლოგიკას აქ ვერავინ ხედავს, IRI-სა და IPM-ის გარდა. გულწრფელად აღიარების შემთხვევაში ლოგიკას საკუთარ საქციელში თავად აღნიშნული ორგანიზაციებიც ვერ დაინახავდნენ, მაგრამ მათ ზუსტად იციან, რა პასუხი უნდა მოგვცენ. შესაბამისად, დაზეპირებული სიტყვების გამეორება არ უჭირთ. მით უფრო მაშინ, როდესაც პასუხი ძალიან მოკლეა: „ჩვენგან ვერანაირ ინფორმაციას ვერ მიიღებთ, ამას რეგულაცია გვიკრძალავს!“

ინფორმაციასა და რეგულაციის კონკრეტიკაზე მეტად IRI-სა და IPM-ის თანამშრომლები რატომღაც საკუთარ სახელებს მალავენ. ორივე შემთხვევაში ორგანიზაციის წარმომადგენლებმა არ ისურვეს საკუთარი ვინაობის გამხელა. მოკლედ, აქ ყველაფერი გასაიდუმლოებულია, იმის გარდა, რომ პირველი, მეორე და მესამე ადგილი თურმე „კვირის პალიტრას“, „ასავალ-დასავალსა“ და „ალიას“ უჭირავს. ერთადერთი, რაც IRI-ს წარმომადგენლისგან გავიგეთ, არის ის, რომ ყველა „თამაშგარეთ დარჩენილი“ გაზეთი მოხვდა „სხვა დანარჩენის“ კატეგორიაში, მაგრამ კონკრეტულად რომელი გამოცემები და რა რეიტინგებით, ეს რატომღაც საიდუმლო ინფორმაციად იქცა. როგორც IRI-ს წარმომადგენელი გვარწმუნებდა, ისინი საკუთარი წესებითა და რეგულაციებით მოქმედებენ და არ აინტერესებთ კერძო გამომცემლობების ინტერესები.

**IPM-ის წარმომადგენელი:**

– ჩვენ კი ვართ გამოკითხვის რაღაც ნაწილის შემსრულებელი, მაგრამ არ გვაქვს კომენტარის გაკეთების უფლება. სიხშირე არ განისაზღვრება ერთი ან ორი კვირის განმავლობაში. რაც შეეხება სანაიას გადაცემას, სანაია დაემშვიდობა მაყურებელს 28 დეკემბერს, შეგიძლიათ ჩანაწერით ნახოთ. ის მაყურებელს მიმართავს, ამ სეზონზე გემშვიდობებით, გადაცემა განახლდება ახალ სეზონზეო. შესაბამისად, გადაცემის რეიტინგი, ჩვეულებრივ, მაყურებლის დონეზე გაიზომებოდა. დანარჩენი კითხვებით მიმართეთ IRI-ს. ჩვენ არაფერზე არ ვართ პასუხისმგებლები, ინსტრუმენტს, კითხვარს აგზავნის IRI. ჩვენ პასუხისმგებლები ვართ მხოლოდ საველე სამუშაოებზე. ჩვენთან მოდის მზა ინსტრუქციები და ინსტრუმენტი, რა და როგორ

**„რასაც თვალს ვადევნებთ, ზოგიერთი კვლევა ძალიან უცნაურ დამოკიდებულებას იჩენს არაერთი გამოცემის მიმართ“**




**IPM-ის წარმომადგენელი: „ჩვენ არაფერზე არ ვართ პასუხისმგებლები, ინსტრუმენტს, კითხვარს აგზავნის IRI. ჩვენ პასუხისმგებლები ვართ მხოლოდ საველე სამუშაოებზე. ჩვენთან მოდის მზა ინსტრუქციები და ინსტრუმენტი, რა და როგორ უნდა გავაკეთოთ“**



უნდა გავაკეთოთ. უმჯობესია IRI-ს მიმართოთ კითხვებით.

**IRI-ს წარმომადგენელი:**

– ვფრთხილობ, განსაკუთრებით როდესაც „პრაიმტაიმს“ ვესაუბრები. ჩვენგან პასუხებს ვერც მიიღებთ. არ გვაქვს უფლება, პასუხები გაგცეთ, მიმართეთ სახელმწიფო დეპარტამენტს ან ამერიკის საელჩოს.

**– რა პრინციპით შეირჩა მედიასაშუალებები?**

– არის დახურული კითხვები, ანუ სადაც მითითებულია ვარიანტები, და არის ღია კითხვები, რომელიც მთლიანად გამოკითხულის პასუხებზეა დამოკიდებული. კითხვა გაზეთთან დაკავშირებით ცალკეა და ტელევიზიასთან დაკავშირებით – ცალკე. გაზეთის კითხვა ასე ჟღერს: რომელ გაზეთს კითხულობთ რეგულარულად? ეს არის ღია კითხვა და გამოკითხულებს შეუძლიათ, თავად დაასახელონ ნებისმიერი გაზეთი. ჩვენ მათ ჩამონათვალს არ ვთავაზობთ. ჩამონათვალი რომ იყოს, ბუნებრივია, თქვენც იქნებოდით. თუ არ იქნებოდით, მაშინ ჩაგამატებდით და ბოდიშსაც მოგიხდიდით გამორჩენისთვის. თუ ნახეთ სლაიდი გაზეთებთან დაკავშირებით, იქ მითითებულია, რომ გამოკითხულთა 80%, საერთოდ, არ კითხულობს გაზეთებს.

**– თქვენ ამბობთ, რომ „პრაიმტაიმი“ არც ერთმა გამოკითხულმა არ ახსენა?**

– შეიძლება ახსენა ერთმა გამოკითხულმა და თავად დათვალეთ, 4 ათასში რამდენი პროცენტი გამოდის. სლაიდზე არის მონაცემები – პირველი ადგილი, მეორე ადგილი, მესამე ადგილი და სხვა. თქვენ შეიძლება მოხვდით სწორედ ამ „სხვაში“. ნახევარ პროცენტამდე თუ ვერ ადის მაჩვენებელი, ცალკე გამოყოფა არ უნდა



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ბით როდესაც „პრაიმტაიმს“ ასუხებს ვერც მიიღებთ“

მოხდეს. მე არ ჩამიტარებია კვლევა, ჩაატარა IPM-მა.

**– IPM აცხადებს, რომ გაზეთების სიასა და კითხვების მეთოდოლოგიას თქვენ უგზავნით.**

– გაზეთების სია ჩვენ არ გადაგვიგზავნია, რაღაც შეკითხვებს, რომელიც არის დახურული და აქვს სავარაუდო პასუხები, მართლაც ვაგზავნით. ეს შედეგები მიიღო IPM-მა ოთხი ათასი გამოკითხულიდან და მე არ მიკვირს, რომ ამ 4 ათასიდან არავინ ახსენა „პრაიმტაიმი“... 4 ათასი ადამიანი არ არის ის რაოდენობა 4-მილიონიანი მოსახლეობიდან, რომ მაინცდამაინც მათში მოხვედრილიყო „პრაიმტაიმის“ მკითხველი.

**– ამბობთ, რომ გაზეთი, რომლის ტირაჟიც 300 ეგზემპლარია, ხვდება გამოკითხვებში და „პრაიმტაიმი“, რომლის ტირაჟიც ბევრად აღემატება ამ გაზეთის ტირაჟს, არავის ახსენდება?**

– მაგრამ აუცილებლად იმ 10%-ში უნდა მოხვედრილიყო თქვენი მკითხველი?

**– რა თქმა უნდა, მით უმეტეს იმ გაზეთთან შედარებით, რომელიც სულ 300 ცალი იბეჭდება. რამდენი ადამიანი გამოიკითხა თბილისის მასშტაბით, შეიძლება გვითხრათ?**

– კონკრეტული პასუხი არ ვიცი, პროპორციულად ხდება ქალაქების დაყოფა მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით.

გადამისამართება ბევრჯერ მოხდა. საბოლოოდ IRI-ს წარმომადგენელს „პრაიმტაიმის“ დამფუძნებელი ესაუბრა. რეალური ინფორმაციის გარკვევის უშედეგო მცდელობების შემდეგ ერთადერთი დეტალის გარკვევის სურვილი დარჩა – კონკრეტულად რომელი რეგულაცია უკრძალავს IRI-ს გამოკითხვაში მოხვედრილი გაზეთების დასახელებას. აღმოჩნდა, რომ ორგანიზაციის წარმომადგენლები ასრულებენ მითითებებს, თუმცა არ იციან, ვის ან რომელი კანონმდებლობით განსაზღვრულს...

**თამარ ფხაკაძე, „პრაიმტაიმის“ დამფუძნებელი:** თქვენ ამბობთ, რომ შედეგები ღია შეკითხვების შედეგად არის მიღებული, მომეცით ამ გაზეთების ჩამონათვალი. თუ ეს ინფორმაცია დაფარულია, მაშინ მითხარით, რა მუხლით, რა კანონმდებლობით, რა რეგულაციით არის დაფარული ეს ინფორმაცია? წინააღმდეგ შემთხვევაში ეს არის დისკრედიტაცია. მე სასამართლოთი მოვითხოვ, IRI-თან ერთად ჩატარდეს ღია გამოკითხვა“.

**IRI-ს წარმომადგენელი:** გეუბნებით, რომ არის ასეთი რეგულაცია, რომელიც არ გვაძლევს უფლებას, ეს ყველაფერი გავასაჯაროოთ.

**– მიპასუხეთ, რა რეგულაციით გეკრძალებათ ამ ინფორმაციის გაცემა?**

– არის რაღაც რეგულაცია, ჩვენ არ ვართ საჯარო სახელმწიფო დაწესებულება, ჩვენ გვაქვს ჩვენი წესები და ჩვენს ზემდგომ ორგანოს აქვს თავისი წესები. თქვენ თუ გაინტერესებთ, სად წერია ეს ან რომელ დოკუმენტში, ვეცდები, გავარკვიო. მე არ მაქვს ეს ინფორმაცია.

ზოგადად, კვლევითი ორგანიზაციების პრობლემა რომ არსებობს, ამას ნებისმიერი ექსპერტი აღიარებს. როგორც წესი, არც ერთ ქვეყანაში დაფარული არ არის გამოკითხვის მეთოდოლოგია. ამ მხრივ, საქართველო გამონაკლისთა უმცირესობაში აღმოჩნდა. მართალია, რიგითი მოქალაქისთვის მსგავსი დეტალები საინტერესო არ არის, თუმცა ცნობილი ფაქტია, რომ კვლევით ორგანიზაციებს საკუთარი ხრიკები აქვთ და ამ მეთოდებს ისინი საკმაოდ ხშირად მიმართავენ. მაგალითად, საზოგადოებრივი კომუნიკაციების მართვის სპეციალისტის, არჩილ გამზარდიას განცხადებით, კვლევით ორგანიზაციებს სპეციალისტების დონეზე ყოველთვის აქვთ ჩადებული ოინბაზობები. ნებისმიერი კვლევითი ორგანიზაცია დებს ისეთ მონაცემებს, რომლის ნაწილი აწყობს ოპოზიციას, ნაწილი კი – ხელისუფლებას, და იწყება საკითხის განხილვა. ამით კი კვლევითი ორგანიზაციის მიზანიც მიღწეულია – ის განხილვის საგანი ხდება. რა ხდება ამ საფეხურის იქით, კვლევით ორგანიზაციებს აღარ ადარდებთ. ისინი საკუთარ მიზანს აღწევენ და ამით ასრულებენ მოღვაწეობას მომავალ დაკვეთამდე...

**IRI-ს წარმომადგენელი: „არის რაღაც რეგულაცია, ჩვენ არ ვართ საჯარო სახელმწიფო დაწესებულება, ჩვენ გვაქვს ჩვენი წესები და ჩვენს ზემდგომ ორგანოს აქვს თავისი წესები. თქვენ თუ გაინტერესებთ, სად წერია ეს ან რომელ დოკუმენტში, ვეცდები, გავარკვიო. მე არ მაქვს ეს ინფორმაცია“**

**არჩილ გამზარდია:**

– თეორიულად შესაძლებელია, რომ გადაცემა არ გადიოდეს იმ მომენტში, საზოგადოებისთვის საინტერესო გადაცემები მეხსიერებაში რჩებათ ხოლმე მაყურებლებს და გამოკითხვის დროს პასუხებში აფიქსირებენ, თუმცა ამ დროს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ დაისმება კითხვა. შესაბამისად, რამდენად რეალისტურია ეს საკითხი, ჩემთვის გაურკვეველია. რასაც თვალს ვადევნებთ, ზოგიერთი კვლევა ძალიან უცნაურ დამოკიდებულებას იჩენს არაერთი გამოცემის მიმართ. არის შემთხვევები, როდესაც წამყვანი მედიასაშუალება საერთოდ არ თანამონაწილეობს გამოკითხვებში, ამიტომ სრულიად გაურკვეველი ხდება, რა დამოკიდებულებას ავლენს რეალურად მაყურებელი, მკითხველი, მსმენელი კონკრეტული გადაცემის ან გაზეთის მიმართ. სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს სტანდარტი და ფორმა, რომლის ფარგლებშიც ხდება გარკვევა, მსგავს გამოკითხვებში როგორ უნდა ხდებოდეს თანამონაწილეობა. ხშირ შემთხვევაში თანამონაწილეობა ხდება კვლევითი ორგანიზაციის პირადი მოსაზრების, ან მათი თანამშრომლების, ან საკუთარი სპეციალისტების მიერ შერჩეული მედიასაშუალებების დასახელების საფუძველზე. სწორედ ამიტომაც ჩნდება კითხვები. რადგან კითხვა ბევრია, ეს იმას ნიშნავს, რომ კვლევითი ორგანიზაციები უნდა იყვნენ ბევრად გამჭვირვალეები. მით უმეტეს, რომ ამ საკითხს მიბმული აქვს მედიასაშუალებების იმიჯი. იმიჯს კი, თავის მხრივ, მიბმული აქვს რეკლამები, რომელიც ასე მნიშვნელოვანია თითოეული მედიასაშუალებისთვის.

როგორც წესი, ყოველთვის უცნობია, რის საფუძველზე ხდება კონკრეტული კვლევითი სუბიექტების შერჩევა, ასევე მუდმივად უცნობია მეთოდოლოგიის ტიპი, მაშინ როდესაც კვლევას სწორედ პრეამბულაში უნდა ჰქონდეს მითითებული დეტალური ინფორმაცია, სად ჩატარდა გამოკითხვა, რა რაოდენობის ადამიანი გამოიკითხა, რა მეთოდით მოხდა მათი შერჩევა, როგორი იყო კითხვარი... სიის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება. თუმცა ამ ყველაფერში ყველაზე მნიშვნელოვანი კიდევ ერთი დეტალია: კვლევითმა ორგანიზიამ კონკრეტულ პერიოდში ერთხელ აუცილებლად უნდა შეცვალოს გამოკითხულთა ადრესატი. ხდება თუ არა აღნიშნული ინფორმაციის დაცვა, უცნობია, რადგან ამის გადამოწმების საშუალება არავის არ აქვს...

**ზვიად ქორიძე, მედიაექსპერტი:**

– მეთოდოლოგია ჩვენთვის უცნობია. ადრეც, როდესაც კითხვები ჩნდებოდა, ყოველთვის ვითხოვდით მეტ ინფორმაციას მეთოდოლოგიაზე, ველზე. კი ბატონო, გასაგებია, რომ 4 ათასზე მეტი ადამიანია გამოკითხული, მაგრამ სად, რა პროპორციებით, რა მეთოდებით? არასოდეს არ აქვეყნებდნენ მეთოდოლოგიას. მეთოდოლოგია, ზოგადად, დაფარული არ უნდა იყოს. დაფარული უნდა იყოს კონკრეტული ინფორმაციები, რომლებიც ეხება გამოკითხულთა ჯგუფებს. მეთოდოლოგია, როგორც წესი, კვლევის პრეამბულაშია ხოლმე გამოტანილი. უნდა ვიცოდეთ, რა ტიპის მეთოდოლოგია და შერჩევის რა მექანიზმები გამოიყენეს კონკრეტულ გამოკითხვაში, როგორ შეარჩიეს არეალი და როგორ ჩაატარეს საველე სამუშაოები. რამდენიმე წლის წინათ იყო შემთხვევა, როდესაც მე მოვითხოვე მეთოდოლოგია ერთ-ერთი კვლევითი ორგანიზაციიდან. მითითებული იყო, რომ ერთ-ერთი კონკრეტული ქუჩის კენტ ნომრებში, ყოველ მეოთხე სახლში მოხდა გამოკითხვა და მეორე ქუჩის ლუწ ნომრებში – ყოველ მეხუთე სახლში. აღმოჩნდა, რომ მითითებული ნომრები იმ კონკრეტულ ქუჩას საერთოდ არ ჰქონდა. თუ ასეთი ტიპის ინფორმაციები არ ითქმება, მით უფრო მეტი უნდობლობა გაჩნდება. შესაბამისად, IRI და NDI კარგს იზამენ, თუ მსგავს ინფორმაციებს გაასაჯაროებენ. სანდოობაც მეტი იქნება მათ მიმართ.

**– მაგალითად, „პრაიმტაიმი“ საერთოდ ვერ მოხვდა აღნიშნულ გამოკითხვაში. ჩვენი მოთხოვნის მიუხედავად, ისინი არც მეთოდოლოგიას ამხელენ და არც სიას...**

– მიმაჩნია, რომ მათ მეთოდოლოგია უნდა გაგიმხილონ, ასევე უნდა მოგცენ მაქსიმალური სტატისტიკური ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც თქვენ თავისუფლად შეაფასებთ კვლევის სანდოობის ხარისხს. მიმაჩნია, რომ დამკვეთმა ეს თავად უნდა მოითხოვოს. კარგი იქნება, თუ თქვენ რესპუბლიკურ ინსტიტუტს მოსთხოვთ გასაჯაროებას. აქ არ არის საუბარი იმაზე, კონკრეტულად რომელ ქუჩაზე რომელი მოქალაქე ჩაწერეს. აქ საუბარია გეოგრაფიაზე, ანუ ქალაქების, სოფლების, მხარეების ბალანსი რამდენად იყო დაცული. თუ, ვთქვათ, ძირითადი ნაწილი თბილისში გამოიკითხა, მაშინ, ბუნებრივია, ბალანსი ვერ იქნება დაცული.

**– ასეთი კვლევების დროს გაზეთის ტირაჟს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს?**

– არა, რადგან ეს ისედაც უნდა იყოს ღია ინფორმაცია. ასეთმა კვლევებმა უნდა განსაზღვროს, რამდენი მკითხველი გყავთ. საერთო მაჩვენებლით საქართველოში ერთ გაზეთს კითხულობს დაახლოებით ოთხი ადამიანი. თუ ამ სტატისტიკას დავეყრდნობით, მაშინ უნდა ვიანგარიშოთ გამოკითხულებში რა პროცენტით შეიძლება მოხვედრილიყო თქვენი გაზეთის მკითხველი. ამ კვლევების მიხედვით გამოკითხულთა 16% ამბობს, რომ კითხულობს „კვირის პალიტრას“. არ ვიცი, რამდენად შესაბამისობაშია მთელი საქართველოს მოსახლეობასთან მიმართებაში. ბუნებრივია, ეს შედეგი შეიძლება არ იყოს ადეკვატური.

**– სანაიას გადაცემის კვლევებში მოხვედრას როგორ ახსნით?**

– სწორედ ასეთი ტიპის კითხვებია სადავო და ეჭვის გამომწვევი. ამიტომაც არის მნიშვნელოვანი, გასაჯაროვდეს მეთოდოლოგია. პირველ რიგში, უნდა გაირკვეს, ეს იყო ღია კითხვა თუ დახურული. თუ ჩამონათვალში იყო სანაიას გადაცემა, ეს მკვლევარის პრობლემაზე მიუთითებს, ხოლო თუ მაყურებელმა დაასახელა, ასეთ შემთხვევაში მკვლევარს უნდა მიეწოდებინა ინფორმაცია, რომ აღნიშნული გადაცემა აღარ არსებობდა.



**არჩილ გამზარდია: „ხშირ შემთხვევაში თანამონაწილეობა ხდება კვლევითი ორგანიზაციის პირადი მოსაზრების, ან მათი თანამშრომლების, ან საკუთარი სპეციალისტების მიერ შერჩეული მედიასაშუალებების დასახელების საფუძველზე, სწორედ ამიტომაც ჩნდება კითხვები“**

**– პირადად თქვენ რამდენად ენდობით ხოლმე მსგავს კვლევებს და რამდენად ეყრდნობით მას რაიმე გადაწყვეტილების მიღებისას?**

– ზოგადად, სოციოლოგიურ კვლევებს ვიყენებ ხოლმე, მაგრამ თუ თავად არ ვარ დარწმუნებული მეთოდოლოგიის სისწორესა და უტყუარობაში, ასეთ შემთხვევაში მათ ჩემს ანგარიშში არ გამოვიყენებ. IRI და NDI უკვე მრავალი წელია, ატარებენ გამოკითხვებს, ძალიან საინტერესო იქნება მათი მეთოდოლოგიის გაცნობა. საინტერესოა, იმავე ველზე ატარებენ თუ არა გამოკითხვებს, სადაც 4-5 წლის წინათ ატარებდნენ.

**– უნდა შეიცვალოს ხოლმე?**

– რა თქმა უნდა, უნდა შეიცვალოს. ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, საქართველოში არ ჩამოყალიბდეს ფენა, რომელიც სოციოლოგიურ გამოკითხვაში მონაწილეობს, რადგან, როდესაც ადამიანთან მიდიხარ მეორედ, მესამედ, მან უკვე ზუსტად იცის, რა გჭირდება შენ და გპასუხობს სწორედ იმას, რაც გინდა, რომ გაიგო და არა იმას, რასაც თავად ფიქრობს.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

OR BELI group ჯგუფი

ორბელი







# ერისთავის ქ. N1

**ტელ: 2 14 75 75 / 595 60 90 13**

Ⓐ







OR BELI group ჯგუფი ორბელი

**100 ლარიანი**

**ვაუჩერი ორბელისგან**

წარმოადგინეთ ორბელის მაღაზიაში
და მიიღეთ 100 ლარის ფასდაკლება

**მის: ერისთავის ქ. N1 ტელ: 595 60 90 13**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# იუსტიციის სასწავლო ცენტრს თანამშრომლები უპირისპირდებიან

ნანა შონია

**იუსტიციის სასწავლო ცენტრის თანამშრომლები შიდა პრობლემებზე იუსტიციის მინისტრთან „წუწუნებენ“. ცამეტმა უკმაყოფილო თანამშრომელმა წერილი ერთობლივად შეადგინა და ის თეა წულუკიანის სახელზე სამინისტროში გადააგზავნა. მინისტრს რეაგირება ჯერ არ მოუხდენია, თუმცა, როგორც ცნობილი ხდება, თანამშრომლები სამუშაოსთვის შესაფერისი პირობების შექმნას ითხოვენ.**

სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი, ნინო ციხისთავი „პრაიმტაიმთან“ საუბრისას შიდა დაპირისპირებას უარყოფს. მეტიც, ციხისთავს განცხადებით, ცენტრში სამუშაო ატმოსფეროა და უკმაყოფილებას არავინ გამოთქვას. მისი თქმით, ინფორმაცია პირველად სწორედ „პრაიმტაიმისგან“ გაიგო. როგორც ჩანს, ხელმძღვანელობა ცდილობს, პრობლემები ხმაურის გარეშე მოაგვაროს.

**ნინო ციხისთავი, იუსტიციის უმაღლესი ცენტრის ხელმძღვანელი:**

– საქმე ის გახლავთ, რომ მე არ მაქვს ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით.

**– თქვენ ცენტრის ხელმძღვანელი ხართ და მსგავსი უკმაყოფილების შესახებ არასოდეს გაგიგიათ?**

– არა, და ვის მისწერეს წერილი?

**– როგორც ვიცით, იუსტიციის მინისტრის სახელზე შევიდა ეს წერილი...**

– ძალიან ვწუხვარ, მაგრამ მსგავსი არაფერი მსმენია, ახლა, ამ წამს მოვედი, დღესაც ვიყავი სამსახურში, რაღაც საქმეები იყო და იმიტომ.

**– ანუ თქვენ ამბობთ, რომ ცენტრში უკმაყოფილება არ არის?**

– მე ამის შესახებ არ მსმენია და ინფორმაცია არ მაქვს, რომ 13 თანამშრომლისგან ვინმეს გაეგზავნა რაღაც წერილი. იცით, რა? შეიძლება, რაკი შაბათია და მიუხედავად იმისა, რომ სამსახურში ვიყავი და თანამშრომლები ვნახე, ამის შესახებ ინფორმაცია არ მქონია და, ალბათ, ორშაბათს გავიგებ ყველაფერს.



**– ქალბატონო ნინო, სანამ განაცხადი შევიდოდა, მანამდე თავისთავად ხომ უნდა გქონოდათ რაღაც ინფორმაცია მაინც უკმაყოფილებასთან დაკავშირებით?**

– იცით, რა? მე გეუბნებით ისევ იმას, რომ ნამდვილად არ მაქვს ინფორმაცია, 13 თანამშრომელთან დაკავშირებით.

**– თქვენ ამბობთ, ამ წერილზე და მე გეკითხებით იმას, გსმენიათ თუ არა თანამშრომლების მხრიდან პრობლემების შესახებ ცენტრში?**

– რამდენადაც მე მაქვს ინფორმაცია, ჩვენ პრობლემები არ გვაქვს.

სასწავლო ცენტრის დირექტორის მოადგილე ნუგზარ კაკულიაა. დაპირისპირების შესახებ ინფორმაციას არც კაკულია ფლობს.

**ნუგზარ კაკულია, იუსტიციის სასწავლო ცენტრის დირექტორის მოადგილე:**

– მე არ ვიცი ამის შესახებ არაფერი, ინფორმირებული არ ვარ ამ საკითხებთან დაკავშირებით.

კაკულიამ დამატებითი შეკითხვების მოსმენა აღარ ისურვა და კავშირი გაწყვიტა.

შეგახსენებთ, რომ კაკულიასთან დაკავშირებით ბოლო პერიოდში მედიაში ხშირად იწერებოდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კაკულია იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის მეგობარი მამაკაცია. ერთ-ერთი გამოცემა, საკუთარ წყაროზე დაყრდნობით, წერდა, რომ წულუკიანმა საახალწლო პერიოდი ევროპაში სწორედ ვახტანგ კაკულიასთან ერთად გაატარა.

# ლუდის ტრადიცია და თანამედროვეობა

## განახლებული კაიზერი - გამორჩეული და საუკეთესო ხარისხის ბავარიული ლუდი!

თეა ხომერიკი

**არც ერთ სხვა მხარეს დედამიწაზე არ გააჩნია ბავარიაზე ხანგრძლივი ლუდის ხარშვის ტრადიცია. ბავარიაში შეგვიძლია ვნახოთ ევროპაში ლუდის ხარშვის უძველესი მტკიცებულებები - ჩვ. წ. აღრიცხვამდე 800 წლით დათარიღებული კელტური ლუდის ამფორა, ასევე შემორჩენილი, ალაოს უძველესი საწარმო და ლუდსახარში, სადაც ლუდი თანამედროვე ტექნოლოგიით მზადდება. საწარმო კი თარიღდება ჩვენი წელთაღრიცხვის 179 წლით (ბავარიის ოკუპაციის პერიოდი რომაელთა მიერ).**

ბავარიაში ლუდი სოციალური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. მსოფლიოში სხვაგან არსად არ იგრძნობა ისეთი მჭიდრო კავშირი ხალხსა და ლუდს შორის, როგორც ბავარიაში. ლუდი და ბავარია თითქმის სინონიმებია. ამგვარად, ბავარიული ლუდსახარშები მარტო კომერციული საწარმოები როდია; ისინი ასევე კულტურის აუცილებელი ნაწილის მცველებიც არიან.

ლუდი ყველგან სასიამოვნო სასმელად ითვლება. საშუალოდ, ბავარიელი, დაბადებიდან სიკვდილამდე, წელიწადში დაახლოებით 150 ლიტრ ლუდს მოიხმარს, რითაც ბავარია გერმანიის მხარეებს შორის ლუდის მოხმარების სიის სათავეშია.

ზაფხულში ყველა გზა საბოლოოდ ლუდის ბარისკენ მიდის. სწორედ აქ ელოდება ძალზე პოპულარული და ყვითელ ოქროდ წოდებული გამაგრილებელი სასმელი, როგორც ტურისტებს ისე ადგილობრივ მაცხოვრებლებს. სწორედ აქ, დამღლელი სამუშაო დღის შემდეგ, ბევრი ბავარიელი ირჩევს დასვენებას მეგობრებთან და კათხა ლუდთან ერთად.




ბავარიული ლუდი განსაკუთრებულად უყვართ საქართველოშიც. „გემრიელი, მსუბუქი და სასიამოვნო დასალევი...“ - ასე ახასიათებენ ქართველი მომხმარებლები ლუდი Kaiser-ს, რომელიც მთელი საქართველოს მასშტაბით, ყველა სავაჭრო ქსელის დახლზე განახლებული შეფუთვით გამოჩნდა.

ლუდი Kaiser-ის ისტორია კი 1522 წლიდან იწყება, როდესაც პრინც ეპისკოპოსმა Bamberg-დან Weigand von Redwitz-მ გამოსცა ოფიციალური ლუდის ხარშვის ნებართვა სოფელ Neuhaus-ში. პერიოდულად გერმანიის სხვადასხვა რეგიონში იმართებოდა ტრადიციული ლუდის ფესტივალები. ერთ-ერთი შეჯიბრის გამარჯვებულად ბავარიის გარეუბანში მცხოვრები ლაუსის საგვარეულო რეცეპტით დამზადებული ლუდი გამოვლინდა. ლუდი აღიარეს, როგორც სამეფო ლუდი. 1929 წელს ლუდ კაიზერს ოფიციალური კომერციული რეგისტრაცია მიენიჭა და დღესდღეობით მისი ქარხანა წარმოდგენილია კომპანია Kaiser Brau GmbH & Co.KG, -ის სახით, Neuhaus-ში.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# არაადამიანური მოპყრო



# რა დარღვევებზე

**დირექტორის მოადგილემ, რეჟიმის განყოფილების უფროსმა და ცვლის უფროსმა ძალის გამოყენებით გადაიყვანეს „ა“ კორპუსის სამარტოო საკანში. მას ხელსა და ფეხზე დაადეს ბორკილები, რის შემდეგაც მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. დაწესებულების დირექტორის მოადგილემ რამდენჯერმე დაარტყა მუშტი სახეში**



## my View

### მირიან ბოქოლიშვილი

**მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმართა რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა, ციხეები მაინც რჩება ერთ-ერთ ყველაზე პრობლემატურ თემად. ამჯერად თქვენს ყურადღებას აღარ შევაჩერებ იმ გახმაურებულ საქმეებზე, რომელთა ნაწილიც ფატალური შედეგითაც დასრულდა. ეს ისტორიები „პრაიმტაიმის“ მკითხველს კარგად მოეხსენება. მოდით, ერთად ვნახოთ, რას წერს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი ყოველწლიურ ანგარიშში სასჯელაღსრულების დაწესებულებებთან მიმართებაში? რა დარღვევები გამოავლინა ომბუდსმენმა და რამდენი საქმე გადაეცა პროკურატურას გამოსაძიებლად?**

სანამ კონკრეტულ ფაქტებს გაგაცნობთ, გეტყვით, რომ საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის რწმუნებულებმა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განახორციელეს 45 გეგმიური და 313 არაგეგმიური მონიტორინგი. ნანუაშვილი აღნიშნავს, რომ წინა წლებთან შედარებით მდგომარეობა გაუმჯობესებულია და პატიმართა წამება, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა სისტემურ ხასიათს აღარ ატარებს, თუმცა მის მიერვე მოყვანილი ფაქტები, მიუთითებს იმაზე, რომ პრობლემა კვლავ სერიოზულია. მაგალითები არცთუ ისე ცოტაა:

1. 2013 წლის 24 დეკემბერს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები ახორციელებდნენ გეგმიურ მონიტორინგს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #8 დაწესებულებაში. საკარანტინო რეჟიმის შემოწმების დროს პრევენციული ჯგუფის ყურადღება მიიპყრო რამდენიმე ადამიანის ხმამაღალმა შეძახილმა. შექმნილ ვითარებაში გარკვევის მიზნით, ჯგუფის წევრები ავიდნენ საკარანტინო განყოფილების მეორე სართულზე, სადაც დაინახეს, რომ #8 დაწესებულების რამდენიმე თანამშრომელი გარს იყო შემოხვეული პატიმარს და აყენებდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას. ვიზუალური დათვალიერებით, პატიმარ ო.გ-ს სხეულზე დაზიანებების კვალი აღენიშნებოდა. პატიმარი აცხადებს, რომ მას აქვს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა, რაც ციხის თანამშრომლებთან შელაპარაკების მიზეზი გახდა, ხოლო შელაპარაკება მის მიმართ ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფაში გადაიზარდა. სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა, საქართველოს მთავარ პროკურორს, დაუყოვნებლივ დაიწყოს გამოძიება, მსჯავრდადებულის მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტზე. მთავარი პროკურატურიდან მიღებული პასუხით ირკვევა, რომ თბილისის პროკურატურაში დაიწყო გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

2. 2013 წლის 10 დეკემბერს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #7 დაწესებულებაში შეხვდა და ესაუბრა მ.გ-ს. მსჯავრდადებულის განმარტებით, 2013 წლის 7 დეკემბრის საღამოს დაწესებულების თანამშრომლებთან მოუვიდა უმნიშვნელო შელაპარაკება, ამ ფაქტიდან 5 წუთში ხსენებულმა თანამშრომელმა მ.გ-ს უთხრა, რომ უფროსი ეძახდა და გაიყვანა საკნიდან. მსჯავრდადებული შეიყვანა ადმინისტრაციის ერთ-ერთ ოთახში, სადაც იმყოფებოდა დაწესებულების დირექტორი, მისი ორი მოადგილე და სხვა თანამშრომლები. მ.გ-ს ჰკითხეს რატომ შეაგინა თანამშრომელს, რასაც მოჰყვა მისი ცემა. მსჯავრდადებულის განმარტებით, ცემა გრძელდებოდა დაახლოებით 5 წუთი. შემდეგ გაიყვანეს ოთახიდან, წაიყვანეს საკნის მიმართულებით. დერეფანში გასვლის დროს მ.გ-მ სხვა საკანში მყოფ მსჯავრდადებულებს უთხრა, რომ ის სცემეს, რის გამოც მ.გ. დააბრუნეს ოთახში, დაადეს ხელბორკილები და განმეორებით სცემეს. პატიმარს სხეულზე აღენიშნებოდა დაზიანებების კვალი. სასჯელაღსრულების სამინისტროს გენინსპექციამ მომხდართან დაკავშირებით მოკვლევა დაიწყო.

3. 2013 წლის 10 მაისს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #7 დაწესებულებაში შეხვდა მსჯავრდადებულ ი.ნ-ს. პატიმრის თქმით, მან დეპარტამენტის თანამშრომლებს მიაწოდა ინფორმაცია #7 დაწესებულებაში პატიმრების უფლებების დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით, რის შემდეგაც ის გაიყვანეს პატიმრებისთვის სასეირნოდ გამოყოფილ ეზოში, სადაც მასთან მივიდა დაწესებულების დირექტორის მოადგილე და უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ მან ინფორმაცია მიაწოდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის წარმომადგენლებს. ი.ნ ამბობს, რომ დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ მას მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, სცემა ხელით და ხელკეტებით ზურგისა და გვერდების არეში. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წვერებმა დააფიქსირეს მსჯავრდადებულის სხეულზე არსებული დაზიანების კვალი. სახალხო დამცველის აპარატმა ზემოაღნიშნული ფაქტის ამსახველი მასალები რეაგირებისთვის მთავარ პროკურატურას გადაუგზავნა, სადაც საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით აღიძრა.

4. 2013 წლის 30 სექტემბერს სახალხო დამცველის რწმუნებულები შეხვდნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #2 დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდადებულ დ.ბ-ს. მისი განმარტებით, 2013 წლის 25 სექტემბერს დაწესებულების თანამშრომელმა მოტყუებით გამოიყვანა საკნიდან, რის შემდეგაც დირექტორის მოადგილემ, რეჟიმის განყოფილების უფროსმა და ცვლის უფროსმა ძალის გამოყენებით გადაიყვანეს „ა“ კორპუსის სამარტოო საკანში. დ.ბ-ს გადმოცემით, სამარტოო საკანში შეყვანისას მას ხელსა და ფეხზე დაადეს ბორკილები, რის შემდეგაც მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. დაწესებულების დირექტორის მოადგილემ რამდენჯერმე დაარტყა მუშტი სახეში. თანამშრომლებმა კი მთელი ღამის განმავლობაში ბორკილდადებული დატოვეს სამარტოო საკანში. საქმე ომბუდსმენის აპარატმა რეგიორებისთვის პროკურატურას გადაუგზავნა, სადაც საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 378-ე მუხლით აღიძრა.

5. 2013 წლის 6 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველს ახსნა-განმარტებით მიმართეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #6 დაწესებულების მსჯავრდადებულებმა დ.ო-მ და ნ.ბ-მ. მათი განმარტებით, 2013 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში გამოცხადდეს შიმშილობა საქართველოს პარლამენტის მიერ სისხლის სამართლის კოდექსში გარკვეული ცვლილებების შეტანის მოთხოვნით. ნოემბრის ბოლოს, მათთან საკანში მივიდა, #6 დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომელი და მსჯავრდადებულები წაიყვანა ადმინისტრაციული კორპუსის მიმართულებით. გზაში მათ შეხვდნენ დაწესებულების ადმინისტრაციის სხვა თანამშრომლები, რომლებმაც ძალის გამოყენებით დაადეს ხელბორკილები. დ.ო. და ნ.ბ. აცხადებენ, რომ დაწესებულების









© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ბის ფაქტები ციხეებში

# საუბრობს უჩა ნანუაშვილი?



თანამშრომლები მათ ძლიერად უჭერდნენ ხელს იმ ადგილზე, სადაც მიყენებული ჰქონდათ თვითდაზიანებები, ურტყამდნენ თავისა და ზურგის არეში. მსჯავრდადებულთა განმარტებით, თანამშრომლებმა ისინი მიიყვანეს ადმინისტრაციულ კორპუსში, სადაც კვლავ განაგრძეს მათი ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. ნ.ბ. აცხადებს, რომ მას ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა #6 დაწესებულების დირექტორმა. აღნიშნული საქმე, ასევე, მთავარ პროკურატურას გადაეგზავნა შემდგომი რეაგირებისთვის, საიდანაც მიღებული პასუხით ირკვევა, რომ გამოძიება მიმდინარეობს პატიმრის მიერ აკრძალული ნივთის შენახვის ფაქტზე, მათ მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტზე კი გამოძიება არ დაწყებულა.

6. 2013 წლის 6 დეკემბერს, საქართველოს სახალხო დამცველს ახსნა-განმარტებით მიმართა მსჯავრდადებულმა ა.ბ-მ. მისი თქმით, 2013 წლის 25 სექტემბერს დაგეგმილი იყო მისი გადაყვანა სადის #17 დაწესებულებაში. პატიმარი აცხადებს, რომ თავს შეუძლოდ გრძნობდა, რის შესახებაც ტრანსპორტში ჩაჯდომამდე განუცხადა საბადრაგო სამსახურის თანამშრომლებს, თუმცა მას განუმარტეს, რომ საჭიროების შემთხვევაში გაეწეოდა შესაბამისი დახმარება. მსჯავრდადებული მგზავრობისას ცუდად გახდა და სამედიცინო დახმარება ითხოვა, თუმცა საბადრაგო სამსახურის თანამშრომლებმა მას უთხრეს, რომ დახმარებას გაუწევდნენ დანიშნულების ადგილზე მისვლის შემდეგ. ა.ბ-ს განმარტებით, მან გონება დაკარგა, გონზე მოსვლის შემდეგ კი იმის გამო, რომ არ უწევდნენ სამედიცინო დახმარებას, თვითდაზიანება მიიყენა მანქანაში ნაპოვნი თუნუქის ნაჭრით. როგორც მსჯავრდადებული აცხადებს, ის მიიყვანეს სადის შენობის ეზოში, სადაც აღელვების ნიადაგზე კვლავ მიიყენა თვითდაზიანება და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ექიმებს. ამის შემდეგ მსჯავრდადებულს დაადეს ხელბორკილები, დააწვინეს პირქვე, გადმოათრიეს მანქანიდან და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაახლოებით 20-მა თანამშრომელმა დაუწყო წიხლებით ცემა. მსჯავრდებული აცხადებს, რომ მისი ფიზიკური შეურაცხყოფა შეწყდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც შემთხვევის ადგილზე მივიდა მისთვის უცნობი პირი და ბრძანება გასცა, რომ მსჯავრდადებული სადის #6 დაწესებულებაში გადაეყვანათ. ა.ბ-ს განმარტებით, მასზე ფიზიკური შეურაცხყოფა სასჯელაღსრულების დაპარტამენტიდან #6 დაწესებულებაში მგზავრობისას გაგრძელდა. ომბუდსმენმა ეს საქმეც გამოძიების მიზნით პროკურატურას გადაუგზავნა.

7. 2013 წლის 11 აპრილს სახალხო დამცველის რწმუნებულები შეხვდნენ სადის #7 დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდადებულ ი.მ-ს. მისი განმარტებით, 5 აპრილს ის გადაიყვანეს #6 დაწესებულებიდან #7 დაწესებულებაში, სადაც მიღებისას დირექტორის მოადგილემ მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა და დაემუქრა. ი.მ-ს გადმოცემით, ის მოათავსეს დაწესებულების მე-7 საკანში, სადაც მის მიმართ განხორციელებული მუქარისა და ფიზიკური შეურაცხყოფის გამო მიიყენა თვითდაზიანება. მისი თქმით, დაახლოებით 3 სათის შემდეგ გადაიყვანეს სამოქალაქო სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც დაუმუშავეს ჭრილობები და დააბრუნეს #7 დაწესებულებაში. მსჯავრდადებულის განმარტებით, დაწესებულებაში დაბრუნებულს მას დახვდა უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი და დაწესებულების დირექტორი. მას ჰკითხეს დაზიანების მიყენების საფუძველი. ი.მ-მ მათ მოუთხრო განხორციელებული მუქარისა და ფიზიკური შეურაცხყოფის შესახებ. ი.მ-ს გადმოცემით, ამის შემდეგ ის შეასახლეს #2 საკანში, სადაც მასთან ერთად დილამდე იმყოფებოდნენ მე–7 დაწესებულების თანამშრომლები, რათა არ მიეყენებინა თვითდაზიანება. მსჯავრდადებულის განმარტებით, დილით მასთან კვლავ შევიდა დირექტორის მოადგილე, სახელად გია, რომელიც კვლავ დაემუქრა და უთხრა, აქ ამოგხდება სულიო. ი.მ. იძულებული გახდა, კვლავ მიეყენებინა დაზიანება ქვედა კიდურზე, რის შემდეგაც დაწესებულების დირექტორმა მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა და დაემუქრა, „გაგაფუჭებო". ამის შემდეგ, პატიმარმა ყელის არეში კვლავ მიიყენა თვითდაზიანებები და აცხადებდა, რომ თავს არ გრძნობდა უსაფრთხოდ.

8. 2013 წლის ნოემბერ-დეკემბერში სახალხო დამცველს არაერთი, მათ შორის კოლექტიური განცხადებებით მიმართეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #19 დაწესებულებაში (ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრი) მყოფმა მსჯავრდადებულებმა, რომლებიც სადის თანამშრომლების მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე მიუთითებდნენ. 2013 წლის 23 დეკემბერს პრევენციის ეროვნული მექანიზმის არაგეგმიური მონიტორინგისას მიღებული ინფორმაციისას, მსჯავრდადებულებს – ი.ფ-ს, გ.კ-ს და სხვების მიმართ, სავარაუდოდ, ადგილი ჰქონდა ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას, ასევე, არაპროპორციული ძალის გამოყენებას. მსჯავრდადებულების თქმით, აღნიშნული ქმედებები მათ მიმართ განხორციელდა #19 დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების უფროსის, ადმინისტრაციისა და სხვა თანამშრომლების მხრიდან, რომლებიც განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდნენ სხვა დაწესებულებებში მსჯავრდადებულთა გადაყვანის დროს. საქმე პროკურატურას გადაეგზავნა, თუმცა ომბუდსმენის ინფორმაციით, გამოძიება არ დაწყებულა.

9. სახალხო დამცველის რწმუნებულები შეხვდნენ და გაესაუბრნენ სადის #8 დაწესებულებაში მყოფ არასრულწლოვან მსჯავრდადებულებს – უ.ბ-სა და ა.მ-ს. მათი განმარტებით, 2013 წლის პირველ დეკემბერს #11 დაწესებულებიდან გადაიყვანეს #8 დაწესებულებაში, სადაც რეჟიმის განყოფილების უფროსმა, დირექტორის მოადგილემ და სხვა თანამშრომლებმა მოულოდნელად დაადეს ხელბორკილები და წააქციეს. მსჯავრდადებულთა გადმოცემით, ძალის გამოყენებამდე რაიმე მითითებას ადგილი არ ჰქონია. აღნიშნული ფაქტის შემდეგ ა.მ-მ მიიღო სხეულის დაზიანება.

ეს არის არასრული ჩამონათვალი იმ პატიმრების საქმეებისა, რომლებიც არასათანადო მოპყრობას დაექვემდებარნენ. ომბუდსმენის ანგარიში, ასევე, ხაზგასმულია, რომ არასათანადო მოპყრობის ფაქტების ეფექტური გამოძიება კვლავ პრობლემატურ საკითხად რჩება.











© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# გიორგი ვაშაძეს არასაპარლამენტოებთან კონსულტაციები ჰქონდა?

ქეთი ხატიაშვილი

**„გადატრიალებას“ არასაპარლამენტო პარტიებში ყველა მოუთმენლად ელოდა. მოულოდნელად გავრცელდა ხმები იმის შესახებ, რომ გიორგი ვაშაძე პარლამენტს გარეთ პოლიტიკურ მოკავშირეებს ეძებდა. და, რა თქმა უნდა, ამ ხმებს ვერსიების მთელი კასკადი მოჰყვა, ზოგი ლოგიკური, ზოგიც – არა.**

გიორგის რომ სერიოზული დისკომფორტი აქვს პარტიაში, ამაზე თავად, რა თქმა უნდა, არ საუბრობს, თუმცა, ამის შესახებ რატომღაც ყველამ იცის. და სწორედ ასეთ დროს ჩნდება ხოლმე ახალი ლიდერის „დაბადების“ მოლოდინი.

არასაპარლამენტო პარტიებში ახლა ორი ლიდერი ჩანს – პრორუსი ნინო ბურჯანაძე და პროაქტიური შალვა ნათელაშვილი. თუმცა, იგივე IRI-ს კვლევებმა აჩვენა, რომ მესამე პოზიცია „ქოცებისა“ და „ნაცების“ შემდეგ არასაპარლამენტოს უკავია. თუმცა, ხმების უმრავლესობა არც ბურჯანაძეს ეკუთვნის და არც ნათელაშვილს. გამოკითხულთა 11% ახალი ლიდერის „დაბადებას“ ელოდება. ამ ლიდერად მოიაზრეს სწორედ გიორგი ვაშაძე.

წინაასაარჩევნოდ ნაცებიდან ვაშაძის წასვლა, ბუნებრივია, ხელსაყრელი იქნებოდა მათთვის, ვინც ჯერ ვერც კოალიციაზე ჩამოყალიბდა და მით უფრო, ვერც მერობის კანდიდატურაზე.

**უფლებადამცველი ბურჯანაძის შეთავაზებას უარყოფს, თუმცა, კულუარებში მათ შორის მოლაპარაკებები დასტურდება. დიმიტრი ლორთქიფანიძის თქმით:**

– ჯერჯერობით რაიმე შემოთავაზება არ მაქვს. ამ ეტაპზე კონსულტაციებს ვაწარმოებ. ჯერჯერობით მეტს ვერაფერს გეტყვით, ერთ კვირაში თავად განვაცხადებ ჩემი გეგმების შესახებ. როგორც იცით, არ ვარ რომელიმე პარტიის წევრი და მოკლებული ვარ შესაძლებლობას, დავსახელდე საზოგადოების ერთი ნაწილის მიერ. ამიტომაც იძულებული ვარ, კონსულტაციები ვაწარმოო პოლიტიკურ პარტიებთან. რაც შეეხება ნინო ბურჯანაძის შემოთავაზებას, ამ ინფორმაციას უარვყოფ.

კანდიდატურის მოძებნა, ბურჯანაძესაც უჭირს. სერიოზული ფიგურები პოლიტიკურ ბატალიებში ჩართვას ამ ეტაპზე არ აპირებენ, მით უფრო, პრორუსულ ორბიტაზე არავის სურს საკუთარი თავის დაფიქსირება.

ამიტომაც, თუკი გიორგი ვაშაძე გადაწყვეტდა, არასაპარლამენტოები შედარებით რეალური პოლიტიკური პროცესის მონაწილეები გახდებოდნენ.

სხვა თემაა, რამდენად მომგებიანი იქნებოდა თავად ვაშაძისთვის ამ ნაბიჯის გადადგა. ჯერჯერობით ყველა, ვინც სხვადასხვა მიზეზით „ნაცმოძრაობა“ დატოვა, ვერ შედგა ვეღარც პოლიტიკოსად და ვეღარც გავლენიან ფიგურად. ჩვენ ახლა მხოლოდ შეგვიძლია, გავიხსენოთ თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი თავისი მკაცრი და პრინციპული განცხადებებით, შეგვიძლია, მოვიგონოთ, როგორ დადიოდა დაუღალავად პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე საზღვარგარეთ ვიზიტებით. ჩვენ ახლა მხოლოდ სოციალურ ქსელებში ვკითხულობთ სალომე ზურაბიშვილს. არადა, ერთ დროს ის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო.

ასე რომ, როგორიც არ უნდა იყოს გიორგი ვაშაძის ამბიციები, მას პერსპექტიული არჩევანი არ აქვს. სალომე ზურაბიშვილი იყო პირველი, ვინც დიდი საპროტესტო აქცია გამართა სააკაშვილის წინააღმდეგ, თუმცა, მან ვერ მოახერხა გუნდის შექმნა, რამაც საბოლოოდ პრობლემები შეუქმნა. გუნდის აწყობა ვერც ირაკლი ალასანიამ შეძლო. მიუხედავად იმისა, რომ ფინანსურად მასზე ახლები მუშაობდნენ, ინტელექტუალურად კი რესპუბლიკელები, თავად ამ პირამიდის გამყარება ვერ მოახერხა. გუნდთან ვერ იმუშავა. ვის დაეყრდნობოდა გიორგი ვაშაძე?

ერთ-ერთი ვერსიით, ის და ირაკლი ალასანია პოლიტიკურ დუეტს შექმნიან. თუმცა, ადგილობრივი არჩევნების წინ ყველას ესმის, რომ უკვე გვიანია. რა მოხდება შემდეგ, ძნელი სათქმელია. ირაკლი ალასანია თუ გადადგა, დიდი პროდასავლური კოალიცია თუ გაკეთდა, ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

გიორგი ვაშაძე ჭკვიანია საიმისოდ, რომ ახლა სულელური ნაბიჯი არ გადადგას. არასაპარლამენტო ოპოზიციაში, როგორც ჩანს, ის საიმედო და შთამბეჭდავ პარტნიორს ვერ ხედავს.

ასე რომ, როგორც ამბობენ, გიორგი ვაშაძის წასვლა დროის ამბავია. ყველაფერს პოლიტიკური პროცესების განვითარება გამოაჩენს. თუმცა, როგორც მიანიშნებენ, ბევრი რამ ვანო ჩხარტიშვილზეც იქნება დამოკიდებული. ისინი ნათესავები არიან. ამბობენ, რომ, საბოლოოდ, სწორედ ეს კავშირი დააყენებს ერთად პოლიტიკაში ჩხარტიშვილსა და ვაშაძეს. მაშინ როცა ამის დრო მოვა. ახლა ის, უბრალოდ, ბიზნესმენია.

ვანო ჩხარტიშვილი ჯერ მხოლოდ საქართველოში დაბრუნდა, რამდენად დაბრუნდება ის პოლიტიკაშიც, ძნელი სათქმელი.

## შავი ცარცის წრე კუკავას გარშემო

რა საერთო აქვთ ჯონდი ბაღათურიას, შალვა ნათელაშვილსა და კახა კუკავას? თითქოს არც არაფერი. ნათელაშვილი ყოველთვის თავის პარტიაში იყო, ბაღათურია – სხვის პარტიაში, კახა კუკავა – ხან ისე, ხან ასე. ნათელაშვილი არასოდეს ყოფილა ხელისუფლებაში, ბაღათურია ყოველთვის იქ იყო, სადაც ხელისუფლებაში ყოფნის შანსი ჰქონდა, კუკავა – ხან ისე და ხან ასე. რაც შეეხება ფულს, როგორც ამბობენ, ამ მხრივ, სისუსტე სამივე მათგანს ჰქონდა. თითქოს ამის გამო მოიძულა ისინი ბიძინა ივანიშვილმა. და ახლა თითოეული მათგანი პოლიტიკური რუკიდან წაშლის კანდიდატია.



## რატომ ელოდნენ ნაცების ერთ-ერთ ლიდერს ოპოზიციაში

ჯონდი ბაღათურია გვატყუებს, ნინო ბურჯანაძესთან ვარ კოალიციაშიო, სინამდვილეში ის უკვე აღარ არსებობს. ვარაუდობენ, რომ ადგილობრივ არჩევნებში ნინო სულ 2 ან 3 კაცს გაიყვანს. ჯონდისთვის საარჩევნო სიის 20-ეულშიც კი არ მოიძებნა ადგილი.

კახა კუკავა კი ჯერ გააკოტრეს და ახლა დიდი შანსია, ის მარტო დარჩეს და სულაც პოლიტიკურ პროცესებს ჩამოშორდეს. კონსულტაციები არასაპარლამენტო ოპოზიციაში საკმაოდ მძიმედ მიდის და ჯერ არანაირი შედეგით არ სრულდება.

ბოლო ვადა 10 აპრილს იწურება. ამ დღეს არასაპარლამენტოების დანარჩენი ნაწილი გადაწყვეტს, ბოლოს და ბოლოს, ერთად დგება თუ მარტივ მამრავლად დაიყოფა. თუმცა, როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ახლა მათემატიკას – არც გამრავლებას და არც მიმატებას. მცირედი შანსი მხოლოდ ნინო ბურჯანაძეს დარჩა.







## ვინ დაწყევლა კახა კუკავა და რატომ დარჩა ის მარტო



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ნავერტილე“ და პუტინის ფავორიტი ალიანსს ქმნიან

ქეთი ხატიაშვილი

**კობა დავითაშვილი და ნინო ბურჯანაძე დაძმობილდნენ. ასე რომ, კობა დავითაშვილმა სულ ტყუილად დაიბარა, პოლიტიკიდან მივდივარ და პარლამენტში ვრჩებიო. სინამდვილეში პარლამენტიდან უფრო წავიდა (დიდი ხანია იქ აღარავის უნახავს), ვიდრე პოლიტიკიდან.**

ასე რომ, ახლა, თუ არ ვცდები, ხალხის პარტიის ლიდერი ბურჯანაძეს შეეკრა. ადგილობრივ არჩევნებთან ერთად ნინო, როგორც ჩანს, პარლამენტშიც გეგმავს ფრაქციის შექმნას. დახმარება კი კობა დავითაშვილმა შესთავაზა.

მოუსვენარი და დაუდგრომელი კობა დავითაშვილი. ისე, საინტერესოა, როგორ დააბანდა ან რაში დახარჯა მან ის მილიონი, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა მისცა.

შეიძლება ითქვას, რომ ის ყველაზე სკანდალური პოლიტიკური ფიგურაა. პოლიტიკაში მისი ზედმეტი სახელია „ნავერტილე“, პოლიტიკაში მისი ჰობი – ვაჭრობა, დამახასიათებელი თვისება – დეპრესია. მოკლედ, კობა დავითაშვილს საკუთარი ხელწერა აქვს. პოლიტიკაში ხან გამოჩნდება უკვე „ნავაჭრზე“ ხან გაქრება.

„ნავერტილე“ მისთვის მაინც პიკი იყო. ამ სკანდალმა სხვა ყველაფერი გადაფარა მის ირგვლივ, მათ შორის ისიც, რაც პოლიტიკაში კარგი უკეთებია.

„ნავერტილე“ – ეს როცა კობა დავითაშვილი 20 ათასს იღებდა, ქრთამის სახით. ეს ის შემთხვევაა, როცა ერთკაციანი პარტია ბევრია საქართველოში და არსებობს ეჭვი, რომ ისინი პოლიტიკით კი არ არიან დაკავებულნი, არამედ ბიზნესით, ანუ საარჩევნო სიაში ყიდიან ადგილებს. სწორედ ეს ფაქტი დააფიქსირეს „ნავერტილეს“ ვიდეოში. კობა დავითაშვილმა საარჩევნო სიაში გაყიდა ადგილი და ამაში 20 ათასი აიღო. ფულს ვინმე ალადინ მირზაევი იხდიდა. ერთ-ერთ კვების ობიექტზე კობა დავითაშვილი თან „ნავერტილეს“ შეექცევა და თან ბიზნესს ატრიალებს. მაშინ ოფიციალურად ისიც ითქვა, რომ „საქმიანი“ დავითაშვილი ფარული კამერით საკუთარი პარტიის წევრმა ჯერ გადაიღო და შემდეგ ოფიციალურადაც გაავრცელა. საუბარია კონსერვატორული პარტიის ქვემო ქართლის სამხარეო ორგანიზაციის ხელმძღვანელ აკაკი კაპანაძეზე.

ჩანაწერში დავითაშვილი მირზაევს ეუბნება: 150 ათასი დოლარი „არის ის თანხა, რომელიც ჩვენ გვჭირდება, რომ მოვიგოთ (ადგილობრივი) არჩევნები დარჩნენ ოპოზიციასთან ერთად თბილისში... ამ თანხის ამბავში ჩვენ მზად ვართ, რომ თქვენ იყოთ სამ ადგილში ყველაზე მაღალ ადგილზე...“

საინტერესოა, რომ ქრთამის მოთხოვნის ფონზე კობა დავითაშვილი ამბობს, რომ: „ჩემი ამოცანა არის, რომ ჩემი ქვეყნის ისტორიაში ჩავეწერო კარგად“.

სუფრასთანვე ალადინ მირზაევი 20 ათასს გადასცემს დავითაშვილს. შემდეგ ისმის დავითაშვილის



# რამდენი უჯდება ბურჯანაძეს დავითაშვილი



**მთავარი ინტრიგა ახლა ის არის, როდის გამოყოფს თავს კულისებიდან ნინოსა და კობას დამეგობრების ამბავი**

რეპლიკაა: „ძალიან კარგი“.

უპარტიო ალადინ მირზაევს რესპუბლიკური და კონსერვატორული ბლოკის საარჩევნო სიაში მე-5 ადგილი ეკავა. საინტერესოა, რომ ბლოკმა თბილისის საკრებულოში მხოლოდ ერთი დეპუტატი – კობა დავითაშვილი – გაიყვანა.

ამ სკანდალის შემდეგ დავითაშვილმა თქვა, რომ ეს ქრთამი კი არ იყო, არამედ ბრძოლა და რომ ის ფულს აიღებს ყველასგან, ვინც კი სააკაშვილის წინააღმდეგ თანხებს არ დაიშურებს.

მისი მორიგი „მსხვერპლი“ ბიძინა ივანიშვილი აღმოჩნდა. კობა დავითაშვილმა მას ტელევიზიით შესთავაზა თანამშრომლობა და მიუხედავად იმისა, რომ მის გარემოცვაში დავითაშვილს მოწინააღმდეგეები ჰყავდა, მილიარდერმა მილიონ 100 ათასი ლარი, ხალხის პარტიას, მაინც მისცა.

თუმცა, კოალიცია „ქართულ ოცნებას“ სწორედ მასთან გაუჩნდა პირველად პრობლემები. დავითაშვილი თითქოს საბაბსაც კი ეძებდა იმისთვის, რომ ის გაერიცხათ და მსხვერპლად გამოეცხადებინა თავი. ამ მიზნისთვის ბიძინა ივანიშვილის ხან ერთ ფავორიტს ეცა და ხან – მეორეს. თუმცა, არაფერი რომ არ გამოვიდა, ჩუმად დაიხურა ქუდი და წავიდა. მაგრამ შევარდნაძესავით სახლში კი არა – კულისებში.

ახლა საუბარია მასა და ნინო ბურჯანაძეს შორის „პოლიტიკურ ფლირტზე“. რა ინტერესი შეიძლება ჰქონდეს კობა დავითაშვილს? ალბათ, ფინანსური. ბურჯანაძეს? მას, როგორც ჩანს, სურს, პარლამენტში ფრაქცია შექმნას.

„ფორუმს“ უკვე დიდი ხანია, ბურჯანაძის მოკავშირედ ასახელებენ. მის მოკავშირედ შეიძლება ჩაითვალონ ისინიც, ვინც კოალიცია უკვე დატოვა. ასე რომ, წესით, ნინოს ფრაქციის შექმნა არ უნდა გაუჭირდეს.

ბიძინას თუ მილიონზე მეტი „დაუჯდა“ დავითაშვილი, საინტერესოა, რამდენს გადაიხდის ნინო ბურჯანაძე.

ისე, უცნაური „სასტავი“ კი შეკრიბა ბურჯანაძემ. ჯონდი ბაღათურიაც პოლიტიკაში, როგორც არაერთხელ წერდნენ მასზე, „ფულის სუნზე“ რეაგირებს...

სხვათა შორის, შემთხვევითი არ იყო, რომ ბურჯანაძე თავიდანვე ამბობდა უარს ერთკაციან პარტიებთან ურთიერთობაზე. როგორც ჩანს, ასეთი „თანამშრომლობა“ ძვირი ჯდება ხოლმე.

მთავარი ინტრიგა ახლა ის არის, როდის გამოყოფს თავს კულისებიდან ნინოსა და კობას დამეგობრების ამბავი.

ნინო ბურჯანაძესა და კობა დავითაშვილის „პოლიტიკური რომანი“ ახლა არ დაწყებულა. მცირე ტაიმ-აუტებით მათ ხშირად ჰქონდათ გადაკვეთა. კობა დავითაშვილი ნინო ბურჯანაძის გაშლილ კარავშიც იჯდა და შემდეგ უკვე პოლიტპატიმრების შეკრებასაც დაესწრო, ისევ ბურჯანაძესთან ერთად. ეს სპორტის სასახლეში მოხდა შარშან. ქართული კოალიციიდან ამ შეკრებას მხოლოდ კობა ესწრებოდა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# თავდაცვის სამინისტროს ტენდერებს ალა

ნანა შონია

**ჯარისკაცების მასობრივი მოწამვლების ფაქტის შემდეგ ირაკლი ალასანიას უწყება ახალ სკანდალში ეხვევა. ამჯერად საქმე უწყებაში მიმდინარე ტენდერებს ეხება, რომელსაც, რიგრიგობით, ალასანიასთან დაახლოებული პირები იგებენ. არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ სამინისტროს კონკრეტულ ფაქტებზე მიუთითებენ. საქმე ეხება, თავდაცვის სამინისტროს არასაცხოვრებელი შენობების რეკონსტრუქციას და კაპიტალური რემონტების განხორციელებას, რომელსაც შპს „არქიტექტურული ბიურო“ ახორციელებს(ს/ნ 404393483). ბიუროს ერთ-ერთი დამფუძნებელი და დირექტორი, თამარ ვალიშვილია. ვალიშვილი ალასანიასთან და მის ოჯახთან საკმაოდ დაახლოებული პირია და ძირითადი მოტივაცია ტენდერში მისი გამარჯვების, როგორც ამბობენ, სწორედ ეს არის.**

**არჩილ კაიკაციშვილი, „ახალგაზრდა ადვოკატების“ თავმჯდომარე:**

- თავდაცვის სამინისტროში სერიოზულ ტენდერებს მინისტრთან დაახლოებული პირები იგებენ. ერთ-ერთი ასეთია შპს. „არქიტექტურული ბიურო“ რომლის ხელმძღვანელიც არის თამარ ვალიშვილი რომელიც მინისტრთან დაახლოებული პირია. ჩვენ ვმუშაობთ იმაზე რა ნათესაური კავშირები არსებობს მას და მინისტრის ოჯახს შორის. ამასთან, არსებობს კითხვები თავდაცვის სამინისტროს კიდევ ერთ ტენდერთან დაკავშირებით, თუ რამდენად დასაბუთებულად მიღო უარი გამარჯვებაზე კომპანია „დელტაკომმა“ რომლის დამფუძნებელიც IBED – ის პარტნიორია“, - აცხადებს კაიკაციშვილი და უწყებას გამჭვირვალობისკენ მოუწოდებს.

ტენდერების თემა, სავარაუდოდ, კიდევ უფრო დიდი სკანდალის საფუძველი შეიძლება გახდეს. პროცესები, რომელიც თავდაცვის სამინისტროში მიდის, მალე საზოგადოებისთვის დეტალებში გახდება ცნობილი, ამის ნათელი მაგალითი IBED-ის პარტნიორი კომპანიის „კავკასიის განვითარების ფონდის“, შპს „დელტაკომის“ საქმეა. 2013 წელს ჩატარებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიმართ უამრავი კითხვა ჩნდება.

10 მილიონიანი ტენდერის დეტალები გრიფით „საიდუმლოს“ წარმოადგენს. თუმცა „დელტა კომის“ იურისტი ლაშა უფლისაშვილი ამბობს, რომ კომპანიამ თავდაცვის სამინისტროდან ტენდერის წაგების დეტალების შესახებ მოთხოვნილი ინფორმაცია ვერ მიიღო. კონკრეტულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით კი ალასანიას უწყების წინააღმდეგ საქმე საქართველოს მთავარ პროკურატურაში რამდენიმე დღის წინ შევიდა.

**ლაშა უფლისაშვილი: „პროკურატურისგან მოვითხოვთ, მოხდეს იმის შესწავლა თუ რამდენად მართლ ზომიერი იყო თავდაცვის სამინისტროში ჩატარებული ტენდერი!!!“**

**ლაშა უფლისაშვილი (კავკასიის განვითარების ფონდის ხელმძღვანელი):**

- კავკასიის განვითარების ფონდი არის ერთ-ერთი კომპანიის, შპს „დელტაკომის“ დამფინანსებელი, რომლის დამფუძნებელთა შორის არაერთი ცნობილი კომპანია, მათ შორის კი IBRD-ია. აღნიშნული ორგანიზაციები საქართველოში ბიზნესს აწარმოებენ და საქართველოს ბაზარზე უმსხვილეს დამფინანსებელს წარმოადგენენს. შპს „დელტაკომის“ 20% ფლობს აღნიშნული განვითარების ფონდი. 2013 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, გამოაცხადა და ჩაატარა დახურული აუქციონი. ეს იყო გრიფით „საიდუმლო“ და ამიტომაც მე არ ვარ უფლებამოსილი წარმოგიდგინოთ აღნიშნული ტენდერის მასალები. ამ ტენდერში, კომპანია შპს „დელტაკომთან“ერთად, სხვა 8 ქართული კომპანიაც მონაწილეობდა. სამწუხაროდ, ჩვენი კომპანია ტენდერში დამარცხდა, თუმცა ამ ტენდერში დამარცხების მიზეზები ბურუსით არის მოცული. ამიტომაც მივმართეთ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, რომ მოეწოდებინა ჩვენთვის ეს მასალები. თუმცა, სამწუხაროდ, კომპანიას ტენდერის შესახებ პასუხები დღემდე არ მიუღია. დღევანდელი მდგომარეობით ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ დაიწყო სამუშაოები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ჩვენ გადავხედეთ იმ სამუშაოებს, რომელსაც აღნიშნული კომპანია აწარმოებს. გვინდა გითხრათ, რომ ეს სამუშაოები არ შეესაბამება ტენდერით განსაზღვრულ სამუშაოებს და ძალიან ბევრი კითხვის ნიშანს აჩენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანია სპეციალური წერილით მიმართავს საქართველოს მთავარ პროკურატურას, დაიწყოს გამოძიება აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით.

**- ტენდერით რა სამუშაოები იყო შესასრულებელი და დაახლოებით რა რაოდენობის თანხებზეა საუბარი?**

- ამ ტენდერის პირობები არის გრიფით „საიდუმლო“ და მის დეტალებზე საუბარი არ შეგვიძლია. გეტყვით იმას, რომ დაახლოებით 10 მილიონიან ტენდერზეა ლაპარაკი. არავითარი დამატებითი დეტალების გამხელას არ ვაპირებთ.









## რატომ დუმს თავდაცვის სამინისტრო?

**- თქვენ ეჭვი გაქვთ, რომ თავდაცვის სამინისტროში ადგილი აქვს კორუფციულ გარიგებას?**

- მე თავს შევიკავებ წინასწარ რაიმე ეჭვების გამოთქმისგან. ეს არის გრიფით „საიდუმლო“ მასალები და ამიტომაც პროკურატურისგან ვითხოვთ კონკრეტულ მასალებზე პასუხს.

**- რა დოკუმენტაცია შედის პროკურატურაში და რამდენად არის საქმის აღძვრის საფუძველი?**

- საფუძველი, ალბათ, არსებობს, ჩვენ გვაქვს კონკრეტული დოკუმენტაცია რომელიც ამ ეჭვებს აღძრავს და ვთვლით, რომ ამით უნდა დაინტერესდეს საგამოძიებო ორგანოც. ეს არის დოკუმენტები, რომელზეც ჩვენ დაშვება გვქონდა.

**- თუ ხედავთ ვინმეს ინტერესებს ამ ყველაფრის უკან?**

- ჩვენ ვარაუდების საფუძველზე მსჯელობის უფლება არ გვაქვს სწორედ ამიტომაც ჩვენი სურვილია ყველა კითხვაზე კომპეტენტურმა ორგანოებმა გასცენ პასუხი.

ზემო აღნიშნული ფაქტების გა-


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



# ალასანიას უწყების საქმიანობას პროკურატურა შეისწავლის...

## თავდაცვის სისტემაში ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტები გრძელდება...

EXCLUSIVE





დამოწმების მიზნით „პრაიმტაიმი“ თავდაცვის სამინისტროსთან დაკავშირებას აქტიურად ცდილობდა, თუმცა უშედეგოდ. უწყების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელმა ცოტა ხანში დაკავშირება გვთხოვა, თუმცა მოგვიანებით ჩვენს ზარებს არ უპასუხა. თავდაცვის სამინისტროდან პასუხგაუცემელ კითხვებზე კვლავ აქტიურად საუბრობენ არასამთავრობო ორგანიზაციები.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ უწყებაში არსებულ ვითარებას კიდევ ერთი ბრიფინგი გასულ კვირასაც მიუძღვნეს, სადაც ჯარისკაცების მასობრივ მოწამვლების ფაქტებზე კიდევ ერთხელ გაამახვილეს ყურადღება. ორგანიზაცია, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართავს და მოითხოვს საზოგადოებისთვის ცნობილი გახდეს, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში, ჯარისკაცების საკვებით მოწამვლის ფაქტები, კვლავ გრიფით „საიდუმლო“ კატეგორიას განეკუთვნება თუ არა. „ახალგაზრდა ადვოკატები“ ითხოვენ, რომ ამ საქმეებთან დაკავშირებით საგამოძიებო მოქმედებების შედეგები გასაჯაროვდეს. არჩილ კაიკაციშვილის განცხადებით, ორგანიზაციამ აღნიშნულ ინფორმაციაზე, საჯარო უწყებიდან გამოხმაურება ვერ მიიღო, რაც იწვევს ვარაუდს, რომ ჯარისკაცების მოწამვლის საქმეები, კვლავ გრიფით „საიდუმლოს“ სტატუსით სარგებლობს. მეტიც, სამხედრო მოსამსახურეების კვებით უსაფრთხოებაში კვლავ პრობლემებია და ამ მიმართულებით, თავდაცვის სამინისტროში სისტემური ჩავარდნები გრძელდება.

### „დელტაკომის“ საქმე ალასანიას უწყების ახალი სკანდალის მიზეზი ხდება...

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მოითხოვენ დაჩქარდეს გამოძიება და საზოგადოება ფლობდეს ინფორმაციას 2014 წლის მანძილზე სხვადასხვა ქვეით ბრიგადაში 200-ზე მეტი ჯარისკაცის მოწამვლის ფაქტებთან დაკავშირებით. გავრცელებული ინფორმაციით, უხარისხო საკვებით, სხვადასხვა პერიოდში, ჯარისკაცები მოიწამლნენ მე-4 ბრიგადაში, ალგეთის პოლიგონის 23-ე ბრიგადაში და უფლისციხეში, ლოჯისტიკის სამხედრო ნაწილში.

უფლისციხის შემთხვევა 2014 წლის 24 მარტს მოხდა, სადაც 20-მდე სამხედრო პირი მოიწამლა. ორგანიზაციის შეფასებით, ფაქტებთან დაკავშირებით, საქმის გამოძიება ჭიანურდება და არაეფექტურია.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ სამინისტროს კვებითი უსაფრთხოების გაძლიერებისკენ მოუწოდებენ. ისინი ითხოვენ, რომ მოხდეს კვებით უზრუნველყოფაზე კონტრაქტორი კომპანიების მიერ პასუხისმგებლობის აღება, ვინაიდან ღიად რჩება საკითხი, თუ როდემდე უნდა გაგრძელდეს ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტები და მათზე არ ხდებოდეს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირების პასუხიმგებლობის საკითხის დასმა.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# პოლიტიკური ნაფტალინი და ღამის გაჩეჩილაძ ლორთქიფა საარჩევნო რ




ქეთი ხატიაშვილი

**არიან პირები პოლიტიკაში, ვისაც პოლიტიკური ნაფტალინიც არ ინახავს. ასეთია გია გაჩეჩილაძე. წინა საუკუნეში ზურაბ ჟვანიას პარტიაში იყო. ეს 90-იანი წლების დასაწყისში. მერე ჟვანია დიდ პოლიტიკაში გადავიდა და პარტიიდან თითქმის ყველა წაიყვანა, გიორგი გაჩეჩილაძის გარდა. იცოდა, რომ მასში არაფერი ღირებული და მნიშვნელოვანი არ იყო. ალბათ, სწორედ ასე აფასებდა გაჩეჩილაძეს.**

რამდენიმე დღის წინ, პარლამენტში გამოსვლის დროს, გაჩეჩილაძემ ზურაბ ჟვანია ახსენა და ჩემი მეგობარიიო, დაამატა. „მეგობარი ჟვანიას“ შესახებ კი ინფორმაცია მწვანეთა „ლიდერს“ არც საკუთარი პარტიის ბევგვერდზე უდევს და არც ვიკიპედიაში უწერიათ დამფუძნებლებს შორის. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქო მზარეულიც თავად იყო პარტიაში და დარაჯიც. ეს კიდევ ერთი კლასიკური მაგალითია იმისა, როგორ იყენებენ ეგრეთწოდებული მეგობრები ჟვანიას სახელს.

გია გაჩეჩილაძეს არავითარი ღირებულებითი მრწამსი არ გააჩნია. როგორ მოხვდა კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ დიდ გამოცანად რჩება. სამაგიეროდ ბანალური მიზეზით გავიდა ის კოალიციიდან – ფული არ მისცეს. გასული წლის აგვისტოში მან პირველად განაცხადა, რომ კოალიციას ტოვებს, რადგანაც დაფინანსება არ მისცეს.

ასეა, ერთკაციანი პარტიები ყოველთვის ცდილობენ, სადღაც რომელიღაც კოალიციაში ჩაეკვეხონ, რომ შემდეგ ფული მიიღონ. მმართველმა კოალიციამ ძალიან სწორი პოზიცია დაიჭირა, როცა კანონით ასეთი ერთკაციანი პარტიების ბიზნესი არ წაახალისა და მხარი არ დაუჭირა.

**„მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ დაგვეტოვებინა კოალიცია და „მწვანეთა პარტიამ“ დამოუკიდებლად იბრძოლოს საქართველოში ჯანსაღი პოლიტიკური სპექტრის შენარჩუნებისთვის“**

გაჩეჩილაძე ჯერ გაბრაზდა და შემდეგ კოალიცია დატოვა. პარტიის მზარეულმა და დარაჯმა, როგორც ჩანს, ახალი „პატრონი“ იშოვა, ამიტომაც ახლა საკუთარი თავი წამოაყენა მერობის კანდიდატად. მხარს კი მას პოლიტპატიმრები და რადიკალი პრორუსები უჭერენ. ადამიანების ძალიან მცირე კატეგორიაა, მაგრამ მის სამზარეულოს ჰყოფნის.

საარჩევნო რინგზე ის პირდაპირ პარლამენტიდან ავიდა, როცა წინა კვირას მოულოდნელად გამოვიდა და „ნაციონალურ მოძრაობას ქალივით დააცხრა თავს. უკვე გასაგები იყო, რომ შემთხვევით არ გაცხარდა:

„წიკლაურის ცემისა თუ თვითგვემის თუ რაღაცა ფაქტი გამოძიებული უნდა იყოს თავისთავად და იმედია, რომ მალე დაიდება ამის შესახებ ინფორმაცია. მაგრამ, პარალელურად, მე ვითხოვ, იმის გამოძიებას, როდესაც 2012 წელს, ჩემს ოჯახში შევარდნენ ნილბიანები. ჩემს სიძეს ავტომატი კალაშნიკოვი ჩაუდეს ჩემი შვილიშვილების წინ. 4 და 5 წლის აცრემლებული ბავშვების თვალწინ ჩაუდეს ავტომატი, მერე ვითომ ამოიღეს, მერე ჩემი სიძე დაიჭირეს და ეს ხალხი გამოდის და აქ რაღაცებს ყბედობს, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. ეს ყაჩაღები.

მე მოვითხოვ, 2007 წელს, მწვანეთა პარტიას გარშემო ალყა რომ შემოარტყა ორას ორმოცმა შეიარაღებულმა კაცმა და ისე გამოაძევეს თქვენი და ჩვენი მეგობრის ჟვანიას მიერ შექმნილი პარტია ოფისიდან, აი, ამის გამოძიებას ვითხოვ.

ის უგულავა რომ „დაგულაობს“ და მერაბიშვილი კიდევ ციხეში რომ აგდია და კიდევ სააკაშვილი საიდანღაც რომ ბატონობს... წესიერად კი არა, ნერვები არ ამიშალოთ თორემ, აქა ხართ აი, უკვე. გათახსირებულები ესენი. ეს ყველაფერი არის ხელისუფლების ბრალი, რომ ამათ ასე ალაპარაკებს, რომ ამდენს ბედავენ ესენი, ეს ბანდიტები. უყურე ერთი ამათ. ჩვენ ზურგზე გადავიტანეთ თქვენი ისა, რა ჰქვია, რა გერქვათ, რეჟიმი გერქვათ თუ უბედურება, საკუთარ ზურგზე.

დაამთავრეთ რაა, მივმართავ ხელისუფლებას, დაამთავრეთ ეს ამბავი. ეს კონცერტი უნდა დამთავრდეს ბოლოლო, რა. მე მოვითხოვ, დაინიშნოს ახალი რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები თვითმმართველობის არჩევნებთან ერთად. ანდა შემოდგომაზე დავნიშნოთ, იმიტომ, რომ ეს არის უკვე შეუძლებელი, ამის ატანა“.

ალბათ, საინტერესოა, ვისთან ერთად მიიღო გია გაჩეჩილაძემ არჩევნებში მონაწილეობა. ჩვენ ვიცით, რომ დავით ნარმანია ბიძინა ივანიშვილის იდეაა, რომელიც მან პოლიტსაბჭოზე განიხილა და ერთსულოვნად დაამტკიცა. ანუ თვითმხილველები, როგორ განიხილებოდა მისი კანდიდატურა, არსებობენ და მათ კომენტარებიც გააკეთეს.

ყველამ ვნახეთ „ნაციონალური მოძრაობის“ ყრილობა, სადაც ოფიციალურად დასახელდნენ მერობის კანდიდატებად ნიკა მელია და გიორგი ვაშაძე. ნინო ბურჯანაძემაც თავის გუნდთან ერთად დაასახელა საკუთარი კანდიდატურა – დიმიტრი ლორთქიფანიძე. და მხოლოდ გია გაჩეჩილაძემ მოითათბირა უჩინარ ადამიანებთან:

– ჯერ კიდევ დეკემბერში ვაპირებდით ამის გაკეთებას. ჩვენი პოზიცია იყო ასეთი: როდესაც ბიძინა ივანიშვილი წავიდოდა პოლიტიკიდან, ჩვენ დავტოვებდით უმრავლესობას, მაგრამ „მწვანეთა პარტიის“ პოლიტიკურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ფორმალურად ერთი თვე კიდევ დავრჩენილიყავით უმრავლესობაში და ერთი თვის შემდეგ გაგვეკეთებინა ეს განცხადება... აქედან გამომდინარე, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ დაგვეტოვებინა კოალიცია და „მწვანეთა პარტიამ“ დამოუკიდებლად იბრძოლოს საქართველოში ჯანსაღი პოლიტიკური სპექტრის შენარჩუნებისთვის. „მწვანეთა პარტიამ“ მიიღო გადაწყვეტილება, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში დამოუკიდებლად გავიდეს და წარადგინოს მერობის კანდიდატი. როგორც პარტიის პოლიტიკურმა კომიტეტმა გადაწყვიტა, მერობის კანდიდატი ვიქნები მე, გიორგი გაჩეჩილაძე, პარტიის გენერალური მდივანი...

ვინ არის „მწვანეთა პარტიის“ პოლიტიკური კომიტეტი, ხომ საინტერესოა? ვინ არის გაჩეჩილაძის გუნდი? ჩვენ კომიტეტის წევრების შესახებ ინფორმაციას ვერსად მივაგენით. ისინი არც კი იგუგლებიან, პარტიის საიტზე ყველა ინფორმაცია მხოლოდ გია გაჩეჩილაძეს ეხება და ყველა ფოტოზე პარტიიდან მხოლოდ თავად არის წარმოდგენილი.

სამაგიეროდ, მან რადიკალებისა და პოლიტპატიმრების მესიჯები გააჟღერა. პარტიაში პოლიტკომიტეტი

**„ერთიანმა ოპოზიციამ“ გადაწყვიტა, მერობის საკუთარი კანდიდატის პრეზენტაცია ღამის 12 საათზე გაემართა. მათ დღისა და ღამის გასაყარზე, მისტიკურ დროს დიმიტრი ლორთქიფანიძე თბილისის მერობის კანდიდატად დაასახელეს“**






© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# 12-ზე დაანონსებული კანდიდატი

## ე და ნიძე ინგზე




არ მოეპოვება, სამაგიეროდ, პარლამენტსგარეთ არიან ძალები, რომლებიც საკანონმდებლო ორგანოში დასაყრდენს ეძებენ. ასე რომ, გია გაჩეჩილაძე ამ გამოსვლის შემდეგ რადიკალების გმირად იქცა. მხოლოდ მათ იცოდნენ, რომ გაჩეჩილაძე მერობის კანდიდატად „დარეგისტრირდა“. გაჩეჩილაძემ ისიც ვერ მოიფიქრა რომ ამის შესახებ ჟურნალისტებისთვის ეთქვა.

### ნინო ბურჯანაძის „კონკია“

ასეთი ორიგინალური პრეზენტაცია ჯერ არ მინახავს. „ერთიანმა ოპოზიციამ“ გადაწყვიტა, მერობის საკუთარი კანდიდატის პრეზენტაცია ღამის 12 საათზე გაემართა. მათ დღისა და ღამის გასაყარზე, მისტიკურ დროს დიმიტრი ლორთქიფანიძე თბილისის მერობის კანდიდატად დაასახელეს.

კონსულტაციები მათ შორის თითქმის ერთი კვირა მიმდინარეობდა. თუმცა, ადრე მედიასთან საუბარში ლორთქიფანიძემ ბურჯანაძის შეთავაზება უარყო. ნინოსგან არანაირი შეთავაზება არ მიმიღიაო.

– ჯერჯერობით რაიმე შემოთავაზება არ მაქვს. ამ ეტაპზე კონსულტაციებს ვაწარმოებ. ჯერჯერობით მეტს ვერაფერს გეტყვით, ერთ კვირაში თავად განვაცხადებ ჩემი გეგმების შესახებ. როგორც იცით, არ ვარ რომელიმე პარტიის წევრი და მოკლებული ვარ შესაძლებლობას, დავსახელდე საზოგადოების ერთი ნაწილის მიერ. ამიტომ იძულებული ვარ, კონსულტაციები ვაწარმოო პოლიტიკურ პარტიებთან. რაც შეეხება ნინო ბურჯანაძის შემოთავაზებას, ამ ინფორმაციას უარვყოფ, – ეს ლორთქიფანიძემ შუაღამის პრეზენტაციამდე სამი დღით ადრე თქვა.

სამი დღის შემდეგ კი სწორედ ნინო ბურჯანაძის გვერდით იდგა – ეს შეთავაზება არა მხოლოდ დაადასტურა, სულგრძელად მიიღო კიდეც.

დიმიტრი ლორთქიფანიძე მეხუთეა, ვინც მერის პოსტისთვის იბრძოლებს. მას უფრო მეტი რეიტინგი აქვს, ვიდრე ლეიბორისტების ტყაბლაძეს და რადიკალების გაჩეჩილაძეს, გაცილებით უფრო ნაკლები – ვიდრე „ქოცებსა“ და „ნაცებს“.

მიუხედავად ასეთი თვალნათელი განსხვავებისა, ნინო ბურჯანაძემ, როგორც ლიდერმა, კოალიციის პრეზენტაციაზე მაინც თქვა, რომ ეს არის ის კოალიცია და ის კანდიდატი, რომელიც პოლიტიკურ პროცესებში გარდატეხას შეიტანს:

– არჩევნები არის უმნიშვნელოვანესი ეტაპი ხელისუფლებაში მოსვლისთვის, რომ ქვეყანაში მოვიდეს პოლიტიკური ძალა, რომლისთვისაც უმთავრესია სახელმწიფოს ინტერესები და არა საკუთარი პოლიტიკური ამბიციები. საზოგადოებამ იცის, რომ კონსულტაციები ინტენსიურად მიმდინარეობდა. ვქმნით „ერთიან ოპოზიციას“, ერთობას, რომ შევიტანოთ გარდატეხა პოლიტიკურ ცხოვრებაში. დავასრულეთ შიდა კონსულტაციები და მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე კოალიცია „ერთიანი ოპოზიციის“ თბილისის მერობის კანდიდატი იყოს დიმიტრი ლორთქიფანიძე.

მერობამდე მან ბედი ომბუდსმენის პოსტზე სცადა, თუმცა, ვერ გავიდა. შესაძლოა, რადიკალურმა პოზიციებმა და პოლიტიკურმა წარსულმა შეუშალა ხელი. ომბუდსმენად მაინც გაწონასწორებულ და აპოლიტიკურ ფიგურებს ეძებენ ხოლმე.

„ერთიან ოპოზიციაში“ გაერთიანებულია ოთხი პარტია: თავად „დემოკრატიული მოძრაობა“ ; „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“, „ქართული დასი“ და „მემარცხენე ალიანსი“. მათგან ცნობილია მხოლოდ გიორგი ახვლედიანი და, გემახსოვრებათ, ჯონდი ბალათურია. აი, მეოთხე მემარცხენე ალიანსი პარტიების რუკაზე იმდენად პატარაა და რომ ლუპითაც ვერ მოძებნით. მემარცხენე ალიანსი სოსო შატბერაშვილი ყოფილა, ყოფილი ლეიბორისტი.

მართალია, პარტიის სახე მხოლოდ ნინო ბურჯანაძეს აქვს, დანარჩენები თითქმის არაფერში წერიან, მაგრამ ამ ერთობას მაინც ამაყად დაარქვეს კოალიცია და თანაც „ერთიანი ოპოზიცია“. თუმცა, ეს სულ სხვა თემაა.

რაც შეეხება დიმიტრი ლორთქიფანიძეს, პირადად ჩემთვის მისი მთავარი ღირსება მისი ოჯახია. ლორთქიფანიძე რვა შვილის მამაა და ამით თითქმის ყველაფერია ნათქვამი. პოლიტიკაში ის გაცილებით წარუმატებელია. სამაგიეროდ არაჩვეულებრივი ოჯახი აქვს და როგორც ჩანს, ეს მისი მთავარი კოზირი იქნება მერობის არჩევნებზე.

რაც შეეხება პოლიტიკას, დიმიტრი ლორთქიფანიძე არც „ნაცებს“ უჭერს მხარს და არც „ქოცებს“. მისი ლოზუნგია სამართლიანობის აღდგენა და ამბობს, რომ „ქოცებისა“ და „ნაცების“ პოლიტიკური ალერსი მძიმე საყურებელია. ამ შეხედულებების გამო გახდებოდა ლორთქიფანიძე ნინო ბურჯანაძისთვის მიმზიდველი.

– სამართლიანობის აღდგენაში ვგულისხმობდით იმ რეჟიმის გასამართლებას, რომელმაც 9 წლის განმავლობაში განახორციელა მასობრივი დევნა პოლიტიკური ნიშნით, მასობრივი მკვლელობები, მასობრივი გაუპატიურებები, ქონების უკანონოდ ჩამორთმევა, ბიზნესგაკოტრება – ეს არის დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ, რაც ჯანსაღი საზოგადოებისთვის ვერანაირად ასოცირდება მშვიდობიან თანაცხოვრებასთან... „ქართველი საზოგადოების დაკვეთას უპირობო პრიორიტეტი უნდა ჰქონდეს. პოლიტიკური ძალა, რომელიც არად აგდებს საკუთარი ხალხის მოთხოვნას, მისი ნების საწინააღმდეგოდ იღებს გადაწყვეტილებას და უცხოეთის საამებლად ე.წ. ლიბერალური ღირებულებებით კვებავს საზოგადოებას, ცუდად დაამთავრებს!“ – თქვა ლორთქიფანიძემ „ასავალ-დასავალთან“ ინტერვიუში.

როგორც ჩანს, ეს იქნება მისი მთავარი მესიჯებიც მერობის სარჩენო მარათონზე. ასე რომ, „ასავალ-დასავალსა“ და ბურჯანაძეს ამ არჩევნებში საკუთარი ფავორიტი ჰყავთ. ახლა მთავარია, გავიგოთ, როგორ მოხვდა გიორგი ახვლედიანი ამ გაუგებრობაში.

დიმიტრი ლორთქიფანიძეს არაერთი ხმაურიანი განცხადება უკავშირდება. მათ შორის ბევრი, როგორც ჩანს, პიარისთვის იყო გამიზნული. 2011 წელს მან პარლამენტის თავმჯდომარეს, დავით ბაქრაძეს სასამართლოში უჩივლა. პარლამენტის მაშინდელმა წევრმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ პარლამენტის მაშინდელი თავმჯდომარე დავით ბაქრაძე მორალური ზიანის მიყენებაში დაადანაშაულა და მისგან სიმბოლური ანაზღაურების სახით, ერთი ლარი მოითხოვა.

საქმე ის გახლავთ, რომ პარლამენტის სხდომაზე დავით ბაქრაძემ განაცხადა: ზოგიერთი დეპუტატი პატიმრების ოჯახებისგან, დახმარების სანაცვლოდ, თანხას ითხოვსო. სწორედ ეს რეპლიკა მიიღო საკუთარ თავზე დიმიტრი ლორთქიფანიძემ.

ლორთქიფანიძე არც LGBT საზოგადოებას სწყალობს. არ არის გამორიცხული, 17 მაისს რუსთაველზე ისიც ვიხილოთ. ადგილობრივ არჩევნებს ქულების დასაწერად, ალბათ, სხვებიც გამოიყენებენ. მით უფრო დიმიტრი ლორთქიფანიძე, რომელმაც ერთხელ უკვე განაცხადა, რომ: LGBT საზოგადოება უზნეობას ტირაჟირებს და რომ ეს ნორმიდან გადახრაა და დასჯადი უნდა იყოს.

სხვათა შორის, მისი ეს შეხედულებებიც, სხვა მიზეზებთან ერთად, გახდა მისი ომბუდსმენად არარჩევის მთავარი ფაქტორი.

ასე რომ, ამით საარჩევნო მარათონი გახსნილად გამოცხადდა. მთავარი – „ქოცებისა“ და „ნაცები“ და სხვა ძირითადი პარტიების (ბურჯანაძისა და ნათელაშვილის) კანდიდატები უკვე ცნობილია.

**„დიმიტრი ლორთქიფანიძე მეხუთეა, ვინც მერის პოსტისთვის იბრძოლებს. მას უფრო მეტი რეიტინგი აქვს, ვიდრე ლეიბორისტების ტყაბლაძეს და რადიკალების გაჩეჩილაძეს“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სანდრო ბარათელი

# პროექტი ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი ახალი საწარმოების შექმნას, ან უმოქმედო საწარმოს ამუშავებას, დაინტერესებული კომპანიებისათვის ფინანსური და ტექნიკური დახმარების გაწევას



**სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, მიმდინარე წლის პირველი თებერვლიდან, „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი“ დაიწყო, რომლის ფარგლებში, საქართველოს ყველა რეგიონში ახალი საწარმოები გაიხსნება.**

პროექტს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო ახორციელებს. პროექტის მიზანია, მოხდეს დაბალი ეკონომიკური აქტივობის მქონე რაიონებში ახალი საწარმოების შექმნა, გადამამუშავებელი საწარმოების გეოგრაფიული დივერსიფიკაცია, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნის წინაპირობების გაუმჯობესება, სანედლეულო ბაზის განვითარება და შედეგად, სოფლის მოსახლეობის შემოსავლის ზრდა. პროექტის შესახებ „პრაიმტაიმი“ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსებათა“ პროექტის მენეჯერს, რევაზ ასათიანს ესაუბრა.



**რევაზ ასათიანი:**

- მოგეხსენებათ, რომ ჩვენი სააგენტო და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ახორციელებს შეღავათიან აგროკრედიტის პროექტს. ამ პროექტის ფარგლებში, გაანალიზდა ის შედეგები, რომლებიც მიღწეულ იქნა. აღმოჩნდა, რომ არიან ისეთი რეგიონის წარმომადგენლები, რომლებიც ძალიან პასიურობენ ამ მიმართულებით და გადავწყვიტეთ, მათი გააქტიურება.

**- კონკრეტულად რომელი რეგიონები პასიურობენ?**

- თითქმის ყველა რეგიონი, გარდა კახეთისა. დანარჩენი რეგიონები ნაკლებად აქტიურობდნენ, სწორედ მათთვის იქნა მოფიქრებული ისეთი პროექტი, რომ მათთან ეკონომიკური აქტიურობა წამოგვეწია.

**- კონკრეტულად?**

- სახელმწიფო, კომერციულ ბანკებთან ერთად, ბენეფიციარებისთვის გამოყოფს გრანტს. მოგეხსენებათ, რომ პროექტი ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი ახალი საწარმოების შექმნას, ან უმოქმედო საწარმოს ამუშავებას დაინტერესებულ კომპანიებისათვის (მათ შორის კოოპერატივებისათვის) ფინანსური და ტექნიკური დახმარების გაწევას. ფინანსური დახმარება ითვალისწინებს შეღავათიან აგროკრედიტს ან ლიზინგს და თანმხვედრ გრანტს, ხოლო ტექნიკური - დახმარებას ბიზნესგეგმის შედგენაში, დანადგარების მოძიებასა და შერჩევაში, პერსონალის მომზადებაში, ნედლეულის პოტენციურ მომწოდებლებთან კომუნიკაციაში და ა.შ. ეს სტრუქტურა ასეთი იქნება, 40 % თანადაფინანსება, ანუ სახელმწიფოს დახმარება, 50% შეღავათიანი აგროკრედიტი, ხოლო საერთო ღირებულების 10 % უნდა იყოს ბენეფიციარის ხვედრითი წილი. სახელმწიფო ბენეფიციარზე გაცემული თანხის დაბრუნებას არ ითხოვს.

**- პროექტში მონაწილე ბენეფიციარზე, რა თანხა გაიცემა?**

**„კონკურსში მონაწილეობა შეუძლია, როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიულ პირს, თუმცა გასათვალისწინებულია ერთი პირობა. დავუშვათ ფიზიკურმა პირმა პროექტის ყველა ეტაპი გადალახა და დაუმტკიცდა გრანტი, შემდეგ მიდის კონკრეტულ ბანკში. იმ შემთხვევაში თუ მას ცუდი საბანკო ისტორია აქვს, შესაძლოა, ბანკმა სესხი არ დაუმტკიცოს, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს მხრიდანაც ვერ მიიღებს თანადაფინანსებას“**

- მინიმუმ 200 ათასი აშშ დოლარი, ხოლო მაქსიმუმი, ერთი მილიონი.

**- იმისთვის, რომ ბენეფიციარმა ამ პროექტში მიიღოს მონაწილეობა, რა პროცედურები უნდა გაიაროს?**

- რამდენიმე ეტაპია გასავლელი. პირველ რიგში, ბენეფიციარი უნდა შევიდეს ჩვენი სააგენტოს საიტზე: www.apma.ge საიტზე შესვლისთანავე გამოჩნდება რამდენიმე პროექტი. შევლენ პროექტში სახელწოდებით - „გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი“, სადაც ამომწურავ ინფორმაციას მიიღებენ მის შესახებ. თუ ბენეფიციარი აკმაყოფილებს იმ პირობებს, რომელიც ამ პროექტის ინფორმაციაშია მითითებული, უნდა დარეგისტრირდეს იქვე მოცემულ რეგისტრაციის „ფანჯარაში“. რეგისტრაციის შემდეგ, მას თავის ელექტრონულ მისამართზე, ან მობილურ ტელეფონზე მიუვა პასუხი, შეტყობინების სახით, საიტზე შესასვლელი სახელი და პაროლი. სახელისა და პაროლის შეყვანის შემდეგ, ბენეფიციარს აქვს წვდომა შეავსოს განაცხადი პროექტში მონაწილეობაზე. პატარა და მარტივი კითხვარის შევსების შემდეგ, მისი მონაცემები ავტომატურად მოდის ჩვენს სააგენტოში, სადაც მას საგრანტო ოფიცრები განიხილავენ. განაცხადის მოწონების შემთხვევაში, ბენეფიციარი ავტომატურად გადადის მეორე ეტაპზე. ამის შემდეგ უნდა დაწეროს პროექტი, რომელსაც ისევ ელექტრონულ მისამართზე გვიგზავნის. იმ შემთხვევაში, თუ მათი გამოგზავნილი პროექტი არასრულყოფილია, ჩვენი საგრანტო ოფიცრები უკავშირდებიან და ატყობინებენ, თუ რა უნდა ჩაამატონ და ა.შ. როგორც ასეთი, პროექტების დაწუნება არ ხდება. მაქსიმალურად ვცდილობთ, ბენეფიციარებმა მიიღონ თანადაფინანსება.

**- კონკრეტულად თუ არის რომელიმე რეგიონი, რომელიც ამ პროექტის ფარგლებში ვერ მიიღებს მონაწილეობას?**

- დიახ, ეს არის კახეთი, რომელიც ვერ მიიღებს ამ პროექტში მონაწილეობას, რადგანაც შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში, პროექტების უმეტესობა სწორედ მეღვინეობაზე დაფინანსდა. იმისთვის, რომ რაღაცნაირად გავათანაბროთ სხვა რეგიონებში არსებული სიტუაცია, კახეთის




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ლი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი დაიწყო



„ახლა იგეგმება კონკრეტულ რეგიონებში ჩასვლა და უშუალოდ მოსახლეობისთვის პრეზენტაციის მოწყობა“

რეგიონი ველარ მიიღებს ამ პროექტში მონაწილეობას. თუმცა მინდა აღვნიშნო, რომ კახელ ბენეფიციარს შეუძლია გააკეთოს პროექტი დასავლეთის რომელიმე რაიონში, ამ შემთხვევაში არანაირი პრობლემა არ იქნება.

**- რა კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს ბენეფიციარი, რომ ამ პროექტში მიიღოს მონაწილეობა?**

- კონკურსში მონაწილეობა შეუძლია, როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიულ პირს, თუმცა გასათვალისწინებულია ერთი პირობა. დავუშვათ ფიზიკურმა პირმა პროექტის ყველა ეტაპი გადალახა და დაუმტკიცდა გრანტი, შემდეგ მიდის კონკრეტულ ბანკში. იმ შემთხვევაში თუ მას ცუდი საბანკო ისტორია აქვს, შესაძლოა, ბანკმა სესხი არ დაუმტკიცოს, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს მხრიდანაც ვერ მიიღებს თანადაფინანსებას. უნდა აღინიშნოს, რომ ბანკის მიერ გამოყოფილი სესხის წლიური პროცენტი 14 პროცენტს არ აღემატება. აქედან 12 პროცენტს სახელმწიფო უხდის. ანუ ბენეფიციარს მხოლოდ ორი პროცენტის გადახდა უწევს. ჩვენ ყველანაირ პირობას ვუქმნით, რომ მოსახლეობამ გადამამუშავებელი საწარმოები აამუშაონ, რომლებიც შექმნიან პროდუქციას.

**- როდის დაიწყო პროექტი და ახლა რა ეტაპზეა?**

- პროექტების მიღება მიმდინარე წლის პირველ თებერვალს დავიწყეთ. ამ დროისთვის, საიტზე უკვე 400-ზე მეტი ფიზიკური და იურიდიული პირი დარეგისტრირდა. განაცხადი, ანუ პირველი ეტაპი 170-ზე მეტმა პირმა გააკეთა. აქედან ნახევარს უკვე მიეცა რეკომენდაცია, რომ სრულყონ თავიანთი განაცხადები, ხოლო მეორე ნახევარს მიეცა რეკომენდაცია, რომ პროექტი წარმოადგინონ. ამ ეტაპზე 44 პროექტია შემოსული. სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში, ბენეფიციარები ძალიან მწირ და მშრალ ინფორმაციას გვაწვდიან. ხდება ამ ინფორმაციების გადამოწმება, რასაც დიდი დრო მიაქვს.

# EXCLUSIVE



„ბანკის მიერ გამოყოფილი სესხის წლიური პროცენტი 14 პროცენტს არ აღემატება. აქედან 12 პროცენტს სახელმწიფო უხდის. ანუ ბენეფიციარს მხოლოდ ორი პროცენტის გადახდა უწევს. ჩვენ ყველანაირ პირობას ვუქმნით, რომ მოსახლეობამ გადამამუშავებელი საწარმოები აამუშაონ, რომლებიც შექმნიან პროდუქციას“



**- როგორ ხდება ბენეფიციარების ინფორმირება?**

- მოვაწყვეთ რამდენიმე პრეზენტაცია. ჩვენს საიტზეც დევს ინფორმაცია. ახლა იგეგმება კონკრეტულ რეგიონებში ჩასვლა და უშუალოდ მოსახლეობისთვის პრეზენტაციის მოწყობა. მოგეხსენებათ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რაიონული და რეგიონული საკონსულტაციო ცენტრები აქვს. სწორედ მათთან ერთად გავმართავთ სემინარებს, მოვაწყობთ პრეზენტაციებს და ა.შ..

**- პროექტის ბიუჯეტი რამდენია?**

- პროექტის მთლიანი ბიუჯეტი 30 მილიონი აშშ დოლარია, აქედან, 15 მილიონი არის კომერციული ბანკების წილი, ჩვენი, ანუ სახელმწიფოს წილი, მთლიანი თანხიდან 12 მილიონია, ხოლო დარჩენილი 3 მილიონი, ბენეფიციარების თანამონაწილეობის თანხა იქნება. პროექტი ერთწლიანია და ამ ერთ წელიწადში ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ დაახლოებით 50 საწარმოს შექმნა იმ რაიონებში, რომლებიც მთავრობის დადგენილებით არის მითითებული.

**- რომელი რეგიონი აქტიურობს?**

- თითქმის ყველა რეგიონიდან გვაქვს შემოსული პროექტები, განსაკუთრებით გურია და სამეგრელო აქტიურობს. რაც შეეხება დარგობრივ სტრუქტურას, ამ პროექტების უმეტესობა, გამიზნულია თხილის, ხილის და ჩაის გადამუშავებაზე.

„თითქმის ყველა რეგიონიდან გვაქვს შემოსული პროექტები, განსაკუთრებით გურია და სამეგრელო აქტიურობს. რაც შეეხება დარგობრივ სტრუქტურას, ამ პროექტების უმეტესობა, გამიზნულია თხილის, ხილის და ჩაის გადამუშავებაზე“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ორი გარდაცვლილი და ო

# რატომ იტაცებენ მხოლოდ ახალაიების საქმის მოწმეებს?




მარიამ ნადირაძე

**ტერორი... შანტაჟი... პოლიტიკური დევნა... უკანონო მოსმენები... სიკვდილიანობა პენიტენციალურ სისტემაში... მოწმეების გატაცება და დაშინება.... - გამოვიცნოთ, ქართული რეალობის რომელ პერიოდზეა საუბარი, როდესაც ამ ყველაფრის შესახებ ვკითხულობთ, ან ვისმენთ? დარწმუნებული ვართ, რომ პასუხი არაერთგვაროვანი იქნება. თუ ეს 2003-2012 წლებია, ან კიდევ 2012-2014 წლები, სწორედ დროში გაურკვეველი და გაუმიჯნავი პრობლემა ხდება მთავარი პასუხი. შესაბამისად, მიზანიც მიღწეულია, ხოლო რა არის ეს მიზანი, ან ვინ არის მისი შემოქმედი? - ამ კითხვის პასუხი ნამდვილად არ იქნება არაერთგვაროვანი, თუ საერთოდ ვინმეს გაუჩნდება ეს კითხვა...**

ერთი სიტყვით, გონების მცირე სავარჯიშოს შემდეგ მთავარ თემას მივხედოთ და ერთად გავაანალიზოთ (ყოველი შემთხვევისთვის, შევეცადოთ მაინც), რასთან გვაქვს საქმე, როდესაც ვსაუბრობთ მთავარი მოწმის ბუნდოვანი გარდაცვალების შესახებ. საქმე კვლავაც ახალაიების ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური საქმის მთავარ მოწმეს, შალვა თათუხაშვილს შეეხება:

## ოთხი მოწმის ისტორია

2013 წლის 6 ივლისს, თბილისის ზღვაზე, ხეზე თავი ჩამოიხრჩო მოწმემ, მამუკა მიქაუტაძემ... საქმე ნარკოტიკულ დანაშაულს შეეხებოდა და მას სამართალდამცველებისთვის მეგობრის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა მოუხდა. სამსახურში დაბრუნებულმა მეგობრებს უთხრა, რომ მის მიმართ პოლიციის თანამშრომლებმა განახორციელეს ფიზიკური ზეწოლა... იგივე უთხრა საკუთარ მეუღლესაც, როდესაც სახლში დაბრუნდა. მეორე დღეს ის ისევ იყო პოლიციაში დაბარებული და არ გამორიცხავდა, რომ დააკავებდნენ. მოგვიანებით ის მიდის თბილისის ზღვაზე, სვამს არაყს და შემთხვევითი გამვლელი აღმოაჩენს ხეზე ჩამოკიდებულს...

დაახლოებით რამდენიმე თვის წინ ბაჩანა ახალაიას პროცესზე, მოწმემ, ლევან სუთიძემ განაცხადა, რომ მას ახალაიას წინააღმდეგ ჩვენების მიცემას აიძულებდნენ. საქმე შვიდი სპეცრაზმელის წამებას შეეხებოდა. სასამართლოზე მან აღწერა სიტუაცია, რა ვითარებაში მოხდა მისი გატაცება პროცესამდე რამდენიმე დღით ადრე - სავარაუდოდ, სამხედრო პოლიციის თანამშრომლებმა საბურთალოს ტერიტორიიდან საკუთარი საცხოვრებელი სახლიდან წაიყვანეს ტყეში, წყნეთის მიმართულებით და უთხრეს, შეხსენება ხომ არ სჭირდებოდა, რა უნდა ეთქვა დაგეგმილ პროცესზე? ის ტყეში დატოვეს, მობილური ტელეფონი კი გადაუგდეს. ნახევარი საათის ძებნის შემდეგ მან ტელეფონი იპოვა და ტყიდან წამოყვანა მის ახლობელ, მოქმედ სპეცრაზმელს სთხოვა. სამწუხაროდ, ამ ფაქტზე გამოძიება არ დაწყებულა...

მოწმე გია გორგაძე წინასწარ გამოძიებაში თავის ჩვენებში ადასტურებდა, რომ ბაჩანა ახალაიმ 6 პატიმარი სასტიკად სცემა, იმის გამო, რომ ეღიარებინათ, თითქოს ისინი გაქცევას ცდილობდნენ. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ცნობილ ნავთლუღის სპეცოპერაციას, სადაც 3 ახალგაზრდა გარდაიცვალა, მათ შორის გია გორგაძის ძმაც, საფუძვლად სწორედ ბაჩანა ახალაიას ძმისადმი გაგზავნილი შეტყობინება დაედო საფუძვლად, რომელიც იმ დროს კუდ-ის ხელმძღვანელი გახლდათ, ადვილი წარმოსადგენია, რამდენდ აუცილებელი იქნებოდა საქმეში პატიმრების აღიარება, რომ ისინი ნამდვილად აპირებდნენ გაქცევას ციხიდან, მას შემდეგ, რაც დაწესებულებას სამი შეიარაღებული ახალგაზრდა დაესხმებოდა თავს. ახალ პროკურატურას, როგორც უკვე მოგახსენეთ, გორგაძემ უამბო, რომ ამ ჩვენების მიღწევა ბაჩანა ახალაიას ცემის გზით უნდოდა. თუმცა, ერთ მშვენიერ დღეს, ადვოკატმა გოგა ონიანმა დააანონსა, რომ გორგაძე სიმართლის თქმას აპირებს, ანუ „პრაიმტაიმის" პრესკლუბში მას ჟურნალისტებისთვის უნდა განეცხადებინა, რომ ჩვენება მას ძალის გამოყენებით მიაცემინეს პროკურატურაში. „პრაიმტაიმის" ოფისთან გორგაძე გაიტაცეს, რომელიც საბოლოოდ პროკურატურაში დაკითხვაზე აღმოჩნდა...

ნავთლუღის სპეცოპერაციის ოქროს მოწმე იყო შალვა თათუხაშვილიც, რომელიც იმ დროისთვის სპეცნაზის უფროსის მოადგილე გახლდათ...

ამ თემას ქვემოთ შემოთავაზებულ ქვეთავში განვავრცობთ. ამ ეტაპზე კი მინიშნებისთვის: ამ ოთხი მოწმიდან სამი ახალაიების საქმეს უკავშირდება. რატომღაც, თუ მოწმეს იტაცებენ, ის ბაჩანა, ან დათა ახალაიას საქმის მოწმეა... ეს უბრალო დამთხვევაა, პროკურატურის მუშაობის არდავიწყებული ძველი მეთოდი, თუ დაცვის ერთფეროვანი სტრატეგიის ფორმა? - ეს მკითხველის სურვილისა და მიდრეკილებების მიხედვით ანალიზის სფეროა, ვინაიდან სპექტრი ფართო და არაერთგვაროვანია.

## ვინ დაკარგა ოქროს მოწმე?

შალვა თათუხაშვილის გარდაცვალება, სამწუხაროდ, ამ აჟიოტაჟის შემდეგაც კი მხოლოდ ოჯახის ტრაგედიად რჩება. მთელი კვირის მთავარი თემა არა მისი ტრაგიკული ფინალი, არამედ დათა ახალაიასთვის სასჯელის ზომის ალბათობა და მისი თავიდან აცილებისთვის განსაზღვრული სტრატეგიის დანგრევა-განმტკიცებისთვის ბრძოლა გახლდათ.

ამიტომაც, ჩვენ დავიწყებთ მისი სიკვდილის მიზეზით, რომელიც, როგორც გარდაცვლილის ოჯახის ადვოკატმა თავად განაცხადა, რატომღაც არ აინტერესებს:



სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით „დადგენილია, რომ შალვა თათუხაშვილის სიკვდილის მიზეზი გახდა სუნთქვის მწვავე უკმარისობა, განვითარებული ალკოჰოლური ინტოქსიკაციის შედეგად, ბენზოდიაზეპინის ჯგუფის ფსიქოტროპული ნივთიერებების მოქმედების ფონზე. ექსპერტიზით დგინდება, რომ შ. თათუხაშვილის გარდაცვალების დრო არის 2014 წლის 23 მარტის დაახლოებით 23:00 საათი"... ანუ, მან დალია ალკოჰოლი, როდესაც მიღებული ჰქონდა ფსიქოტროპული პრეპარატები, რამაც გამოიწვია სუნთქვის უკმარისობა, დადგა სიკვდილი...

ამ ვერსიას მოწინააღმდეგე პრაქტიკულად არ ჰყავს...

ამიტომაც, გადავიდეთ სადავო თემებზე:

რატომ იცავს თათუხაშვილის ოჯახის ინტერესებს ადვოკატი, რომლის დაცვის ქვეშ მყოფის წინააღმდეგაც გარდაცვლილმა გარდაცვალებამდე მისცა ჩვენება? ამ კითხვაზე განსხვავებულ პასუხს ნამდვილად მივიღებთ სტატიის ფინალისკენ. განსხვავებულს ადვოკატ ირაკლი ზაქარეიშვილის ვერსიისგან, რომელიც გვარწმუნებს, რომ მას დახმარება სთხოვა შალვამ და გარდაცვალებამდე სამი დღით ადრე შეატყობინა, რომ ის ძლიერად იყო ნაცემი... რატომ უნდა მივიჩნიოთ ზაქარეიშვილის ეს ვერსია ეჭვშეუტანელ ჭეშმარიტებად, როდესაც სახეზე გვაქვს თათუხაშვილის ოფიციალური ჩვენება, რომელიც უკვე გასაჯაროვდა? - „... ჩასაფრებიდან დაალოებით 20-30 წუთში, ზუსტ დროს ვერ დავასახელებ, შემომესმა ავტოსადგურიდან ფეხის და ყვირილის ხმები, კერძოდ, შეძახილები იყო დაახლოებით ასეთი შინაარსის „არ გვესროლოთ... გვიშველეთ", რაც მესმოდა მკაფიოდ. აღნიშნულმა მიიქცია ჩემი ყურადღება. ინსტინქტურად, ჩემს ხელთ არსებული ავტომატი მოვიყვანე მზადყოფნაში. ამ დროს დავინახე, რომ ავტოსადგურის მოედანზე აფთიაქ „ავერსის" მხრიდან შემოვარდა სამი უიარაღო ბიჭი, რომელთაც შემოჰყვა დათა ახალაია, ლევან ქარდავა, გიორგი მაზმიშვილი, მეტსახელად „ჩუპა" და როგორც მახსოვს, კიდევ ერთი, თუ ორი პირი. მათ ვინაობას ველარ ვიხსენებ. მითითებულმა პირებმა მიზანმიმართულად დაიწყეს სროლა ამ სამი უიარაღო ბიჭის მიმართულებით ავტომატებიდან. ამ სამი ბიჭიდან ორი მორბოდა ფაქტობრივად ჩემი მიმართულებით, ხოლო ერთი გამოეყო და გარბოდა ოდნავ მარჯვნივ. ჩემსა და მათ შორის ამ დროისათვის დარჩენილი იყო დაახლოებით 10 მეტრი. აღნიშნულის დანახვისთანავე, რადგან დათა ახალაია და მასთან მყოფი პირები ესროდნენ მათ, მეც მივიღე საბრძოლო მდგომარეობა, ოდნავ ჩავიმუხლე და მოვახდინე რამდენიმე, დაახლოებით 5-6 გასროლა... ისროდა, ჩემი ჩათვლით, ყველა ზემოთ ხსენებული პირი... ფაქტიურად ჩვენ ეს სამი ბიჭი სამივე მხრიდან ალყაში გვყავდა მოქცეული. მეოთხე მხარეს იყო კედელი. სროლების შედეგად, მოხვედრილი ტყვიების გამო, სამივე პიროვნება დაეცა ასფალტზე... მე ნელი მიმართულებით წავედი სადგურის სიღრმისკენ. ამ დროს, ჩემგან დაახლოებით სამ მეტრში, დავინახე, რომ დათა ახალაია შეჩერდა ძირს გაუნძრევლად დაგდებულ პირთან და ერთ-ერთ ძირს დაცემულ ბიჭს თავზე დაადო ავტომატი, მოახდინა ერთი საკონტროლო გასროლა და მოიხსნა ნიღაბი". ... ეს მხოლოდ ნაწილია მისი ჩვენებიდან. ამის შემდეგ ის ყვება, რომ დათა ახალაიას ბრძანებით მან თბილისის პროკურატურაში წაიყვანა რამდენიმე თანამშრომელი, რომლებმაც საკუთარ თავზე აიღეს გარდაცვლილების ლიკვიდაცია. ახალაია მას დაჰპირდა, რომ პროკურატურასთან უკვე ყველაფერი შეთანხმებული იყო.

ბუნებრივია, ასეთი ჩვენების შემდეგ, გამოძიებას გაუმყარდებოდა დათა ახალაიასადმი წარდგენილი ბრალი, რომელიც სასამართლოზე დადასტურების შემთხვევაში მას უვადო თავისუფლების აღკვეთას უქადდა...

აბსოლუტურად ლოგიკური და გასა-



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რი გატაცებული მოწმე...

# რატომ გაურბოდა დაცვას შალვა თათუხაშვილი?



შალვა თათუხაშვილი

გებია ახალაიას დაცვის ჯაფა იმისთვის, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის მდგომარეობის შესამსუბუქებლად გარკვეული სტრატეგია შეიმუშაოს. თუკი ვივარაუდებთ, რომ მას შემდეგ, რაც პროკურატურამ შალვა თათუხაშვილი მოწმეთა დაცვის პროგრამაში ჩართო და დაცვაც მიუჩინა, მისი მოგვიანებითი მცდელობა, დასხლტომოდა დაცვას, ერთადერთი საფუძველით შეიძლება აიხსნას - მან გადაწყვიტა თავად დაეცვა საკუთარი თავი და ამისთვის ორმაგი თამაში წამოეწყო. თუ ამ ლოგიკას გავყვებით, ვერ გამოვრიცხავთ იმასაც, რომ ის, შესაძლოა, თავად, ან რომელიმე ოჯახის წევრის დახმარებით დაუკავშირდა ახალაიების ოჯახს და სტრატეგიის შემადგენელი კონტურებიც მოიხაზა. ყველაზე წარმატებული „ხსნა", ამ შემთხვევაში, ლოგიკურად იქნებოდა მოწმეზე განხორციელებული ზეწოლა და არამდგრადი ფსიქოლოგიური მდგომარეობა. ირაკლი ზაქარეიშვილი აკი აპირებდა კიდეც მისთვის ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებას. ამ ლოგიკურ ხაზს სულაც არ კვეთს თათუხაშვილის სხეულზე აღმოჩენილი დაზიანებები, რომელიც, როგორც ექსპერტიზამ დაადასტურა, გარდაცვალებამდე 1-2 დღით ადრე იყო მიყენებული. რაც შეეხება ერთადერთ დაზიანებას, ხელის მტევანზე, რომელიც შესაძლოა 5-6 დღით ადრე განვითარებულიყო, ზუსტად ემთხვევა დღეს, როდესაც პოლიციამ ის ლილოში მდებარე კლუბში აღმოაჩინა და თვითმხილველის ჩვენებით იატაკზე დაგდებით დააკავა...

რაკი ექსპერტიზა ვახსენეთ, აქვე უნდა ითქვას, რომ ადვოკატ ზაქარეიშვილის ბუნებრივი ინტერესი იყო, რომ დაზიანებების ხანდაზმულობის ვადად გარდაცვალებამდე 5-6 დღე დადგენილიყო, ვინაიდან სწორედ ამ დღეს, ანუ 18 მარტს, პოლიციის მიერ ნაპოვნი თათუხაშვილი პროკურატურაში მიიყვანეს. შესაბამისად, აიგებოდა ისტორია, თუ როგორ გაუსწორდნენ მას სამართალდამცველები და თანაც ზუსტად ის გამომძიებლები, რომლებიც ბაჩანა ახალაიას საქმეშიც ფიგურირებენ. ამით ორი კურდღელი ერთად იქნებოდა დაჭერილი. ყველაფერი კარგად მიდიოდა... ზაქარეიშვილის ამ სტრატეგიას თითქმის უპირობოდ დაეთანხმა ალტერნატიული ექსპერტი, ალექსანდრე გეჯაძეც, თუმცა, დაცვას მთავარი საყრდენი მაშინ გამოეცალა, როცა პროკურატურამ სამხარაულის ექსპერტიზის დასკვნა გამოაქვეყნა და ალეკო გეჯაძეს მის წინააღმდეგ არგუმენტები არ გააჩნდა. სწორედ აქ ჩამოინგრა ხუხულასავით ზაქარეიშვილის ნაშენები კოშკი, ვინაიდან ექსპერტმა, რომლის დასკვნაზე დაყრდნობითაც პროკურატურას საზოგადოებრივი აგრესია დაატყდა თავს, მას, ბოლო წამს, ასე ვთქვათ, „უღალატა"... ამის შემდეგ კი დაცვა დარჩა შემდეგი კითხვების ამარა:

რატომ დაწინაურდა სამსახურში სხვა მოწმე?

როგორ გადაძვრა გისოსებიანი ფანჯრიდან შალვა თათუხაშვილი?

რატომ გაურბოდა ის დაცვას?

**ალეკო გეჯაძეს კი „პრაიმტაიმი" მას შემდეგ ესაუბრა, რაც პროკურატურამ სამხარაულის დასკვნა გამოაქვეყნა:**

**- დასკვნაში გიწერიათ, რომ დაზიანებების ხანდაზმულობა 5-7 დღეა...**



- ვამბობ, რომ არანაკლებ... თუმცა იქვე ვამბობ, რომ ზუსტად ხანდაზმულობაზე მსჯელობა, არსებული მეთოდიკის არარსებობის გამო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზაში, პრაქტიკულად შეუძლებელია - 1 დღის არის, თუ ორის, ერთი საათის, თუ ორი საათის. აქედან გამომდინარე, „არანაკლებ 5-7 დღე" არის სავარაუდო მსჯელობის საგანი. ანუ, შეიძლებოდა რამდენიმე დღით ადრეც მიელო ეს დაზიანებები. ამაზე ცალსახა მსჯელობა შეუძლებელია. ბუნებრივია, ჩვენ კატეგორიულები ვიქნებოდით იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ გვამის გამოკვლევის პროცესში მივიღებდით მონაწილეობას. ამიტომ, ხანდაზმულობა ჩვენი მხრიდან არაკატეგორიულ ფორმაში იყო.

**- დღეს რა შეგიძლიათ თქვათ კატეგორიულად?**

- ადვოკატმაც იცოდა თავიდანვე, რომ ჩვენ გვამის მხოლოდ გარეგნული დათვალიერების ოქმით და ფოტომასალით კატეგორიულად ვერ ვიმსჯელებდით. უფრო მეტიც, გვამი რომც გამოგვეკვლია, ერთი და იგივე მორფოლოგიურ სურათს ერთი ავტორი აღწერს 2-3 დღის ხანდაზმულობით, სხვა - 4-5 დღით. ასე რომ, ამ კუთხით დოგმა არ არსებობს.

**- როდესაც 5-7 დღეს წერთ, თანაც იცით, რომ კატეგორიულად ამის დადგენა არ შეგიძლიათ, ეს ხომ ის დროა ზუსტად, რისი დაფიქსირებაც ადვოკატს აწყობს? ანუ, შალვა თათუხაშვილის პროკურატურაში ყოფნის დრო. თქვენ ადვოკატს ასიამოვნეთ?**

- როდესაც ამ დასკვნას ვწერ, ქვემოთ ვამბობ, რომ დაზიანებების ხანდაზმულონაზე ზუსტი დასკვნების გამოტანა მრავალი მიზეზის გამო შეუძლებელია. აქ მნიშვნელობა აქვს გარემოს, ასაკს, ტემპერატურას, დაზიანების ხარისხს, ლოკალიზაციას და ა.შ.

**- თქვენ ხელმძღვანელობდით ფოტოებით და გვამის გარეგანი დათვალიერების ოქმით. დაადგინეთ ხანდაზმულობა და გააკეთეთ დასკვნა ისე, რომ სამედიცინო დოკუმენტი არ გქონიათ.**

- არა, არ გვქონია. ჩვენ გვქონდა თელეთის პოლიციის გამომძიებლის მიერ შედგენილი გვამის გარეგანი დათვალიერების ოქმი, რომელსაც დაზიანებებთან მიმართებაში კარნახობდა ექსპერტი.

**- ბლაგვი საგნით მიყენებული დაზიანების შესახებ წერთ...**

- როდესაც სხეულზე ვითარდება დაზიანება, ან ნაჭდევი, ან სისხლნაჟღენთი, გინდ ცოცხალ პირზე იყოს ეს და გინდ გვამზე, ექსპერტი ყოველთვის წერს, რომ დაზიანება განვითარებულია რაიმე მკვრივი, ბლაგვი საგნის ზემოქმედებით. მკვრივი, ბლაგვი საგანი კატეგორიულად არ ნიშნავს იმას, რომ ეს არის მუშტი, ან ხელჯოხი. მუშტი, ან ხელჯოხი მე ვიხმარე იმიტომ, რომ ადვოკატმა თვითონ დამისვა შეკითხვა ასე. რომ ეკითხა, დაგორებით შეეძლო მიელო ეს დაზიანებაო? მე ვეტყოდი, კი ბატონო, შესაძლებელია, არაერთჯერადი დაცემითაც. ამიტომ დასკვნაში ბოლოს ვწერ, რეალურად რა ვითარებაში მიიღო ამ ადამიანმა დაზიანებები, აღნიშნული საკითხი არ შედის ექსპერტის კომპეტენციაში და ეს გამოძიების პრეროგატივაა. ცემის, გვემის, წამების განსაზღვრა და დადგენა არ შედის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის კომპეტენციაში. ექსპერტი ვალდებულია მარტო აღწეროს, რა დაზიანებებია სახეზე, სად არის განლაგებული და რა ხასიათის ტრავმაა - ცეცხლსასროლი, მჭრელი, თუ ბლაგვი საგნით მიღებული და ა.შ. მისთვის კვალიფიკაციის მინიჭება გამოძიების კომპეტენციაა. ამ შემთხვევაში მე შემოვიფარგლე მთავარი ლეიტმოტივით, რომ ეს არც მჭრელი საგნით და არც ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ტრავმა არ არის, არამედ არის, ბლაგვი საგნით განვითარებული ტრავმა. დაუკვირდით, მე არ ვიყენებ ტერმინს - „მიყენებულია"... განვითარების ქვეშ იგულისხმება, როგორც მკვრივი, ბლაგვი საგნის უშუალო ზემოქმედება (ვთქვათ, ჩარტყმა), არამედ ამ საგანზე სხეულის მიჯახება (დაცემა, დაგორება და ა.შ.). ასე რომ, ჩემს ხელთ არსებული ინფორმაცია ვის წისქვილზე არ დაასხამს წყალს, ეს ცალკე მსჯელობის საგანია და საერთოდ არ მაინტერესებს. ჩემთვის მთავარია, ჩემს პროფესიულ სინდისთან ვიყო მართალი.

**- თქვენ გაეცანით სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნას. თქვენი დასკვნით მასთან წინააღმდეგობაში არ შედიხართ?**

- მე რესურსი არ მქონდა, რომ ცალსახად უარყოფა მომეხდინა პროკურატურის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციისა, რამეთუ, საუბარია ნაჭდევზე, მოწითალო ფერის ფუფხიან ნაჭდევზე და გვამის გამოკვლევის დროს, რა ფერია დაფიქსირებული, ამას ის ექსპერტები ნახავდნენ, ვინც გვამზე მუშაობდა და ამას როგორ შევეწინააღმდეგები? მე კვლევის ობიექტი მქონდა არაპროფესიონალისგან გადაღებული ფოტომასალა და გამომძიებლის მიერ შედგენილი გარეგანი დათვალიერების ოქმი.

**- შესაბამისად, თქვენს შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა მიკროსკოპული კვლევის ჩატარებაც...**

- სხვათა შორის, ეს კითხვა ადვოკატმაც დამისვა, რა დროს არის საჭირო მიკროსკოპული კვლევაო... კანის დაზიანებული პრეპარატის მიკროსკოპული კვლევა ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ეჭვია, ეს დაზიანება სიკვდილის შემდგომ ხომ არ არის მიღებული.

**„პრაიმტაიმი" სხვა დამოუკიდებელ ექსპერტს, მაია ნიკოლეიშვილსაც დაუკავშირდა, რომელიც ამ შემთხვევაში მესამე პირია და აგვიხსნის რა სახის მასალა შეიძლება გახდეს ექსპერტისთვის კატეგორიული დასკვნის საფუძველი:**

- ეს ფოტოები ვნახე. პირადად მე, მასზე და შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმზე დაყრდნობით დასკვნას არ გავაკეთებდი. თუმცა, ყველას თავისი სტილი და კატეგორიულობის ზღვარი აქვს. მე, როგორც წესი, კატეგორიულ დასკვნას ვიძლევი, თუ, რა თქმა უნდა, ამის საშუალებას მაძლევს კვლევის მასალები. თუ მასალები არ არის საკმარისი, რომ დასკვნა არგუმენტირებული იყოს, მაშინ ამ სიტუაციაში ვწერ, რომ მასალების არასაკმარისობის გამო დადგენა შეუძლებელია. ექსპერტიზა და სასამართლო მედიცინა უზამაზარი მეცნიერებაა. შესაბამისად, არსებობენ ამ მეცნიერების მცოდნე ადამიანები, რომელთაც სხვადასხვანაირი ცოდნა აქვთ. მაგრამ არსებობს ერთი ოქროს წესი: ექსპერტი შეიძლება შეცდეს, მაგრამ მას გამოგონების უფლება არ აქვს. დავიწყოთ იმით, რომ ადვოკატმა ფოტოების სანახავად მისი „ფეისბუქის" გვერდზე მიგვითითა. თუ ეს კადრები ნამდვილია, რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ დაზიანებების ხანდაზმულობა სხვადასხვა იყო. ექსპერტს გაკვეთისას სერიოზული მუშაობა მოუწევდა იმის დასადგენად, ეს დაზიანება ერთდროულად იყო მიყენეული, თუ სხვადასხვა დროს. ამისთვის კარგად უნდა შეესწავლა ფორმა, კონტურები, სიმაღლე, კონსისტენცია, კანის დონიდან შემაღლებულია, კანის დონეზეა, თუ მის დაბლა... ეს ყველაფერი დროზე მეტყველებს და სასამართლო მედიცინის საკმაოდ სერიოზული ნაწილია.

**- ფოტო ამის დანახვის საშუალებას იძლევა?**

- საქმეც სწორედ ეს არის, რომ ფოტო ამის საშუალებას არ იძლევა. დაზიანების ფერზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, ფოტოზე კი ფერი დამოკიდებულია განათებაზე. თუ პარალელურად რაიმე სამედიცინო დოკუმენტი იარსებებდა, კიდევ შეიძლებოდა რაღაცის ფიქრი, მაგრამ შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, მე ასეთ დასკვნას არ გავაკეთებდი...



**- თუმცა ამ ოქმზე დაზიანებები გამომძიებელს ექსპერტის კარნახით ჰქონდა აღწერილი...**

- ასეთ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობა ბევრჯერ მიმიღია და ვიცი ეს როგორც კეთდება. შემთხვევის ადგილზე ექსპერტს პირობები არ აქვს კვლევისთვის, ის არ იკვლევს, მხოლოდ ათვალიერებს. სრულფასოვანი გამოკვლევა ხდება სასექციოში, სადაც არის შესაბამისი პირობები, განათება. აქედან გამომდინარე, ვიცი რა, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ექსპერტს არ ევალება იყოს ზუსტი, ამიტომაც ჩემთვის შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში ექსპერტის ჩანაწერი ძალიან მწირი მასალა იქნებოდა.

**- თუმცა, ალტერნატიულმა ექსპერტიზამ, პრაქტიკულად დაადასტურა ადვოკატის ეჭვები...**

- ძალიან საინტერესოა, რომ ადვოკატს დასმული ჰქონდა კითხვები და უნდოდა პასუხები მესამე პირის ინტერესების დასაცავად. ვგულისხმობ დათა ახალაიას.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# თეატრალი: „მაგას დაუშვებს სტურუა, რომ აფიშაზ

**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

**„იყო კარგი რეჟისორი, არ ნიშნავს, იყო კარგი ყველაფერში. ნუ აკერპებთ ადამიანებს“. – რობერტ სტურუას, როგორც ძლიერ რეჟისორს, ყველა აღიარებს. მის ნიჭზე არავინ დაობს. თუმცა ფაქტია, რომ სხვადასხვა დროს რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ბევრჯერ და ბევრნაირ სკანდალში გაეხვია. „მოკვდავი“ ადამიანების დამოკიდებულებიდანაც ჩანს, რომ ხალხს გრანდიოზული „შოუების“ ნახვა თეატრალებისგან თეატრში უფრო ახარებს. ამ მხრივ, სტურუა კლასიკური გამონაკლისია. ბოლო სკანდალიდან საკმაოდ დიდი პაუზა გამოუვიდა. ხელისუფლების ცვლილების შემდეგ კრიტიკის სურვილი მინელდა, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ეს თეატრს შეეტყო. პირიქით, აქ უფრო ხმამაღლა ალაპარაკდნენ პრობლემებზე. როგორც ირკვევა, თეატრში უთანხმოების მორიგი საკითხი რეჟისორების დაიგნორებას ეხება.**

რუსთაველის თეატრი ერთადერთია, რომელიც საკუთარ აფიშებზე სპექტაკლების რეჟისორის ვინაობას არ უთითებს. მარჯანიშვილი, თუმანიშვილი, თავისუფალი თეატრი, რეზო გაბრიაძის სახელობის თეატრი და კიდევ ბევრი სხვა მათგანი აფიშებზე რეჟისორების სახელისა და გვარის დაბეჭდვას ვალდებულებად თვლიან. მიაჩნიათ, რომ ეს მნიშვნელოვანი დეტალია. მიზეზი მარტივია – ბევრი ადამიანი კონკრეტულ სპექტაკლს სწორედ რეჟისორის მიხედვით ირჩევს. შესაბამისად, ასეთი მაყურებლისთვის გაურკვეველი რჩება, რატომ აირჩია რუსთაველის თეატრმა აფიშების უცნაური ფორმა.

**ალეკო კორკოტაშვილი, თეატრალი:**

– ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ დავაფიქსირე, რომ მთელ ქალაქში, ყველა თეატრის აფიშაზე, გამონაკლისების გარეშე მითითებულია რეჟისორის სახელი და გვარი. ეს საკითხი სულ მაინტერესებდა, ერთხელაც რუსთაველზე ვიმყოფებოდი, თეატრის სალაროსთან მივედი და ვიკითხე. თურმე სალაროში მჯდარა ზაალ ჩიქობავა. ჩემს კითხვაზე წამოდგა და მითხრა, თქვენ მეტი საქმე არ გაქვთო? მე ვუთხარი, ბევრი საქმე მაქვს, მაგრამ კონკრეტული რეჟისორების სპექტაკლებზე დავდივარ მხოლოდ და ამიტომ ჩემთვის მნიშვნელოვანია მათი ვინაობის მითითება-მეთქი. მისი განმარტება ასეთი იყო: თქვენ იცით, რა ძვირი ჯდება აფიშაზე თითოეული სიტყვის დაწერა? შეიძლება ასეც არის, მაგრამ აფიშაზე იმდენი რამ წერია, ერთი რეჟისორის სახელისა და გვარის მითითება რაღა პრობლემაა. ამის შემდეგ რუსთაველის თეატრის ერთ-ერთ მსახიობთან გამოვთქვი წუხილი იმავე საკითხზე და მსახიობმა პირდაპირ მითხრა, მაგას დაუშვებს სტურუა, რომ აფიშაზე სხვა რეჟისორის სახელი და გვარი დაიწეროსო?.. სამაგიეროდ, ყველა აფიშაზე ბოლოში აწერია – სამხატვრო რეჟისორი რობერტ სტურუა. რობერტი თეატრიდან წავიდა, შემდეგ მოვიდა და მეგონა, რომ დაბრუნების შემდეგ ასეთი დამოკიდებულება შეიცვლებოდა, მაგრამ თურმე შევცდი, პირიქით. არა მგონია, ეს სწორი იყოს. საერთოდ, კითხვაც კი მიჩნდება, ხომ არ უპირებენ რუსთაველის თეატრს, სახელი გადაარქვან და უწოდონ, მაგალითად, ერთი რეჟისორის თეატრი, ან სულაც რობიკო სტურუას სახელობის თეატრი... მისი საწინააღმდეგო ნამდვილად არაფერი მაქვს, პირიქით, მართლაც ძალიან მაგარი რეჟისორია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მის გარდა სხვა აღარავინაა რეჟისორი.

**– თავად რეჟისორები არ აპროტესტებენ ან არ ითხოვენ, რომ მოხდეს მათი გვარებისა და სახელების მითითება?**

– იქ არაერთი რეჟისორი მუშაობს, ეს აფიშები მთელ ქალაქშია გაკრული და მიკვირს, რა პრობლემაა, რომ რეჟისორის სახელი და გვარი მიუთითონ? ბუნებრივია, მათ ექნებათ ამის სურვილი...



**„კითხვაც კი მიჩნდება, ხომ არ უპირებენ რუსთაველის თეატრს, სახელი გადაარქვან და უწოდონ, მაგალითად, ერთი რეჟისორის თეატრი, ან სულაც რობიკო სტურუას სახელობის თეატრი...“**

## ია შერაზადაშვილი: „რუსთაველის თეატრში უკვე დიდი ხანია კალენდარული აფიშები იკვრება და არასოდეს არ ყოფილა მითითებული რეჟისორის სახელი და გვარი, მათ შორის არც რობერტ სტურუას“

ბატონი ალეკო, როგორც თავად ამბობს, რიგითი მაყურებელია, რომელიც ქალაქის სხვადასხვა კუთხეში რუსთაველის თეატრის აფიშებს ინტერესით ათვალიერებს. ეს აღმოჩენაც წლების წინათ გააკეთა, თუმცა „საიდუმლო“ დღემდე ვერ ამოხსნა.

რუსთაველის თეატრში აცხადებენ, რომ კალენდარული აფიშების დამახასიათებელი ნიშანი სწორედ რეჟისორების გარეშე დაბეჭდილი ჩამონათვალია. მეტიც, „პრაიმტაიმთან“ საუბრისას რუსთაველის თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ ის თეატრში ჯერ კიდევ მეოცე საუკუნიდან მოყოლებული მუშაობს და კალენდარულ აფიშებზე არასოდეს ხდებოდა რეჟისორების მითითება არც რუსთაველის თეატრში და არც სხვაგან. თუმცა ასე ნამდვილად არ არის. მაგალითად მარჯანიშვილის თეატრის აფიშას მოვიყვანთ, რომელიც ასევე კალენდარულია, თუმცა რეჟისორი ყველა სპექტაკლზეა მითითებული. მათთვის სხვანაირი აფიშა, უბრალოდ, წარმოუდგენელიც კია.

**ია შერაზადაშვილი, რუსთაველის თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი:**

– რუსთაველის თეატრს აქვს კალენდარული აფიშები, რაც ნიშნავს, რომ აფიშაზე ორი კვირის თეატრებია დატანილი. აქედან გამომდინარე, კალენდარულ აფიშებზე არასოდეს არ იწერება რეჟისორის სახელი და გვარი. როცა ერთი კონკრეტული სპექტაკლის აფიშა იკვრება, იქ იწერება რეჟისორიც, მხატვარიც, კომპოზიტორიც, მსახიობებიც და ყველა. ჩვენ გვყავს სალიტერატურო ნაწილის გამგე, რომელიც ყველა აფიშას ამოწმებს და არ არსებობს, რომ გავიდეს ერთი სპექტაკლის აფიშა და ზედ არ იყოს მითითებული რეჟისორი. რაც შეეხება კალენდარულ აფიშებს, იქ არასოდეს იწერებოდა რეჟისორი. მე თეატრში ვმუშაობდი მეოცე საუკუნეშიც და არც ერთი თეატრის კალენდარულ აფიშაზე არ იწერებოდა რეჟისორები.

**– როგორც ვიცით, თავად რებერტ სტურუას მითითება ყოფილა ასეთი...**

– ეს ტყუილია. გამორიცხულია, რადგან რუსთაველის თეატრში უკვე დიდი ხანია კალენდარული აფიშები იკვრება და არასოდეს არ ყოფილა მითითებული რეჟისორი, მათ შორის არც რობერტ სტურუას სახელი და გვარი არ არის ხოლმე გაჟღერებული.

**– აფიშაზე მითითებულია სტურუას სახელი.**

– ყველა აფიშას აწერია სამხატვრო ხელმძღვანელის სახელი და გვარი და რადგან რუსთაველის სამხატვრო ხელმძღვანელი არის ბატონი რობერტ სტურუა, რა თქმა უნდა, მითითებულია სტურუას სახელი და გვარი. თეატრს რომ ჰყავდეს სხვა სამხატვრო ხელმძღვანელი, ბუნებრივია, მისი სახელი და გვარი იქნებოდა მითითებული.

**– თქვენ გვითხარით, რომ არც ერთი თეატრის კალენდარულ აფიშაზე არ ხდება რეჟისორების მითითება, თუმცა მარჯანიშვილი უთითებს...**

– კალენდარულ აფიშაზე არის ჩამოწერილი ორი კვირის სპექტაკლები. ჯერ ერთი, ადგილიც არ არის აფიშაზე და თან არასოდეს იწერებოდა რეჟისორი. ძალიან დიდი ხანია უკვე ასეთი ტიპის აფიშები იკვრება, ეს არ არის დღევანდელი გადაწყვეტილება, ასე ხდება უკვე წლებია. მაშინ როცა ეს გადაწყვეტილება მიიღეს, მე არ ვმუშაობდი თეატრში. როცა ერთი სპექტაკლის აფიშაზე ხდება ყველა დეტალის მითითება, რა საჭიროა რეჟისორის მითითება კალენდარულ აფიშაზე?

როგორია პირადად რობერტ სტურუას დამოკიდებულება აღნიშნულ საკითხზე, გაურკვეველია. ის, პოლი-



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ...ე სხვა რეჟისორის სახელი და გვარი დაიწეროსო..."

ტიკისგან განსხვავებით, თეატრს არასოდეს უძლვნის პოსტებს სოციალურ ქსელში საკუთარ გვერდზე. პრინციპში, გამონაკლისი მხოლოდ მაშინ დაუშვა, როდესაც მოსკოვის „კალიაგინის" თეატრიდან უკან, საქართველოში დაბრუნების გადაწყვეტილება მიიღო. სწორედ მაშინ დაუპირისპირდა „გაგდებული" რეჟისორი თეატრის ახალ თაობას. რობერტ სტურუა: „გადავწყვიტე! მოვდივარ! თეატრი არც უფერული მსახიობის ზალიკოს (ჩიქობავას) კუთვნილებაა, არც ოლივერის და არც პატარა ტკიპების, მმართველმა მურმანივით რომ შეასია თეატრს... ვინ არიან ეს „პუკები" ან გაზარმაცებული მსახიობები – თამაში რომ აღარ უნდათ, უბრალოდ ეშინიათ. ან იმ რეჟისორების სიამაყე, ლონდონის 40 წლის წინათ დადგმულ სპექტაკლს ქართულ თეატრში უნიჭოდ რომ იმეორებენ? ამიტომ მოვდივარ! ამ თეატრში მეც ვმუშაობდი და ჩემი ვალია, არ მივატოვო ჩემი სახლი, სადაც 50 წელი გავატარე. ხოლო იმ ვითომ ინტელექტუალურ რეჟისორებზე მეტი ნამდვილად წამიკითხავს, ერთი წიგნით მეტი მაინც"...

სხვათა შორის, სტურუამ მაშინვე დაუსვა კითხვის ნიშანი ჩიქობავას თეატრში დარჩენის საკითხს და იქვე განაცხადა, დაბრუნების შემდეგ მინდა დიქტატორი ვიყოო, „დავშლი დასს, რადგან მათ უმეტესობას კონტრაქტები უმთავრდება და თავიდან ავკრეფ"...

ამ ყველაფერს კი წინ უძღოდა სტურუას თეატრიდან წასვლა. ეს ისტორია საქართველოში ყველამ დეტალებით იცის. რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან განთავისუფლების ბრძანებას კულტურის მაშინდელმა მინისტრმა, ნიკა რურუამ მოაწერა ხელი. გამპროტესტებლებმა მაშინვე დაიწყეს ქვეტექსტების ძიება და თითქოს იპოვეს კიდეც: სააკაშვილის წინააღმდეგ გამოსვლებს არ პატიობენო. სტურუას შეფასებები წინა ხელისუფლების მისამართით ასევე გვახსოვს თავისი დეტალებით. ის სააკაშვილს „სომხურ წარმომავლობას" უწუნებდა: „სომეხია და რა ვქნათ... ეს ხომ არ არის დამალული?" – ეს არ ყოფილა ერთადერთი ჰომოფობიური განცხადება სტურუას მხრიდან. ნიკა რურუას კი საკმაოდ დიდხანს უწევდა იმის მტკიცება, რომ სტურუამ განთავისუფლების გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღო და არავინ სხვა მის საქმეში არ ჩარეულა...

**ნიკა რურუა:**

– ბატონი სტურუა ეთნიკური კუთვნილების სალანძღავ ეპითეტად არაერთჯერადი საჯარო გამოყენებისთვის პირადად ჩემი საკუთარი გადაწყვეტილებით გავათავისუფლე დაკავებული თანამდებობიდან. პრეზიდენტი სააკაშვილი ამ ჩემი გადაწყვეტილების თაობაზე არც საქმის კურსში ჩამიყენებია და ეს გადაწყვეტილება, მით უმეტეს, მას არ მიუღია. ჩემი გადაწყვეტილების მიზეზი, რომელიც არაერთხელ მითქვამს, იყო მკაფიო პოზიციის ჩვენება სახელმწიფოს მხრიდან საქართველოს მოქალაქე ეთნიკური უმცირესობებისთვის, რომ ისინი საკუთარ სამშობლოში მეორეხარისხოვანი ხალხი არ არიან. ეს იყო სამართლიანი და, ჩვენი სამშობლოს მრავალეთნიკური კომპოზიციიდან გამომდინარე, უსაფრთხოების თვალსაზრისით გადადგმული სწორი ნაბიჯი – ეს მჯეროდა მაშინაც და მჯერა ახლაც.

თუმცა დღესაც არიან ადამიანები, რომლებიც სტურუას მაშინდელ განთავისუფლებას ანგარიშსწორებად მიიჩნევდნენ და მიიჩნევენ. ასეთმა ადამიანებმა მაშინ ბევრი გასასამართლებელი ვერსია მოუძებნეს სიტყვა „სომეხის" სხვადასხვა ბრუნვაში გამოყენებას. ერთ-ერთი მორიგი მხარდამჭერის ვერსიით, ქართველებისთვის სომეხი მატყუარა, სახელგატეხილ ადამიანთან ასოცირდება და მისივე მოსაზრებით რეჟისორმაც სწორედ ეს ქვეტექსტი იგულისხმა, როდესაც სააკაშვილის სომხურ წარმომავლობაზე გააკეთა აქცენტი: „მე ასე გავიგე სტურუას ნათქვამი: სტურუამ სიტყვა სომეხი გამოიყენა იმიტომ, რომ სომეხი ქართველ საზოგადოებში ასოცირდება მატყუარა ადამიანთან. ამიტომაც სტურუას არ უნდა, რომ ჰყავდეს მატყუარა „სომეხი" პრეზიდენტი. მე პირადად არ ჩავთვლი ქსენოფობიად, თუ რომელიმე რუსი რეჟისორი იტყვის, არ მინდა ქართველი პრეზიდენტი მყავდესო. ქართველი რუსეთში ხომ ქალების მოყვარულ, მსმელ „მუჟიკთან" ასოცირდება და გასაკვირიც არ არის, არ უნდოდეთ „ქართველი" პრეზიდენტი".

ასეთ ადამიანებს ავიწყდებათ, რომ მსოფლიო მასშტაბით ძალიან ბევრი ცნობილი ადამიანი დასჯილა მსგავსი საქციელის გამო. მაგალითად, კანის 64-ე ფესტივალზე ქსენოფობიური გამოსვლების გამო ცნობილი რეჟისორი ლარს ფონ ტრიერი პერსონა ნონ გრატად გამოაცხადეს. პრობლემები შეექმნა კრისტიან დიორის ცნობილ მოდელიერს, ჯონ გალიანოსაც. ის სწორედ ქსენოფობიური გამონათქვამების გამო დააკავა პოლიციამ და საბოლოოდ პარიზის დატოვებაც კი მოუხდა. მოკლედ, დასავლეთი მსგავს შეცდომებს არავის პატიობს, განსაკუთრებით კი ცნობილ ადამიანებს.

ძალიან ბევრი ადამიანი კი რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს სწორედ ახალგაზრდების დაბლოკვაში და საქართველოს მომავლის არასწორ დანახვაში ადანაშაულებს: „მე პირადად არაერთხელ სიამოვნებით დავსწრებივარ სტურუას სპექტაკლებს და თუ დამიჯერებთ, ჩემს უსაყვარლეს რეჟისორთა შორის მოვიაზრებდი, თუმცა საქართველო და სიმართლე ჩემთვის ყოველთვის გაცილებით ძვირფასია, ამიტომ უდიდესი გულისტკივილით ვკითხულობდი, ვაკვირდებოდი და ვუსმენდი მის ყოველ გამონათქვამს პოლიტიკაზე, განსაკუთრებით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან... გულისტკივილით იმიტომ, რომ ჩემთვის წარმოუდგენელი იყო, როგორ შეიძლებოდა ჭკვიანი ადამიანი თავისი ქვეყნის თავისუფლების მოწინააღმდეგე ყოფილიყო".

რეჟისორს „ფეისბუკის" პირად გვერდზეც პირდაპირ მიმართავენ და ურჩევენ ახალ ძალას, ახალ ნიჭს და ახალ სისხლს მეტი გასაქანი მისცეს: „ძალიან დიდ პატივს გცემთ, გვიყვარხართ, მაგრამ რატომ უნდა გიყუროთ 50, 60 და 100 წელი სულ ერთსა და იმავე ხალხს წინა პლანზე. ახალგაზრდებიც ხომ უნდა გაიზარდონ. მჟავანაძის შემდეგ სულ თქვენ ხართ კაცოოოოო. დაგვამახსოვრეთ თავი ისეთებად, როგორებიც გვიყვარხართ".

მიუხედავად ამისა, რეჟისორი მაინც შეუცვლელად მიიჩნევს თავს და თვლის, რომ ის პატარა „ტაიმაუტი", რომელიც მან რუსთაველის თეატრის მიღმა, რუსეთში გაატარა, თეატრს მაინც დაეტყო, თანაც ცუდად – „სანამ არ ვიყავი, რაღაც უცნაური მოხდა. წელიწად-ნახევრის განმავლობაში თეატრი რაღაცნაირად... შესუსტდა"...

სხვათა შორის, რობერტ სტურუა ჯერ კიდევ მარგველაშვილის გაპრეზიდენტებამდე წინასწარმეტყველებდა მომავალი პრეზიდენტის გარდასახვას: „ისიც კი მგონია, რომ პრეზიდენტის სასახლეში რაღაც ვირუსია. ადამიანები ავად ხდებიან და მათი ცნობა შეუძლებელი ხდება. ღმერთმა ქნას, რომ ეს აღარ განმეორდეს".

თუ გავითვალისწინებთ მარგველაშვილის ბოლო ნაბიჯებს, ადვილი მისახვედრი უნდა იყოს მისი დღევანდელი დამოკიდებულება მოქმედი პრეზიდენტის მიმართაც.

**„თურმე სალაროში მჯდარა ზაალ ჩიქობავა. ჩემს კითხვაზე წამოდგა და მითხრა, თქვენ მეტი საქმე არ გაქვთო?"**

## რუსთაველის თეატრი

კვირა **1** აპრილი — ირაკლი სამსონაძე, გიორგი თავაძე — დიდი სცენა
**დაბოლილი მთვარე**
კომიკური იგავი ერთ მოქმედებად — 19:45

ოთხშაბათი **4** აპრილი — ექსპერიმენტული სცენა
**„ქარი მწყურია მე პირდაპირი"**
მონოსპექტაკლი ერთ მოქმედებად — 19:00

პარასკევი **6** აპრილი — დავით კლდიაშვილი — დიდი სცენა
**დარისპანის გასაჭირი**
ექსცენტრიკული ტრაგიკომედია ერთ მოქმედებად — 19:45

შაბათი **7** აპრილი — თამაზ ჭილაძე — დიდი სცენა
**ნადირობის სეზონი**
ტრაგიკომიკური ფანტასმაგორია ორ მოქმედებად — 19:45

კვირა **8** აპრილი — უილიამ შექსპირი — დიდი სცენა
**შობის მეთორმეტე ღამე ანუ როგორც გნებავთ**
ორ მოქმედებად — 19:45

სამშაბათი **10** აპრილი — ექსპერიმენტული სცენა
**ჰამლეტი.comX**
სურათები უილიამ შექსპირის „ჰამლეტიდან" ორ მოქმედებად — 19:00

ოთხშაბათი **11** აპრილი — ზურაბ ანტონოვი — მცირე სცენა
**მზის დაბნელება საქართველოში**
კომედია ორ მოქმედებად — 19:45

## მარჯანიშვილის თეატრი

## დიდი სცენა

10 რეპეტიციის შემდეგ

12 ART - ხელოვნება

13 ქოლო

14 პიგმალიონი

15 დეკამერონი

16 ჰამლეტი

17 რეპეტიციის შემდეგ

18 ART - ხელოვნება

19 ქოლო

21 პიგმალიონი





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა ცვლილებები მზადდება

## my View



მირიან ბოქოლიშვილი

საავთიაქო ნარკომანიაზე სამართლებრივი კონტროლის გამკაცრების შემდეგ, ჯერი ე.წ. სპაისებსა და ბიონარკოტიკებზეა.. აფთიაქებიდან ფსიქოტროპული მედიკამენტების რეცეპტის გარეშე გაცემა შეიზღუდა და ეს სისხლის სამართლის დანაშაულად დაკვალიფიცირდა, თუმცა, მსოფლიოს ქვეყნები ამ დრომდე ვერაფერს უხერხებდნენ ბიომაფიას, რომელმაც ბოლო პერიოდში საქართველოშიც აქტიურად მოიკიდა ფეხი და უკვე არაერთი ახალგაზრდის სიცოცხლეც იმსხვერპლა. „არა ბიონარკოტიკს – ერთად შევცვალოთ დამოკიდებულება“, – ამ შინაარსის საინფორმაციო კამპანია შინაგან საქმეთა სამინისტრომ წამოიწყო. საქართველო ამით უერთდება ევროპის რამდენიმე ქვეყნის ინიციატივას, სადაც ბიომაფიის წინააღმდეგ აქტიური ღონისძიებები ტარდება. კამპანიის ფარგლებში შსს-მ მოამზადა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მეორე მოსმენით უკვე დაამტკიცა.

### რას გულისხმობს ახალი სამართლებრივი რეგულაცია?

მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გავრცელება (ბიოები, სპაისები) ხდება ძალიან სწრაფად. ანუ ნარკომაფია აკეთებს ისე, რომ სხვადასხვა შენაერთების ჩანაცვლებით იღებს ქიმიური შემადგენლობის ახალ ნივთიერებას, რომელსაც პრაქტიკულად იგივე ეფექტი აქვს, თუმცა მისი კრიმინალიზაცია სახელმწიფოს ჯერ არ მოუხდენია. შესაბამისად, ყოველთვის ერთი ნაბიჯით უსწრებენ სხვადასხვა ქვეყნების ხელისუფლებებს. რადგან ვერ ხერხდებოდა ამაზე სწრაფი რეაგირება, ევროპის რამდენიმე ქვეყანამ გადაწყვიტა, მოახდინოს ქიმიურ ნაერთთა კლასიფიკაცია, ანუ ნებისმიერი სახის ჩანაცვლება ამ შემთხვევაში აზრს კარგავს. ამ ქვეყნების რიცხვს მივეკუთვნებით ჩვენც, როდესაც ძალაში შევა ზემოხსენებული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი.

ამ ცვლილებებით, სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლს, რომელიც ეხება ნარკოტიკების შეძენა, შენახვა, გასაღება, გადაზიდვას, დაემატება ცალკე დათქმა, რომელიც შეეხება ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს. ამ ნივთიერებებთან მიმართებაში განისაზღვრება სასჯელის ზომა 0-დან 5 წლის ვადით.



- რამდენი ახალგაზრდა შეეწირა სინთეტიკურ ნარკოტიკებს?
- რას იწვევს ბიოს მოწევა?
- როგორ უკავშირდებიან ახალგაზრდები ნარკომაფიას
- რას უყვება „პრაიმტაიმს“ ყოფილი მომხმარებელი?



**„ძალიან შევშინდით, იმ წუთში ჭკუიდან შეიშალა. შემდეგ ყვებოდა, რომ თითქოს კედელი გაიხსნა და ნანგრევებში ექცეოდა“**

კანონპროექტის ავტორი, შსს-ს საერთაშორისო ურთიერთობათა სამმართველოს უფროსი, სოფო კილაძე „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ამბობს, რომ ეს ცვლილებები ფრაგმენტულად არ უნდა განვიხილოთ:

„პირველ ეტაპზე ჩვენ დავიწყეთ პრობლემების იდენტიფიცირება. გამოვყავით საკითხთა ნუსხა, რომლებიც ითხოვდნენ მოკლევადიან პერსპექტივაში სასწრაფოდ გადაჭრას და, ასევე, იყო საკითხები, რომლებიც ითხოვდნენ გრძელვადიან რეაგირებას. სახელმწიფომ გადაწყვიტა, რომ პირველ რიგში ძალიან დიდი პრობლემა იყო კუსტარულად დამზადებული ნარკოტიკები, კომბინირებული პრეპარატები, რომლისგანაც მზადდება „კრაკადილი“ და სხვა მისი მსგავსი ნივთიერებები. ეს ძალიან დიდი პრობლემა იყო ქვეყნის მასშტაბით. ალბათ, საქმის კურსში იქნებით, რომ შსს-მ ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად ამ მიმართულებით მოახდინა საკანონმდებლო ინიცირება და შესაბამისი კანონპროექტი უკვე შევიდა ძალაში. გვაქვს პირველადი ინფორმაციები, რომ ამ ცვლილებებმა თავისი დადებითი შედეგები უკვე გამოიღო. ანუ საავთიაქო ნარკომანიის დაძლევისკენ ჩვენ დიდი ნაბიჯი გადავდგით. ახლა დღის წესრიგშია ე.წ. ბიოებისა და სპაისების პრობლემის მოგვარება, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ჩვენს ახალგაზრდობასა და გენოფონდს. ეს იყო სასწრაფოდ მოსაგვარებელი და ამიტომ გადავწყვიტეთ, ევროპის რამდენიმე ქვეყნის მაგალითი მიგვეღო და შესაბამისად, შევიმუშავეთ ზემოხსენებული კანონპროექტი“, – ამბობს სოფო კილაძე.

### ერთად შევცვალოთ დამოკიდებულება

მოსახლეობის დიდ ნაწილში, განსაკუთრებით ახალგაზრდებში მუსირებს აზრი, რომ ბიონარკოტიკი აყენებს კარგ ხასიათზე და განსაკუთრებული მავნე გავლენა არ აქვს. ეს რომ ასე არ არის, ქვემოთ ჩვენი რესპონდენტის ინტერვიუდანაც შეიტყობთ და ამაზე მოწმობს, ის ფატალური შედეგებიც, რომლის შესახებაც ჩვენს მკითხველს კარგად მოეხსენება. ბიონარკოტიკით გარდაცვლილთა ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს, თუმცა მხოლოდ „პრაიმტაიმში“ არაერთი მსგავსი შემთხვევის შესახებ მოგვიმზადებია სტატია. მაგალითისთვის რამდენიმე გახმაურებული ფაქტიც საკმარისია:

15 თებერვალს, კაფე „გალერიში“ 23 წლის ახალგაზრდა მოულოდნელად გარდაიცვალა. წინასწარი ინფორმაციით ითქვა, რომ მას გულის შეტევა დაემართა, თუმცა, მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ახალგაზრდას ბიონარკოტიკი ჰქონდა მიღებული. ის ცნობილი კარდიოლოგის, გულიკო ჩაფიძის შვილიშვილი, დავით ცხაკაია აღმოჩნდა. შემთხვევის ადგილზე „პრაიმტაიმს“ „გალერის“ მენეჯერმა განუცხადა, რომ ახალგაზრდამ რამდენიმე წუთში სული სავარძელში დალია.

„თუ ნარკოტიკია მიზეზი, ალბათ, გარედან იყო შემოტანილი. სასწრაფო რომ მოვიდა, ბიჭი ადგილზე იყო უკვე გარდაცვლილი. სავარძელში იჯდა და იქვე გარდაიცვალა“, – განუმარტა „პრაიმტაიმს“ „გალერის“ მენეჯერმა, ხათუნა კალანდაძემ.

ამ ტრაგიკული შემთხვევის შემდეგ, „გალერი“ რამდენიმე დღით დაიკეტა, თუმცა ამჟამად კაფე ჩვეულ რეჟიმში განაგრძობს მუშაობას. დავით ცხაკაიას გარდაცვალებამდე ამავე კაფეს მიმდებარე ტერიტორიაზე ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ სამართალდამცველებმა რამდენიმე გოგონაც დააკავეს.

დავით ცხაკაიას გარდაცვალებიდან ზუსტად სამ დღეში თბილისში სინთეტიკური ნარკოტიკით გარდაცვალების კიდევ ერთი ფაქტი დაფიქსირდა. ე.წ. ბიოპლანმა დიღმის მასივში 22 წლის ირაკლი მაზმიშვილი იმსხვერპლა. ახალგაზრდა სასწრაფო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში უგონო მდგომარეობით გადაიყვანა, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

ამავე ნარკოტიკს უკავშირდება არცთუ დიდი ხნის წინ ღუდუშაურის საავ-



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ბიომაფიის წინააღმდეგ?

## „ბრიტანეთიდან 1 გრამი „5F-PB22“ ფხვნილის გამოწერა ჯდება 10 ფუნტი, მაგრამ ერთად რომ იყიდო 100 გრამი 325 ფუნტი ღირს“




**„პაციენტს თავიდანვე აღენიშნებოდა მიდრეკილება აგრესიისკენ, წამოხტომისკენ. პირველი სამი დღის განმავლობაში დაბმულიც კი იყო“**

ადმყოფოში მომხდარი უბედური შემთხვევაც, როდესაც საავადმყოფოში ბიოს მოწევის შედეგად გამოწვეული მძიმე ინტოქსიკაციით მიყვანილი პაციენტი, სტაციონარის მესამე სართულიდან გადმოხტა და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. არსებული ინფორმაციით, 19 წლის გიორგი სამხარაძეს „ბიო“ მეგობრებმა მოაწევინეს, რამაც ჯერ ორგანიზმის მოწამვლა, შემდეგ კი ჰალუცინაციები გამოიწვია. მოსაწევმა საბოლოოდ ახალგაზრდა სუიციდურ მდგომარეობამდე მიიყვანა. სამხარაძეების ოჯახი ექიმების პასუხისმგებლობაზეც მიუთითებენ. ოჯახის ადვოკატი, ანა ჟღენტი „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ამბობს, რომ გიორგი პალატაში აგრესიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა და განსაკუთრებულ მეთვალყურეობას საჭიროებდა.

„პაციენტს თავიდანვე აღენიშნებოდა მიდრეკილება აგრესიისკენ, წამოხტომისკენ. პირველი სამი დღის განმავლობაში დაბმულიც კი იყო. მოგვიანებით ის მდგომარეობიდან გამოვიდა, თუმცა არანაირი მოლოდინი არ იყო, რომ ის უკვე საბოლოოდ იყო გამოჯანმრთელებული. ექიმებმა დეიდას ისიც კი უთხრეს, ნაკლი დარჩებაო. მდგომარეობიდან გამოსვლის შემდეგ პალატაში გადაიყვანეს, თუმცა მალევე დამძიმდა და პალატაში გადმოყვანილი ისევ ინტენსიურში დააბრუნეს. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ იგივე სიმპტომები, ანუ აგრესიულობა და გაღიზიანება, სავარაუდოდ, ისევ გაუმეორდებოდა. ამას კი უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები სჭირდებოდა. ის აუცილებლად უნდა ყოფილიყო დაბმულ მდგომარეობაში, რადგან მას ერთხელ უკვე ჰქონდა მიდრეკილება“, – ამბობს ოჯახის ადვოკატი ანა ჟღენტი.

სპეციალისტები განმარტავენ, რომ სპაისები სინთეტიკური ნივთიერებაა, რომელიც ევროპაში დაახლოებით 14 წლის წინათ გამოჩნდა. მას მარიხუანას მსგავსი ეფექტი აქვს, თუმცა მისი მოქმედება გაცილებით მალე იწყება, უფრო ძლიერმოქმედია და კლასიკურ ნარკოტიკებთან შედარებით ადამიანი სპაისებზე გაცილებით ადვილად ხდება დამოკიდებული. ბიოს მოხმარებამ შეიძლება გამოიწვიოს: თავბრუსხვევა, შფოთვა, ჰალუცინაციები, აღქმის დარღვევა, კოორდინაციის დარღვევა, სისუსტე, მეხსიერების დაქვეითება, ნევროზი და ფსიქოზი. როგორც უკვე გითხარით, ხშირია სუიციდის ფაქტები ბიოს ზემოქმედების დროს. ეს ნივთიერება დამღუპველად მოქმედებს ფსიქიკაზე, ფილტვებსა და ტვინზე.




### როგორ ხდება ბიონარკოტიკების გამოწერა?

ინტერნეტსივრცეში არსებობს უამრავი საიტი, სადაც მომხმარებლებს სხვადასხვა სახის სინთეტიკურ ნარკოტიკს სთავაზობენ, თუ რა ეტაპებს გადიან ბიონარკოტიკის მომხმარებლები მოსაწევის საქართველოში ჩამოტანამდე, ამის გარკვევაში 21 წლის ლაშა დაგვეხმარა, რომელმაც მეგობრებთან ერთად ბიო ბრიტანეთში რეგისტრირებული საიტიდან რამდენჯერმე გამოიწერა.

**ლაშა, 21 წლის:**

– ძალიან ბევრი საიტი არსებობს, ზოგი ამერიკიდან იწერს, ზოგი ევროპიდან. ხშირია შემთხვევა, რომ ერთი საიტი უქმდება და მის ნაცვლად მალევე იქმნება მეორე. თვითონ ბიომოსაწევზე ბოლო დროს კონტროლი დააწესეს და საბაჟოზე აღარ უშვებენ ხოლმე, ამიტომ ახლა იწერენ ფხვნილს, რომელიც აკრძალული არ არის და ამ ფხვნილისგან მზადდება მერე მოსაწევი.

**– და რა პროცედურების გავლაა საჭირო გამოსაწერად? რამდენად მარტივია ეს ყველაფერი?**

– პირველ რიგში, დარეგისტრირება ხდება ფოსტაზე, რომელიც განიჭებს პირად ნომერს და იმ ქვეყნის კონკრეტულ მისამართს, რა მისამართზეც უნდა მიიტანონ გამოწერილი პროდუქტი. შემდეგ რეგისტრირდები საიტზე, სადაც ხდება უშუალოდ გამოწერა და უთითებ ფოსტის მიერ მონიჭებულ მონაცემებს. რიცხავ ფულს და მაქსიმუმ ორი კვირის განმავლობაში შესაძლებელია, ადგილზე ჩამოგიტანონ.

**– და რა ჯდება ეს ყველაფერი?**

– სხვადასხვა ფასებია. თუ ერთდროულად ბევრს გამოიწერ 75-80-პროცენტიან ფასდაკლებას გიკეთებენ. მაგალითად, ბრიტანეთიდან 1 გრამი „5F-PB22“ ფხვნილის გამოწერა ჯდება 10 ფუნტი, ანუ 100 ფუნტი, თითო-თითო გრამებით რომ შეიძინო, 1000 ფუნტი გიჯდება, მაგრამ ერთად რომ იყიდო, 100 გრამი 325 ფუნტი ღირს. ამ საიტებზე შესაძლებელია, სხვადასხვა ფორმის ნივთიერებების გამოწერაც, რომელიც მოსაწევთა კლასს არ განეკუთვნება. მაგალითად, არსებობს სოკოს ფორმის ნარკოტიკი, რომელიც ჩვეულებრივ იჭმევა სოკოს მსგავსად, მაგრამ იწვევს სერიოზულ ჰალუცინაციებს, პირდაპირ გადებილებს. მისი შემოტანა ჩვენთან აკრძალულია, იმდენად ძლიერმოქმედია. არსებობს LSD-ს ფხვნილები, რომელსაც იყნოსავენ. ასევე, ცხვირში ჩასაწვეთებელი წვეთები და პატარა ქაღალდის ფორმის ფირფიტები, რომელსაც ენის ქვეშ იდებენ.

**– შეგიძლია, მითხრა, რას იწვევს ბიოს მოწევა?**

– ერთი შეხედვით თითქოს რაღაც ეიფორიაში ხარ, მაგრამ არც მე და არც ჩემი მეგობრები აღარ გავკარებივართ ამას, მას შემდეგ რაც ერთი ჩვენი ძმაკაცი სერიოზულად „დაიგრუზა“ და ძლივს გადარჩა, რა. რაღაც ჰალუცინაციები გაქვს, სხვადასხვა ფერებში აღიქვამ ნივთებს, პატარა უმნიშვნელო ნივთს უკვირდები, ჩაჰკირკიტებ და სერიოზულად აღიქვამ. ძმაკაცმა მოწია და ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა, ძალიან შევშინდით, იმ წუთში ჭკუიდან შეიშალა. შემდეგ ყვებოდა, რომ თითქოს კედელი გაიხსნა და ნანგრევებში ექცეოდა. ამ დროს, ტიპი მირბოდა და ყვიროდა, გამატარეთ, ყველას ჩაგვიტანსო. წყალი შევასხით, დავიჭირეთ და ძლივს გამოვიდა მდგომარეობიდან. მას შემდეგ, ამ საიტებზე შეხედვაც აღარ გვიფიქრია.

საქართველოში ამ დრომდე არ არსებობდა საექსპერტო აპარატურა, რომელიც ორგანიზმში ბიონარკოტიკის გამოვლენისთვის იყო საჭირო, შესაბამისად, ნარკოტესტის ჩატარებასაც აზრი არ ჰქონდა. კონკრეტულ ქიმიურ ნაერთში უმცირესი ნაწილაკების, რადიკალების ჩანაცვლებით, მიიღება სრულიად ახალი ნივთიერება, რომელიც ამ ეტაპზე აკრძალვას არ ექვემდებარება და საჭირო ხდება ყოველი ასეთი ჩანაცვლების შედეგად მიღებული ნივთიერების კრიმინალიზაცია. თუმცა ზემოხსენებული საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ, ყოველგვარი ქიმიური ჩანაცვლება უკვე აზრს კარგავს და ყველა ეს ნივთიერება ერთიან სამართლებრივ ჩარჩოში მოექცევა. ეს მაშინ, როდესაც საქართველოს პარლამენტი საბოლოოდ დაამტკიცებს ახალ საკანონმდებლო ცვლილებებს და ქიმიურ ნაერთთა კლასი მთლიანად კრიმინალიზებული გახდება. შსს-ს საექსპერტო კრიმინალისტიკურ სამმართველოში უკვე მუშაობს თანამედროვე აპარატურა, რომელიც უკვე საკანონმდებლო დონეზე აკრძალული ქიმიური ნაერთების გამოვლენის საშუალებას იძლევა. ასე რომ, შესაძლებელი ხდება, ორგანიზმში ბიონარკოტიკის გამოვლენა. სამართლებრივი სანქციები სინთეტიკური ნივთიერებების მოხმარებასა და უკანონო ბრუნვაზე კი სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლებში გაიწერება, რომელიც, ზოგადად, ნარკოდანაშაულზე სასჯელის ზომებს განსაზღვრავს.




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# საქმე სახელწოდებით – როგორ მოვიპაროთ მილიონი?



my View

მირიან ბოქოლიშვილი

**გასულ კვირას რედაქციაში ბიზნესმენი რატი კუხალეიშვილი დაგვიკავშირდა და გვთხოვა, ამბავი, რომელიც მის თავს დატრიალდა, გაზეთში გამოგვექვეყნებინა, რათა ამ გზით ხმა მიეწვდინა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისთვის. ბიზნესმენი ირწმუნება, რომ რამდენიმე წლის წინათ დამნაშავეთა ჯგუფმა თაღლითური გზით მიითვისა მისი კუთვნილი თანხა. საუბარია 1 მილიონ ლარზე, რომელიც კუხალეიშვილმა სასესხო ხელშეკრულებითა და საბანკო გადარიცხვით გადასცა კომპანია „თათა სოლუშენის" მფლობელებს, ვალერიან კუპატაძესა და გიორგი ხვინგიას. მისივე თქმით, აღნიშნულ პირებს საერთო ნაცნობობა აკავშირებდათ თავდაცვის ყოფილ მინისტრს დავით კეზერაშვილთან, ხოლო მოგვიანებით საკუთარი აქციები სწორედ კეზერაშვილის კუთვნილ „აუთორჯის" ერთ-ერთ შვილობილ კომპანიას გადასცეს.**



## „დამნაშავეებმა თავიანთი აქტივები დავით კეზერაშვილის ცნობილ ფირმას შპს „აუთორჯის" შეაფარეს. სხვათა შორის, საქმეში ასევე დაფიქსირებულია, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" შემოწირულობებს იღებდა მათგან"

„გაფრთხილების მიუხედავად, რომ მათ დავით კეზერაშვილთან საერთო მეგობრობის წრე აკავშირებდათ და ამდენად, ვერაფერს დავაკლებდი, 2011 წლის თებერვალში მე შსს თბილისის მთავარ სამმართველოში შევიტანე განცხადება და აღიძრა სისხლის სამართლის საქმე 180-ე მუხლით (თაღლითური გზით სხვისი ქონების მითვისება). ძიების საწყის ეტაპზევე ჩატარდა ყველა საგამოძიებო მოქმედება, რის შემდეგაც მკვეთრად გამოიკვეთა სისხლის სამართლის დანაშაული, მაგრამ, როდესაც დადგა შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღების დრო, დამნაშავეებს მართლაც გამოუჩნდნენ მფარველები, რომელმაც პროკურატურას თაროზე შემოადებინა საქმე. აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შემდეგ, დამნაშავეებმა თავიანთი აქტივები დავით კეზერაშვილის ცნობილ ფირმას შპს „აუთორჯის" შეაფარეს. სხვათა შორის, საქმეში ასევე დაფიქსირებულია, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" შემოწირულობებს იღებდა მათგან.

**– და რაში მდგომარეობს კონკრეტულად თაღლითობა?**

– ვალერიან კუპატაძეს ვიცნობდი დაახლოებით 2000 წლიდან. მთხოვა, რომ მის კომპანიას ვასესხებდი თანხას, რამაც საბოლოოდ შეადგინა 1 მილიონ ლარამდე. ეს იყო ჩემი პირადი თანხა, რომელიც შპს „ულტრაპრინტის" აქციების გაყიდვიდან მივიღე. ეს თანხა ვასესხე გადარიცხვით. ეს ხდება 2007 წელს. 2010 წლის გაზაფხულზე, როდესაც საგადასახადოში ბალანსების ჩაბარების პერიოდია, კუპატაძემ მითხრა, რომ ჰყავდა ძველი ბუღალტერი, რომელმაც საქმეს ვერ გაართვა თავი, ახლა ავიყვანე ახალი, მის ცოლისდაზეა საუბარი, მან დაალაგა ყველაფერი. მთხოვა, ხელი მომეწერა დოკუმენტებზე, რომ თანხის ნაწილი, სადღაც 640 ათასი ლარი, დამიბრუნა. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენს შორის იყო ნდობა და მეგობრობა, უარი არ ვუთხარი. დავურეკე ცოლისდას, შემოატანინა 50 ცალი სალაროს გასავლის ფურცელი და 2010 წლის ერთ მშვენიერ დღეს 50 ფურცელზე მოვაწერე ხელი. სულ ჯამდებოდა 640 ათასი ლარი. თუმცა დღემდე არც ეს თანხა მოუცია და არც დანარჩენი. 50 ფურცელზე გადანაწილებული იყო სხვადასხვა ოდენობის თანხა, სხვადასხვა თარიღებით. მათ შორის ხელი მომაწერინა ისე დათარიღებულ ფურცლებზე, როდესაც მე ფიზიკურად საქართველოში არ ვიმყოფებოდი. ამას ადასტურებს საზღვრის კვეთის დოკუმენტიც.



რატი კუხალეიშვილი

**– რა ბიზნესს ეწეოდნენ თავად?**

– მათ ჰქონდათ სტამბა, სადაც სარეკლამო ფლაიერებსა და მსგავს პროდუქციას ბეჭდავდნენ. მოგვიანებით მიყიდეს „აუთორჯის" ერთ-ერთ შვილობილ კომპანიას. მანამდეც ხშირად უთქვამთ ჩემთვის, რომ „აუთორჯის" ერთ-ერთი დირექტორი მისი მეგობარია, რომელსაც, თავის მხრივ, ახლო ურთიერთობა აქვს დავით კეზერაშვილთან. მათ ჰქონდათ საერთო სამეგობრო და თითქოს აწარმოებდნენ მოლაპარაკებას ერთობლივ საქმიანობაზე. მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ ძიება იყო დაწყებული, ეს არის 2011 წლის შუა პერიოდი, ეს კომპანია გაასხვისა.

როდესაც თანხის დაბრუნება მოვთხოვე, პირდაპირ მითხრა, ვერ მოგცემ ფულსო. 20 წლის შემდეგ თუ შევძელი, ან მოგცემ ან არაო. ამის შემდეგ შევიტანე განცხადება და აღვძარი სისხლის სამართლის საქმე. 2011 წლის გაზაფხულზე, კვლავ ბალანსის ჩაბარების დროს, მოდის კუპატაძე და კვლავ მთხოვს, რომ დარჩენილ თანხაზეც მომეწერა ხელი, რადგან ეს თანხები არის 2010 წელზე გაწერილი, კვლავ მოაქვს სალაროს გასავლის ქვითრები ამჯერად 49 ფურცლად, ყველა ფურცელზე წინასწარ მოწერილი აქვს ხელი მას და მის ბუღალტერსაც, აკლია მხოლოდ ჩემი ხელმოწერა. მე უკვე ვხვდები, რომ გადაგდებული ვარ, თუმცა არ ვეუბნები, რომ საჩივარი მაქვს შეტანილი. დავიტოვე ეს ფურცლები, ვუთხარი, ხელმოწერილს მოგიტან ხვალ-მეთქი, თუმცა ეს დოკუმენტაცია წავიღე და ჩავაბარე გამოძიებას ნივთმტკიცების სახით. შემდეგ უკვე დაიბარეს საგამოძიებო ორგანოში. მან საერთოდ უარყო, რომ აქვს ჩემი ვალი, ის 640 ათასი, ხელი რაზეც მომაწერინა, ნამდვილად დავუბრუნეო, რაც შეეხება დარჩენილ თანხას, ამასაც ვაძლევდი უახლოეს დღეებშიო. მოკლედ, დაიწყო გამოძიება, რამაც გამოკვეთა კუპატაძის პასუხისმგებლობის საკითხი, გამომძიებელმა მოხსენება წარუდგინა ზემდგომს, თუმცა მავანმა ეს საქმე გააჩერა. მაშინდელმა პროკურორმა მითხრა, რომ დავწერე მოხსენება უფროსის სახელზე და ახლა ზევით უნდა მიიღონ გადაწყვეტილებაო, თუმცა ეს გადაწყვეტილება არ ყოფილა. ცხადია, მფარველები ნახეს და თაროზე შემოადებინეს საქმე.

## ვინ შემოდო ეს საქმე თაროზე წინა და ახალი ხელისუფლებების დროს?

**– და ახალი ხელისუფლების პირობებში რა ეტაპზეა ძიება?**

– საქმე გაჩერებულია. როგორც გითხარით, ამ დანაშაულის ერთ-ერთი ფიგურანტი გახლავთ გიორგი ხვინგია. ის კუპატაძესთან ერთად არის „თათა სოლუშენის" მფლობელი. ჩემი ადვოკატის დამსახურებით ფინანსურ პოლიციაში გადავიდა საქმე, 2013 წლის 16 ივლისამდე ინტენსიურად მიბარებდნენ და მიდიოდა ძიება, თუმცა 26 ივლისს დავით ხვინგია, ანუ გიორგი ხვინგიას ძმა, დაცვის პოლიციის დეპარტამენტიდან ფინანსურ პოლიციაში გადაიყვანეს დეპარტამენტის ხელმძღვანელად. ამის შემდეგ ერთ კვირაში გამოძიება შეჩერდა. დამიბარეს და მითხრეს, დანაშაული არ იკვეთებაო. დავით ხვინგია ამჟამად ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსის მოადგილეა, ანუ მეორე კაცია თანამდებობრივად. შევხვდი ბადაშვილსაც, მოიფიქრე, რა შეიძლება გაკეთდეს და 8-10 დღეში კიდევ შევხვდეთო, თუმცა მას შემდეგ არავინ შემხმიანებია.

„პრაიმტაიმი" შეეცადა ვალერიან კუპატაძესთან და გიორგი ხვინგიასთან გასაუბრებასაც, თუმცა მათთან დაკავშირება ვერ მოხერხდა. ხვინგიამ უპასუხოდ დატოვა, როგორც ჩვენი სატელეფონო ზარები, ასევე ესემეს-შეტყობინება. იმ შემთხვევაში, თუ მათ სურვილი ექნებათ, ამ თემაზე განმარტება გააკეთონ, ჩვენ სიამოვნებით დავუთმობთ ადგილს პოზიციის დასაფიქსირებლად.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მსახიობობიდან თბილისის მერობის კანდიდატობამდე




## „მელია და ნარმანია ჯერ კიდევ ბავშვები იყვნენ, როცა ჩემი ქალაქისთვის რაღაცას ვაკეთებდი“

სალომე გოგოხია

**ჯერჯერობით, მსახიობი ასმათ ტყაბლაძე პირველი მანდილოსანია, ვინც თბილისის მერობისთვის იბრძოლებს. გასულ კვირას მისი კანდიდატურა „ლეიბორისტულმა“ პარტიამ წარმოადგინა. მსახიობი, რომელსაც ფართო აუდიტორია სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებიდან“ (კატოს პერსონაჟის დედამთილი) იცნობს, ამბობს, რომ დედაქალაქს კარგი დიასახლისი სჭირდება და ამისთვის მისი კანდიდატურა იდეალურია.**

მსახიობობის პარალელურად, ასმათ ტყაბლაძე არასამთავრობო ორგანიზაცია „თემიდას“ თავმჯდომარეა, სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით სხვადასხვა დროს დამოუკიდებლად, ხანაც „ლეიბორისტებთან“ ერთად საპროტესტო აქციებს მართავდა.

გასულ კვირას „ლეიბორისტული“ პარტიის თავმჯდომარემ შალვა ნათელაშვილმა პარტიის სახელით თბილისის მერობის კანდიდატი თავად წარადგინა. მისი თქმით, ტყაბლაძის და პარტიის ურთიერთობა 15 წელს ითვლის.

რას ჰპირდება თბილისელებს მერობის კანდიდატი ქალბატონი, რა პლუსი აქვს კონკურენტებთან შედარებით და არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში როგორ შეუთავსებს მსახიობობას მერობას, ამას ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ.

**ასმათ ტყაბლაძე:** - პრეზიდენტი რეიგანი და გუბერნატორი შვარცნეგერიც მსახიობები იყვნენ. ვთვლი, რომ „ლეიბორისტებმა“ სწორი გათვლა გააკეთეს, როცა ჩემი კანდიდატურა დაასახელეს. ხომ არის დედასამშობლო, დედაქალაქი? დედაქალაქს დიასახლისი სჭირდება. მერობაზე არ მიფიქრია, მაგრამ თბილისში იმდენი პრობლემაა გადასაჭრელი, სულ ვფიქრობდი, ოფიციალური უფლება მქონოდა და ამაში მონაწილეობა მიმეღო. როგორც მოქალაქეს, არასამთავრობო ორგანიზაციის თავმჯდომარეს, ბევრჯერ მიმიღია მონაწილეობა აქციებში. ცხონებულმა ზურაბ ჟვანიამ მითხრა, თქვენი უკვე გვეშინია, სადაც დაგინახავთ აქცია იმართება გვგონიაო. „ლეიბორისტულ“ პარტიასთან ერთად და ცალკეც გამიმართავს აქციები დენის ტარიფთან და სხვა სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით. ჩემთვის ამ პარტიის პოლიტიკური ხედვა სოციალური კუთხით მისაღები იყო, ამიტომ მათ შეთავაზებას მაშინვე დავთანხმდი. ბატონმა შალვამ იცის ჩემი პიროვნება, როგორც არაკორუმპირებული, მთავრობაში არ მყოფი, ბიზნესმენი, კარგი მენეჯერი, პოპულარული ადამიანი, რომელიც მაყურებელს უყვარს. ეს ყველა თვისებები შეაჯამა და ასეთი წინადადება შემომთავაზა.

**- ჯერჯერობით, კანდიდატებს შორის ერთადერთი მანდილოსანი ხართ, თქვენს შანსებს როგორ შეაფასებთ?**

- ჯერ ერთი, მე ვარ ქალბატონი და ეს უკვე ერთი პლუსია მათთან შედარებით. ჩემი კონკურენტები - ნიკა მელია და დავით ნარმანია ჯერ კიდევ ბავშვები იყვნენ, როცა მე ჩემი ქალაქისთვის რაღაცას ვაკეთებდი. ძალიან ბევრი სასიკეთო საქმე მაქვს გაკეთებული, ქუჩის ამბავი, ტარიფების, ერთ-ერთი არჩევნების წინ ერთ-ერთ პარტიას ვთხოვე და ვაიძულე ნუცუბიძის ქუჩა გაეკეთებინათ. ჩემი სახით მათ ძლიერი კონკურენტი ჰყავთ. ახალგაზრდებს პირადი სურვილები აქვთ, მე მხოლოდ ჩემი ქალაქის სიყვარულში და მოვლა-პატრონობაში დავიხარჯები. ჩემი შრომით შეძენილი ორი სახლი მაქვს, მამა-პაპის დანატოვარი აგარაკი დუშეთში, თბილისში ორი ბარი, კარგი მენეჯერული გამოცდილება მაქვს. ასე რომ, არჩევის შემთხვევაში მხოლოდ დედაქალაქის პრობლემების მოგვარებით დავკავდები, პირადი ინტერესი არ გამაჩნია.

**- არჩევის სანაცვლოდ რას ჰპირდებით ამომრჩევლებს?**

- პირველ რიგში ცენტრალურ გათბობას აღვადგენ, რომ ამდენი ხალხი გაზით აღარ გაიგუდოს. თავის დროზე ცენტრალური გათბობა არსებობდა, რაც დაანგრიეს, ეს გაუმართლებელია. მერად რომ არ ამირჩიონ, მაინც ვიბრძოლებ იმისთვის, რომ ცენტრალური გათბობა დააყენონ. მინდა წყალი უფასო იყოს. დენის, გაზის ვაუჩერი ყველას ექნება. მინდა დავწიო საპენსიო ასაკი, ასევე, ტრანსპორტით მგზავრობის და „სითი პარკის“ ჯარიმები. საჭიროა ბიუჯეტის სწორად განკარგვა, რაღაცას უნდა გამოაკლო და მის ხარჯზე უფრო მნიშვნელოვანი დააფინანსონ. აღარ უნდა გაიჩეხოს ხეები. მამა და პაპა მეტყევეები იყვნენ და ტყის მნიშვნელობა კარგად მესმის. ჩემი მერად არჩევის შემთხვევაში პარტიული ნიშნით თანამშრომლების დათხოვნას არ ვაპირებ. კარგი სპეციალისტი დარჩება. ხალხს ვპირდები, მართლა ამირჩიონ და ამ სამი წლის მანძილზე მთელ ჩემს ენერგიას ქალაქის კეთილდღეობას, პრობლემების მოგვარებას მოვახმარ. მინდა აქ ამ ქვეყანაზე სიკეთე დავტოვო.





**- ქალბატონო ასმათ, მიგაჩნიათ, რომ დედაქალაქის მერი აუცილებლად თბილისელი უნდა იყოს? დავით ნარმანია არათბილისელობის გამო კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს.**

- ეს სწორად არ მიმაჩნია. თუმცა, თბილისში დიდხანს ნაცხოვრები უნდა იყოს, არანაკლებ ათი წელი, რომ დედაქალაქს იცნობდეს. იქნებ გენიალური მენეჯერია, რა მნიშვნელობა აქვს სად დაიბადა? იმ ანეკდოტის არ იყოს, სეროჟა გარაჟში დაიბადა და ავტობუსიაო? სასაცილოა ეგ. ჩემი მეგობრები 20 წელია, რაც ლონდონში ცხოვრობენ და იქაური მოქალაქეობა აქვთ. რაც იმას ნიშნავს, რომ არჩევნებში მონაწილეობა და სურვილის შემთხვევაში კენჭის ყრაც შეუძლიათ. მელია თბილისელია? ალბათ, დიდი ხანია აქ ცხოვრობს. ნარმანიას მაგ ნიშნით ვერ დავიწუნებ. თუმცა, ერთი წლის ჩამოსულმა მერობა რომ მოინდომოს, არც ეგაა სწორი.

**- თბილისის მერია თანაინვესტირების ფონდის პროექტის პანორამა - თბილისის საჯარო განხილვას იწყებს, შუშებიანი ნაგებობების მიმართ სიყვარულით წინა ხელისუფლება აშკარად გამოირჩეოდა, აღმოჩნდა, რომ არც ახალია გულგრილი. როგორ ფიქრობთ, ერთი ან ორი ადამიანის ნება-სურვილით უნდა გადაწყდეს ძველი თბილისის უბნებში „თანამედროვე შტრიხების“ შეტანა?**

- რეფერენდუმის გარეშე არაფერი უნდა გაკეთდეს! თბილისს იმდენი სილამაზე აქვს, რომ 2-3 ადამიანის ჭკუით გაკეთებულით ამის მოსპობა არ შეიძლება. ამ საკითხში გარკვეული არ ვარ. ძალიან არ მომწონს შუა ქალაქში ერთმანეთზე მიბჯენილი ძველი სახლები, მანქანების რაოდენობა დიდია, ქუჩები კი ვიწრო. კომუნისტებმა ბევრი დააშავეს, მაგრამ კარგი რაც გააკეთეს ისიც უნდა აღვნიშნოთ, ვაჟა-ფშაველას, ყაზბეგის, მოსკოვის გამზირები, ყველა კომუნისტების დროს გაკეთებულია და დააკვირდით როგორი განიერი ქუჩებია. მათ წინდაწინ გათვალეს, რომ წლების შემდეგ მოსახლეობა გაიზრდებოდა.

**- დავუბრუნდეთ თქვენს კანდიდატურას, „ლეიბორისტული“ პარტიის ლიდერი სხვადასხვა მედიასაშუალებებს სუბიექტურობაში ადანაშაულებდა და ამბობდა, წინასაარჩევნო კამპანიების დროს მათ გაშუქებას საკმარის დროს არ უთმობდნენ, ამ შემთხვევაში როგორაა საქმე?**

- პრეტენზია მედიის მიმართ ნამდვილად არ გამაჩნია. მედიის მხრიდან ძალიან დიდი ინტერესი იგრძნობა. ეტყობა, არავინ ელოდა ჩემი კანდიდატურის წარდგენას. ყველა მეპატიჟება. თუ რამე შეიცვლება, ამასაც ვიტყვი, არ მომერიდება.

**- არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში რა ბედი ელის თქვენს სამსახიობო კარიერას?**

- ძალიან მიყვარს ჩემი პროფესია. როლებით დიდად განებივრებული არ ვარ. ყველა როლზე არ ვთანხმდები. სესილია თაყაიშვილთან ახლო მეგობრობა მაკავშირებდა, მისგან ბევრი რამ ვისწავლე. არასდროს თანხმდებოდა როლზე, რომელიც მისი არ იყო. პერსონაჟი უნდა შეისისხლხორცო. ზუსტად ასე ვარ მეც. შეიძლება ვითამაშო. თეატრში არ დავბრუნდები, რადგან ყოველდღიური მუშაობა უნდა. ვნახოთ.

**- ბუნებრივია, ნებისმიერი კანდიდატი გამარჯვებაზეა ორიენტირებული, მაგრამ დამარცხებისთვისაც მზად უნდა იყოს. იმ შემთხვევაში თუ არჩევნებში ვერ გაიმარჯვებთ, რას აპირებთ?**

- გააჩნია რა მოხდება. თუ გაყალბებას, უზნეობას ექნება ადგილი, ამას ხმამაღლა ვიტყვი. უკან არ დავიხევ.

**- და ბოლოს, არჩევნები წარმოუდგენელია პიარის გარეშე, თქვენს პიარზე ვინ ზრუნავს?**

- ალბათ, მეგობრები იმუშავებენ. გვერდში უნდა დამიდგნენ. რასაც ვამბობ, მაქსიმალურად გავაკეთებ. ახლა, იმას ვერ ვიტყვი, რომ კალათში დევს ფული და ყველას დავურიგებ, ეს დიდი სისულელეა, მაგრამ ყველა ოჯახს რაღაც სასიკეთო შეეხება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მძღოლები vs ზვიად ძიძიგური





თბილისი-რუსთავის სამარშრუტო ტაქსის მძღოლები უკვე რამდენიმე დღეა, აქციებს მართავენ. ისინი მგზავრთა გადაყვანაზე გამართული ტენდერის შედეგების გაუქმებას ითხოვენ და აცხადებენ, რომ მათ მუშაობის საშუალება აღარ ეძლევათ. ტენდერში კომპანია „ინტერტრანსმა" გაიმარჯვა. აქციის მონაწილეები აცხადებენ, რომ კომპანიის უკან ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე დგას, რასაც თავად კალაძე კატეგორიულად უარყოფს.

მძღოლებმა პროტესტის უკიდურეს ფორმას მიმართეს და ერთ-ერთმა მათგანმა თავის დაწვა სცადა, თუმცა სამართალდამცავების ჩარევის შედეგად ის დაწვას გადაარჩინეს. მოგვიანებით ალექსანდრე მიქელაძის სურათი ინტერნეტში გავრცელდა, სადაც ის ყოფილ პრეზიდენტთან, მიხეილ სააკაშვილთან ერთად არის გადაღებული. ხელისუფლებაში აცხადებენ, რომ აქციები ნაციონალების მიერ არის მართული, თუმცა რუსთავ-თბილისის სამარშრუტო ტაქსის მძღოლები უკვე დიდიხანია ყურადღებას ითხოვენ, მათ საკუთარ მაჟორიტარს, ზვიად ძიძიგურსაც მიმართეს, თუმცა ძიძიგურმა საკუთარ ამომრჩეველს ზურგი შეაქცია.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც მაჟორიტარებს საკუთარი ამომრჩევლები უპირისპირდებიან. ზვიად ძიძიგურამდე პრობლემები გუბაზ სანიკიძეს ჰქონდა, რომელთან შეხვედრასაც მოქალაქეები დიდი ხნის განმავლობაში ჯერ პარლამენტის შესასვლელში ცდილობდნენ,



მოგვიანებით კი – მის შტაბში, სადაც საბოლოოდ დეპუტატს შესასვლელი კარიც კი აუჭედეს. მაშინ გუბაზ სანიკიძე ჟურნალისტების კითხვებსაც გაურბოდა, აცხადებდა, რომ, მომიტინგეებისგან განსხვავებით, ქვეყნისთვის სასარგებლო საქმით იყო დაკავებული.

# „ოცნების" დეპუტატი და მისი ოჯახი აგვისტოს ომის დროს მაკედონიაში გაიქცნენ?

**მირიან ბოქოლიშვილი**

ვინ გაიქცა ქვეყნიდან 2008 წლის აგვისტოს ომის დროს? ეს კითხვა დიდი ხნის განმავლობაში პოლიტიკური დაპირისპირებებისა და სპეკულაციების თემად იქცა. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რაც სასაზღვრო პოლიციის ყოფილმა შეფმა, ბადრი ბიწაძემ პრესას დამახინჯებული მონაცემები მიაწოდა, სადაც იმდროინდელი მაღალჩინოსნების ქვეყანაში შემოსვლის ნაცვლად, მათი გასვლის თარიღები იყო მითითებული. მოგვიანებით ეს ინფორმაცია აქტიურად აიტაცეს ოპონენტებმა და დიდი ხნის განმავლობაში გვესმოდა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები ომის დროს ქვეყნიდან გარბოდნენ. ბიწაძის შავ სიაში „ნაციონალური მოძრაობის" ლიდერებთან ერთად, „ქართული ოცნების" დეპუტატის, ნანა ყეინიშვილის ოჯახიც ფიგურირებს. ყეინიშვილის მეუღლე ურუზმაგ ქარქუსოვი იმ პერიოდში ვანო მერაბიშვილის მოადგილე გახლდათ. ბიწაძის სიის მიხედვით, ის ქვეყნიდან 2008 წლის 9 აგვისტოს გაიქცა, ანუ მაშინ, როცა საომარი მოქმედებები აქტიურ ფაზაში იყო შესული. გავრცელებული ინფორმაციით, ქარქუსოვთან ერთად, ქვეყნიდან გაიქცა ნანა ყეინიშვილიც.



ურუზმაგ ქარქუსოვი

„პრაიმტაიმი" დაუკავშირდა „ქართული ოცნების" დეპუტატს იმის გასარკვევად, მართლა გაიქცა თუ არა ქვეყნიდან

# სოსო ჯაჭვლიანი საკუთარ გუნდს უპირისპირდება

ზურაბ ქარუმიძის შემდეგ სოსო ჯაჭვლიანი ლაშა ბუღაძეს უპირისპირდება. თემა იგივეა – უმრავლესობის დეპუტატი ყველას წინააღმდეგ ილაშქრებს, ვინც სვანების შესახებ პატარა კომენტარს მაინც აკეთებს. არ აქვს მნიშვნელობა კომენტარის შინაარსს. ჯაჭვლიანისთვის ყველა მტერია და ხელისუფლებას ულტიმატუმს უყენებს: „ხელისუფლებას უნდა, რომ ვიღაც ქარუმიძის გამო მთელი სვანეთი გადაიკიდოს?! მე ვაფრთხილებ ყველას, ქარუმიძის ელჩად გაშვებით მთელ სვანეთს გადაიკიდებთ".

ქარუმიძის დამცველების „ახმაურებამ" დეპუტატი კიდევ უფრო გააღიზიანა და მათი მისამართით არაერთი კრიტიკული განცხადება გაავრცელა. მათ რიგებში იყო ლაშა ბუღაძეც, რომელიც ჯაჭვლიანისთვის ისეთივე მიუღებელი აღმოჩნდა როგორც ქარუმიძე.

**სოსო ჯაჭვლიანი:**

– ლაშა ბუღაძე როგორ მიკითხავს მორალს, რომელიც თამარ მეფეს საძინებელში შეუხტა და ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ იქაური სცენა აღწერა? ეს წმინდანის გამათახსირებელი არარაობა მე მიწოდებს ოდიოზურ პიროვნებას? ამათ რომ საკუთარ დედებზე ერექცია ემართებათ და ამაზე რომანებს წერენ, ეს არ არის უხამსობა და ჩემი ინტერვიუა უხამსობა?



საპარლამენტო უმცირესობა ოპონენტებს ჯაჭვლიანთან გამიჯვნას ურჩევს, წინააღმდეგ შემთხვევაში დარწმუნებულები არიან, რომ თანაგუნდელის საქციელი უმრავლესობას სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის.



**აკაკი ბობოხიძე:**

– „ქართული ოცნებისა" და უსუფაშვილის გადასაწყვეტია, გაემიჯნებიან თუ არა იმ ადამიანს, რომელმაც, ნებსით თუ უნებლიეთ, კუთხური შუღლის გაღვივება დაიწყო.

უმრავლესობაში ჯაჭვლიანის საქციელს სერიოზულად არ აღიქვამენ. ისინი თანაგუნდელს აკრიტიკებენ, თუმცა ინფორმაცია, რომ „ქართული ოცნება" სოსო ჯაჭვლიანის გუნდიდან გარიცხვას აპირებდეს, არ ვრცელდება.





თემურ მურვანიძე





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# აზრები



**ნანა ყეინიშვილი**

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი

ის და მისი ოჯახი აგვისტოს ომის დროს? ნანა ყეინიშვილი ადასტურებს, რომ სიები დამახინჯებულია და რეალურად, ის და მისი მეუღლე 9 აგვისტოს არათუ გაიქცნენ, არამედ ქვეყანაში დაბრუნდნენ მაკედონიიდან.

„მე და ჩემი მეუღლე ერთად წავედით 6 აგვისტოს მაკედონიაში, ერთ-ერთ კონფერენციაზე. როგორც კი გავიგეთ, რომ საქართველოში ომი დაიწყო, გადავცვალეთ ბილეთები, რასაც დასჭირდა ორი დღე და გამოვფრინდით უკან. 9 აგვისტოს უკვე საქართველოში ვიყავით. ასე რომ, ეს არის არა გასვლის, არამედ, პირიქით, ქვეყანაში შემოსვლის თარიღი“, – ამბობს „პრაიმტაიმთან“ საუბრისას დეპუტატი ნანა ყეინიშვილი.

## ირაკლი ღლონტი თბილისის მერობისთვის იბრძოლებს



„ქართული ოცნება“ – დავით ნარმანია, „ნაციონალური მოძრაობა“ – ნიკა მელია, „ლეიბორისტული პარტია“ – ასმათ ტყაბლაძე... ჯერჯერობით ასე გამოიყურება დედაქალაქის მერობის მსურველთა სია, თუმცა ცნობილი ხდება კიდევ ერთი კანდიდატის ვინაობა. თბილისის მერობისთვის პრეტენზიას აცხადებს ყოფილი „ენჯეოშნიკი“ ირაკლი ღლონტიც, რომელიც ამჟამად პოლიტიკურ პარტიას ქმნის. „რეფორმატორები“ – ასეთია ახალი პოლიტიკური გაერთიანების სახელწოდება, რომლის პრეზენტაციაც უახლოეს დღეებში იგეგმება. თავად ღლონტი არ გამორიცხავს, რომ თბილისის მერობის არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა.

„ჯერ პარტიის რეგისტრაციის პროცესი მიმდინარეობს, მალე პრეზენტაციაზე მოგიწვევთ. გამორიცხული არ არის, რადგან არც მე და არც ჩემი გუნდი არ ვაპირებთ, ჩვენი ქვეყანა ორი ურთიერთმტრულად განწყობილი პოლიტიკური პარტიის იმედად მიატოვოს“, – **განაცხადა ღლონტმა.**







## „საქართველოს გზას“ ახალი თავმჯდომარე ჰყავს

სალომე ზურაბიშვილის მოთხოვნით „საქართველოს გზას“ ლიდერი შეეცვალა. თემურ მურვანიძე თავმჯდომარის პოსტიდან პირადი პრობლემების გამო განთავისუფლდა – ეს ოფიციალური ინფორმაციაა. მურვანიძის შემცვლელი ნინო ტაბიძეა, რომელიც ცვლილებას ადასტურებს და ყოველგვარ დაპირისპირებას უარყოფს. თუმცა, როგორც ამბობენ, ზურაბიშვილის მოთხოვნას, თავმჯდომარის შეცვლასთან დაკავშირებით, სრულიად სხვა მიზეზი ჰქონდა. პარტიის საპატიო თავმჯდომარისთვის ცნობილი გახდა, რომ მურვანიძე ხელისუფლებასთან ზედმეტად დაახლოებული იყო. უთანხმოების მიზეზიც სწორედ ეს გამხდარა.

ნინო ტაბიძე თავმჯდომარის პოსტის დაკავებამდე პარტიის პოლიტიკური მდივანი იყო. ტაბიძის განცხადებით, მურვანიძე დროებით ჩამოშორდა თავმჯდომარის პოზიციას, თუმცა, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მურვანიძე არა მხოლოდ პარტიის თავმჯდომარეობის პოსტიდან გადააყენეს, არამედ მას პარტიაც დაატოვებინეს.

რაც შეეხება თვითმმართველობის არჩევნებს, ახალი თავმჯდომარის განცხადებით, პარტია არ აპირებს კონსულტაციების გამართვას არასაპარლამენტო ოპოზიციასთან და მერის კანდიდატზეც ჯერ არ ჩამოყალიბებულან.

**ნინო ტაბიძე:** „პარტია არ აპირებს კონსულტაციების გამართვას არასაპარლამენტო ოპოზიციასთან და შემიძლია, დავადასტურო, რომ „საქართველოს გზა“ დამოუკიდებლად გამოვა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში. რაც შეეხება მერობის კანდიდატს, ჯერ არ გვაქვს მიღებული გადაწყვეტილება, გვეყოლება თუ არა ჩვენი კანდიდატი, ან თუ დავუჭერთ მხარს რომელიმე კანდიდატს. ამას პარტიის პოლიტსაბჭო გადაწყვეტს“.



## ირაკლი ალასანიას საიდუმლო შეხვედრა ევროპაში



ირაკლი ალასანიასთან დაკავშირებით ბევრნაირი პოლიტიკური ჭორი ვრცელდება. კოალიციიდან მისი წასვლის ვერსიები იმდენად ჭრელია, რომ დასკვნის გამოტანის საშუალებას, პრინციპში, არც იძლევა. ერთადერთი, რაც დადასტურებულად შეიძლება ითქვას, არის ის, რომ ალასანია „ოცნებაში“ დიდხანს გამჩერებელი ნამდვილად აღარ არის. მან ბევრი დამცირება გადაყლაპა, პირადიც, პროფესიულიც, მაგრამ, როგორც ჩანს, მაშინ წასვლის დრო არ იყო. სამაგიეროდ მინიშნება იყო, რომ დამოუკიდებელი თამაშისთვის მზადება დაეწყო. სწორედ ამიტომ „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა წინასამზადისი გამოაცხადა და მას უკვე მალე საკუთარ გუნდზე განაწყენებული გიორგი მარგველაშვილიც შეუერთდა. როგორც ამბობენ, ევროპაში კოალიციის სწორედ ამ ორ წარმომადგენელთან დაახლოებული პირები შეხვდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს. ბუნებრივია, საუბარი სამომავლო გეგმებს შეეხო. შეხვედრა იმდენად გასაიდუმლოებულ ვითარებაში შედგა, რომ დეტალები დღემდე უცნობი რჩება. არავინ იცის, კონკრეტულად ვინ ან რა შინაარსის თემები განიხილეს. ცნობილია მხოლოდ ის, რომ სამეული ახალი კოალიციის გეგმას განიხილავს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# საბუთიანი ქალიშვილობა

სალი კიპაროიძე

**ქალის ორგანიზმის ეს ვითომდა უნიკალური დეტალი, მხოლოდ ადამიანებს (ქალებს), არ გააჩნიათ, პირველ სექსუალურ აქტამდე ქალიშვილები არიან მაიმუნებიც და ანტილოპების ზოგიერთი სახეობებიც. საზოგადოდ მისი დანიშნულება ასე ზუსტად არ განისაზღვრება, უბრალოდ, ამასთან დაკავშირებით არსებობს ორი მოსაზრება, პირველი, რომ ქალიშვილობა ემსახურება შიდა სასქესო ორგანოების დაცვას, მეორე იგი ხელს უშლის ნაადრევი სექსუალური ცხოვრების დაწყებას. მორალური და რელიგიური კუთხით კი დღეს, ქალწულობის დაცვა ქალის პატიოსნებისა და ხელუხლებლობის შენარჩუნების გარანტიად ჩამოყალიბდა. ქალიშვილობის ინსტიტუტის თემა საქართველოში ისევ და ისევ პოპულარული და პრობლემატურია. ქართველი ერი რომ „რელიგიური“ და ტრადიციების მიმდევარია, თავად საქართველო კი კონსერვატიული ქვეყანა, ეს ყველასთვის გასაგებია, უბრალოდ, ამ კონსერვატიზმისა და ტრადიციების ზუსტი საზღვრები და დეფინიცია, 21-ე საუკუნეში ცოტა არ იყოს გაჭირდა.**





მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირისგან განსხვავებით საქართველოში სექსი ნამდვილად არის და პროგრესი ასე აშკარა შესამჩნევია, ქართველი კონსერვატორების, ქართული წესის, ადათების, ტრადიციებისა თუ გაურკვეველი სტერეოტიპების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილად დღემდე რჩება ე.წ. ქალიშვილობის ინსტიტუტი, რომელიც ყველა თვალსაზრისით, 21-ე საუკუნის საქართველოში დიდ სოციალურ სიმახინჯედ იქცა. ქალიშვილობის შენარჩუნება ქორწინებამდე, დღესდღეობით კიდევ აღელვებთ ქალბატონებს, ქალიშვილობის, რომელიც იდეაში უბიწოების სიმბოლოა. სავარაუდოდ ეს გენეტიკური მეხსიერება ადამიანებს წინაპრებისგან გადმოჰყვათ. ქალიშვილობის წესი შუასაუკუნეებში დამყარდა, სწორედ ამ დროს იქცა ქალიშვილობა სისუფთავის და უბიწოების სიმბოლოდ. ქვეყანა იცვლებოდა და ნელ-ნელა ვითარდებოდა, გოგონები კი ამ ინსტიტუტის ტყვეებად რჩებოდნენ. მუსულმანურ ქვეყნებში დღესაც კი, თუ რძალი არაქალიშვილი აღმოჩნდება, ოჯახს შეუძლია ის ქვებით ჩაქოლოს.

დღეს, საქართველოში ამ ინსტიტუტის არსებობა თანდათან მახინჯ და უგვანო ფორმებს იღებს, გრძელი რიგი პლასტიკური ქირურგების კაბინეტებთან და ქალიშვილობა 400 ლარის ფარგლებში უკვე აღარავის უკვირს, თუმცა 2 000 ლარიანი მუდმივი ქალიშვილობა თურმე არანაკლებ მომგებიანი და პოპულარული ბიზნესი გამხდარა. რატომ ასეთი ძვირი? თურმე ნუ იტყვით და ქალიშვილობის მხოლოდ დროებითი კი არა მუდმივი აღდგენაც შეიძლება. „იაფი“ ქალიშვილობა უმეტესად გათხოვებამდე, ანუ ქმართან სექსუალური კონტაქტის წინ გამოიყენება, რადგან გაკერილი აპკი მხოლოდ 2-3 დღე ძლებს, ამიტომაც ამ მეთოდს სპეციალისტები „ქალიშვილობის იმიტაციასაც“ ეძახიან, რაც შეეხება მუდმივ ქალიშვილობას, ამ მანიპულაციის შემდეგ, დიაცი, ქალწული მანამ იქნება, სანამ მამაკაცთან სექსუალურ კავშირს არ დაამყარებს, თითქოსდა ეს არ იყოს ქალიშვილობის ერთგვარი იმიტაცია.





ამ მარაზმს კიდევ ასე თუ ისე მიეჩვია ქართული საზოგადოება. თუმცა საბუთიანი ქალიშვილობა 175 ლარად და თბილის ქალაქის ახალი ციციკორე - სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის სახელმწიფო ბიურო, რომელიც ქალწულობის ცნობას 170 ლარად გასცემს, ჯერ კიდევ ახალი ხილია. იმ შემთხვევაში თუ ვინმეს ძალიან გეჩქარებათ და ქალიშვილობის დამადასტურებელი საბუთის აღება დაჩქარებული წესით გინდათ, ნურას უკაცრავად, მაგრამ, რიგების გადასახტომად 350 ლარის გადახდა მოგიწევთ. თურმე როცა საპატარძლოს პატიოსნებასა და უბიწოებას სახელმწიფო საექსპერტო ბიურო ადასტურებს, ბედნიერი სადედამთილო და სასიძო იქაურობას კმაყოფილები ტოვებენ. სხვა შემთხვევაში კი, სკანდალი გარდაუვალია და ბიუროს ეზოდან მოტყუებული სადედამთილო და საქმრო სულ „ბოზი“-ის ძახილითა და წიხლების ქნევით გარბიან. ამ მარაზმმა საზღვრები გაარღვია და 21-ე საუკუნის ქართულ „საოცრებაზე“ უკვე ბრიტანულმა **BBC**-მაც კი დაწერა. „ქორწინებამდე უმანკოების შენარჩუნების ფენომენს ღრმად აქვს ფესვები გადგმული ქართულ ორთოდოქსულ კულტურაში, სწორედ ამიტომ მომავალი პატარძლები საქართველოში ქორწინებამდე ქალიშვილობის შესამოწმებელ პროცედურებს გადიან“, - ნათქვამია „ბიბისის“ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ანონიმურ სტატიაში. როგორც გაირკვა, ასეთი შემთხვევების რიცხვი არ არის მცირე და წლის განმავლობაში, თურმე დაახლოებით, 140-200-ს მაინც აღწევს, ასაკობრივი ზღვარი კი არასრულწლოვანი ასაკიდან დაახლოებით 35-40 წლამდე მერყეობს. ქალიშვილობის დადგენა კი კომისიური წესით, ვიზუალური დათვალიერების საშუალებით ხდება, რომელსაც სამი გამოცდილი ექსპერტი ატარებს.



ქალიშვილობის საბუთს სხვა დაწესებულებებიც გასცემენ. ასე მაგალითად, ერთ-ერთ კლინიკაში, სადაც ჯანმრთელობისთვის აუცილებელ ოპერაციას, ქირურგიული გზით საქალწულე აპკის გაჭრა ესაჭიროება, პაციენტს სახლში ვითომდა გულდამშვიდებულს და ამის დამადასტურებელი საბუთით ხელდამშვენებულს უშვებენ.

**მარიამი, 19 წლის (პაციენტი):**

„ერთ-ერთი გამოკვლევის შემდეგ დამიდასტურდა საშვილოსნოს ღრუს პოლიპი, ექიმებმა მითხრეს, რომ სერიოზული არაფერი იყო, უბრალოდ საჭირო გახდა ამ პოლიპის მოწვა. ამ პროცედურას კი აუცილებლად სჭირდება საქალწულე აპკის დარღვევა. დასამშვიდებლად უცნაური შემოთავაზება მივიღე - შენ არ ინერვიულო საბუთს გაგატანთ, რომ ოპერაციაზე ქალიშვილი მოხვედიო. ცოტა გავოგნდი, მაგრამ ბოლომდე ვუსმინე. ბოლოს კი გაირკვა, რომ თურმე ეს „საბუთიანი ქალიშვილობა“ მაინცდამაინც არ ჭრის, რადგან ამ საოცნებო საბუთს ნაცნობობით ისედაც უპრობლემოდ აკეთებენ“.

საქართველოში, ასე საფუძვლიანად დასაბუთებულ ქალიშვილებს, კონკურენტები მსოფლიო ბაზარზე გამოუჩნდნენ. საამაყო ქალწულობა აუქციონზე ოფიციალური მონაცემებით უკვე 8 ქალმა გაყიდა. როგორც ჩანს, პირველი სქესობრივი აქტი ყველა ქალისთვის, ასე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი არ ყოფილა, ჩვენ ერთადერთი ისღა დაგვრჩენია, იმედი დავიტოვოთ, რომ მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საქალწულე აპკის აუქციონზე გამყიდველ მოვაჭრე გოგონათა რიცხვი აღარ გაიზრდება.

ძველ ჩინეთში მამაკაცები თვლიდნენ, რომ სექსი ქალიშვილ გოგონასთან კურნავს ყველა დაავადებას. XIX საუკუნეში კი უკვე ბორდელის მფლობელები, მთელი ინგლისის მასშტაბით, ეძებდნენ ქალიშვილებს, კლიენტები იყვნენ მზად ქალწულებში ძალიან დიდი ფული გადაეხადათ. სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ ქალიშვილობა კომერციულად მომგებიანი აღმოჩნდა, მეძავებს შორის პოპულარული გახდა ქალიშვილობის ხელოვნურად იმიტირება. მეძავების მიერ დანერგილი ეს საქმიანობა კი სამწუხაროდ საქართველოში, დღემდე აქტიურად მოიხმარება. ქალიშვილობა ან არაქალიშვილობა სირცხვილი არაა, თუკი ეს ადამიანის თავისუფალი ნება და არჩევანია. ნელ-ნელა კი, ალბათ, ჩვენთანაც მიხვდებიან, რომ დღეს ქალწულობა, პატიოსნების გარანტი ნამდვილად აღარაა.






© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ექსკლუზიური ინტერვიუ არჩილ გამზარდიასთან




# „თუ ახალმა ხელისუფლებამ წინამორბედთან ასოციაცია შექმნა, გამართლებული არ იქნება“

სალომე გოგოხია

წინასაარჩევნო ციებ-ცხელება ძალაში შედის. ამ პერიოდში განსაკუთრებით აქტუალურია მედია საშუალებების თუ კანდიდატების რეიტინგების დადგენა. IRI-ს კვლევის შედეგებმა ამჯერადაც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. რამდენად სანდოა კვლევის შედეგები, სწორად არის თუ არა შერჩეული შეკითხვები, არსებობს თუ არა გამოკითხვის შესაბამისი სტანდარტი, რამდენად მაღალია ამომრჩევლის ცნობიერების დონე, რა მსგავსებაა ძველსა და ახალ ხელისუფლებას შორის, ამის შესახებ „პრაიმტაიმი“ საზოგადოებასთან კომუნიკაციის სპეციალისტ არჩილ გამზარდიას ესაუბრა.

**- IRI-ს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს შორის აღმოჩნდა ტელეკომპანია „იმედის“ ორი გადაცემა - „ღია ეთერი“ და „პოლიტიკის დრო“, რომელიც კვლევის მომენტში ეთერში არ გადიოდა, რამდენად მართებულია კვლევებში მათი მონაწილეობა და სანდოობის კუთხით ორგანიზაცია კითხვის ნიშნის ქვეშ ხომ არ აღმოჩნდება?**

- თეორიულად შესაძლებელია, რომ გადაცემა ეთერში არ გადიოდეს, მაგრამ განსაკუთრებულად საინტერესო გადაცემები მაყურებელს შეიძლება მეხსიერებაში ან პოზიტიურ იმიჯში ჰქონდეს. დიდი მნიშვნელობა აქვს შეკითხვის ფორმულირებას, რომ რესპონდენტმა მისთვის საინტერესო გადაცემა დაასახელოს.

**- კვლევების მიხედვით, მმართველი გუნდის მეროობის ერთ-ერთი კანდიდატის დავით ნარმანიას რეიტინგი საკმაოდ დაბალია, შესაძლოა, მეორე ტური დაინიშნოს..**

- გასათვალისწინებელია, რომ გამოკითხულები თავს იკავებენ პასუხებისგან, ზოგს პოზიცია არ გააჩნია, ამას ემატება ცთომილებაც, საერთო ჯამში ეს არ ქმნის ისეთ ფონს, რომ პირდაპირი მოცემულობა ავიღოთ კვლევითი შედეგის მიხედვით. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ შესაძლებელია მეორე ტური გაიმართოს. ვფიქრობ, პოზიტიური საზომია საზოგადოებისგან თუ ეს კვლევა ამ ნაწილში რეალისტურია. რადგან კანდიდატებს საშუალებას აძლევს მეტად მოიწადინონ და მოიპოვონ საზოგადოების მხარდაჭერა.

**- აზრთა სხვადასხვაობაა მერის თბილისელობასთან დაკავშირებით, გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ დედაქალაქის მერი თბილისელი უნდა იყოს, თქვენ რას გვეტყვით ამაზე?**

- საინტერესოა, ეს შეკითხვა პირდაპირ დასმული იყო თუ უბრალოდ გამოკითხვის რეჟიმში ფორმულირებული. დღემდე უცნაური ფორმატით ჩნდება შეკითხვა - ვინ არის თბილისელი და თბილისელებისთვის საჭირო მერი? თუკი თბილისელად ითვლება ადამიანი, რომელსაც ჩაწერა ან თბილისში სახლი აქვს, ვეჭვობ ამ შემთხვევაში ეს შედეგი დადებულიყო. ვფიქრობ, ცოტა პროვოკაციული მაჩვენებელია. საინტერესოა გამოკითხულთა რაოდენობა, კატეგორიაც. ჩემი შთაბეჭდილებით ეს არის გარკვეული ჯგუფების ინიციატივები. რაც ამ პროცესს ცოტა დამაბნეველს ხდის. ზოგადად, ეს დაბალი პოლიტიკური კულტურის მაჩვენებელია. მათ შორის საზოგადოებისაც, რადგან საქართველოს მოსახლეობას ქვეყანაში ნებისმიერი სანტიმეტრი ეკუთვნის. შესაბამისად, ჩვენი ქვეყანა არ ცნობს უპირატესობას არც ეროვნული ნიშნით, არც მრწამსით და დაბადების ადგილით. ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ისევე შეიძლება იყოს ზუგდიდის მერი, როგორც სარწმუნოებრივი უმცირესობის წევრი თბილისის მერი. ამიტომ, ეს პროვოკაცია კვლევის განხილვას მეტ აზარტს მატებს.

**- შეიძლება ითქვას, წინასაარჩევნო კამპანია უკვე დაიწყო, პრემიერ ნარმანიასთან ერთად სამეგრელოს მოსახლეობას შეხვდა, იყო დაპირებები ანაკლიის პორტის გახსნაზეც, ზოგიერთმა პარალელებიც კი გაავლო წინა ხელისუფლებასთან, გვახსოვს ლაზიკასთან დაკავშირებული დაპირებებიც.**

- თვალსაჩინოებისთვის ამას პროპაგანდისტული კომუნიკაცია ვუწოდოთ. ეს არ არის პიარ პროცესი, როდესაც ინფორმაცია პირდაპირ ეთერში გადაიცემა, საქმე გვაქვს პროპაგანდასთან. კონკრეტულ სამიზნე ჯგუფებს ამ შემთხვევაში პოტენციურ ამომრჩეველს პირდაპირ გადასცემენ ინფორმაციას, რომლის გავლენის ქვეშაც ეს სამიზნე ჯგუფი უნდა მოხვდეს. როგორც სპეციალისტთათვის ეს „ივენთი“, რაც ვნახე, გასაგებია, მაგრამ მოქალაქეობრივად მისაღები არ არის. პროცესი პროგრამული უნდა იყოს და არა შოუ. ამის გამო ვაკრიტიკებდით წინა ხელისუფლებას. ამგვარი ხერხები საზოგადოებაზე ეფექტურად მოქმედებს. მხოლოდ იმ შემთხვევაშია მიუღებელი, როცა ძალიან გამაღიზიანებელი ხდება. იგივე სააკაშვილის მაგალითი გავიხსენოთ, კარგი ფანტაზიით აწყობილი ამგვარი ღონისძიებები თავდაპირველად საზოგადოებისთვის საკმაოდ მომხიბვლელი იყო, მაგრამ ბოლო პერიოდში, როცა მის მიმართ ნეგატიური ტალღა გაიზარდა, გამაღიზიანებელი გახდა. თუ ახალმა ხელისუფლებამ წინამორბედთან ასოციაცია შექმნა, მაინცდამაინც გამართლებული და დადებითი არ იქნება. საზოგადოებასთან გულწრფელობის წარმოსაჩენად უამრავი ფორმა არსებობს.

**- მიგაჩნიათ, რომ პრემიერის სამეგრელოს საზოგადოებასთან შეხვედრის პირდაპირ ეთერში გასვლის აუცილებლობა არ იყო?**

- თუკი იქ არ უნდა გაჟღერებულიყო ისეთი განცხადება, რომელიც იმსახურებდა სპეციალურ ღია ეთერს და მე რაც ვნახე, ამის საჭიროება არ იყო. პირიქით. მთლიანად შოუს პროცესი იყო, დაწყებული ტექნიკური ფორმიდან - დადიანების სახლ-მუზეუმი ფონად, პრომეთეს მღვიმის მსგავსი, რაც სააკაშვილის შემთხვევაში ვნახეთ, ბათუმში, სადაც უკან გედები სეირნობდნენ, ამ შემთხვევაში შეიძლებოდა უკან შვლებს ერბინათ, მაგრამ ეტყობა არ მოიწადინეს. ფორმაზე უფრო მეტი აქცენტი იყო გაკეთებული, ვიდრე შინაარსზე.

**- წინასაარჩევნოდ მედიის მუშაობას როგორ შეაფასებთ?**

- საერთო ფონი ისეთი კრიტიკული არ არის, რომ ნეგატიურად შევაფასოთ. პირდაპირი მხარდამჭერები მაინცდამაინც არ ჩანს. შეიძლება გარკვეული ტენდენციები ვიპოვოთ იგივე „რუსთავი 2“-ის მხრიდან „ნაციონალურ მოძრაობის“ კანდიდატთან და ზოგიერთი სხვა მედია საშუალებების ნარმანიასთან მიმართებაში. თუმცა, ეს არის ტოტალური და ზედმეტად პროპაგანდისტული. წელს მედიას წნეხი ოდნავ მოეხსნა. რაც დადებითია. თუმცა, ილუზიაა იმაზე საუბარი, რომ მედია თავისუფალია, წნეხის ქვეშ არ არის და ტენდენციურობის მოტივაცია არ აქვს. მეორე მომენტია, არ გვყავს უპირობო კანდიდატები. ყველა კი აცხადებს, რომ უპირობოა, მაგრამ ასე არ არის. ამ მხრივ კვლევა საინტერესო იყო, მან არ დადო უპირობო გარანტიები. ამიტომ, ნებისმიერი კანდიდატის ბრძოლას აზრი მიეცა. მედია მხარდაჭერა ზედმეტად, რომ მოხდეს, ეს აუცილებლად აირეკლება საზოგადოების თვალში. ამიტომ, მედიაც ცდილობს უფრო ფრთხილად მიაწოდოს, თუნდაც თავისი სუბიექტურობა მომხმარებელს.

**- კვლევების შედეგებს მივუბრუნდები, რეიტინგულია „იმედის“ გადაცემა „რეაქცია“. ამ მხრივ შეფასებები არაერთგვაროვანია, „რუსთავი2“-ის გენდირექტორმა ნიკა გვარამიამ განაცხადა, რომ გრიგოლიას გადაცემა შოუა და შინაარსობრივ მხარეზე ნაკლებად ორიენტირებული. როგორ ფიქრობთ, საზოგადოებისთვის რა უფრო მნიშვნელოვანია - შოუ თუ გადაცემის შინაარსი?**

- ზოგადად, ქართულ გადაცემებში შინაარსობრივ ეფექტებს ვერ ვხედავ. პერსპექტივასაც ვერ ვგრძნობ, რადგან ამისთვის მაყურებელიც არ არის მომზადებული. მაყურებელი დინამიკას, მოქნილობას ითხოვს. ბუნებრივია, ამგვარი გადაცემები უფრო ეფექტურია. წამყვანები ცდილობენ ისეთი პოზიციები გამოხატონ, რაც მათ იმიჯს შექმნის. როგორც კი დებატების ნაწილი ჩნდება, ყველა გადაცემა ერთმანეთს ემსგავსება. თავის მხრივ, რეიტინგი ნიშნავს იმას, რომ მაყურებლისთვის ეს მისაღებია, რადგან რამდენიმე საათი ამ გადაცემას უყურებს. ლოგიკურია, გადაცემა, რომელშიც ბევრი რესურსია ჩადებული, მაქსიმალურად ცდილობს საზოგადოების ჩართულობა წარმოადგინოს. ვფიქრობ, საკმარისად კარგი წილები აქვს ყველა გადაცემას დროის მონაკვეთში - „პრაიმტაიმში“. თუნდაც, სარეკლამო დამკვეთებზე პოზიტიური გავლენა უნდა იქონიოს.

**- არაერთი არჩევნები გამოვიარეთ, ხელისუფლებაც შეიცვალა, მაგრამ საჯარო სამსახურში დასაქმება კვლავ პრობლემად დარჩა. კვალიფიციური კადრების გადინება ხდება, ამასთან, დასაქმების მსურველებისთვის საჯარო სამსახურების კარები დაკეტილია.**

- ეს საკმაოდ რთული პრობლემაა. საჯარო სექტორის დაინტერესება ახალი კადრებით, მხოლოდ სპეციალისტებზე აგებული რესურსის გადანაწილებით ჩანს, რომ არ გვაქვს. ამიტომ, საჯარო სექტორი ჯერჯერობით ვერაფერში წაიწია წინ. ყველა თავის გუნდთან ერთად არის იმის გამო, რომ სახელმწიფოს თანხები იხარჯება და მონიტორინგი იმდენად მკაცრი არ არის, როგორც კერძო ორგანიზაციაში. ამიტომ ნეპოტიზმის შესაძლებლობები იდეურად უფრო მაღალია. 600 და 700 ლარი მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტისთვის მაღალი ხელფასი არ არის. კერძო კომპანიაში საშუალო რანგის მენეჯერის ყოველთვიური შემოსავალი გაცილებით მაღალია. ბუნებრივია, ეს ერთი მხრივ, პროფესიონალებს გზას უბლოკავს და მეორე მხრივ, სივრცეს აძლევს რესურსები მხოლოდ შიდა წყაროებიდან მოიძიონ.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სკანდალი თეონა კონტრიძის წინააღმდეგ - „პატარკაციშვილე



**my View**

**თამარ გონგაძე**

დავით კოვზირიძის გადაცემა - „მძიმე კაცთან“ ბოლო დროს რეზონანსულ-რეიტინგულია. სტუმრები უკვე ერთმანეთს ტოლს აღარ უდებენ და დასმულ კითხვებს ისეთ პასუხებს სცემენ, გარანტირებული რეზონანსი რომ აქვთ და კარგა ხანი განსჯის საგნად რომ რჩება. მარკეტინგული გათვლაა - მოიწვიო ეპატაჟური რესპონდენტი, შეუგდო თემა და დაწერო მაღალი რიცხვები. დავითმა „ტაბულას“ არხზე თავისი გადაცემის ანონსი გაუშვა თუ არა, ატყდა შფოთი კონტრიძის ფრაზაზე - „ქართლის დედას კარგა ხანია აქვს ფალოსი“. გადაცემის გასვლის შემდეგ პირდაპირ ტელევიზიას მიმართა ერთმა მოქალაქემ, ეს ქალბატონი გაუშვით „ორი ვარსკვლავის“ ჟიურიდანო. ვისაც გადაცემა არ უნახავს, გთავაზობთ ზუსტ ფრაზირებებს.

**დავით კოვზირიძე**: - ქართლის დედა როგორ ხასიათზეა, როგორ ფიქრობ, რასაც იქიდან ხედავს?

**თეონა კონტრიძე:** - ქართლის დედას კარგა ხანია აქვს ფალოსი.





# SCANDAL

## თეონა კონტრიძე: „ქართლის დედას კარგა ხანია აქვს ფალოსი“



**ნოე სულაბერიძე:** „რომ დამირეკეს, „მძიმე კაცთან“ თეონა უპრობლემოდ გავუშვი. რეზონანსული გადაცემაა, გონივრულად და სწორად აკეთებენ. თეონას ნათქვამი რატომ მიიღეს ქართველების დაცინვად? რაღაც გაიღადავა. დემოკრატიულ ქვეყანაში ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, შედარებითი ფორმით, რაღაც კონტექსტში აზრის გამოხატვა. ზოგს უყვარს ხისტად აზრის გამოთქმა, ზოგს კიდევ კონსერვატიულ ფორმებში. ყველას თავისი ლექსიკა და ხედვა აქვს“

**დავით კოვზირიძე:** - რამ გამოიწვია ფალოსის გაჩენა?

**თეონა კონტრიძე:** - ამდენი ხანი რკინისაა, მერე მეორე - საქართველო კაცის ქვეყანაა და ქალს გამოება. მდედრს ქართულ რეალობაში გეუხეშება, გემაზალოება. მამაკაცებს კარგა ხანია ჯიგარი გოგოები მოსწონთ, რომ ესმით თავისი ბიჭის.

თეონა იყო ისეთი, როგორიც რეალურად არის, ყოველ შემთხვევაში, როგორსაც ეკრანიდან ვიცნობთ. მან ისიც ღიად აღიარა, რომ ქალთან უფლირტავია, მაგრამ ეს ცუდად დამთავრებულა. ოთხ წელ-ნახევარი ნარკოტიკებსაც რომ იღებდა, მერყევი ფსიქიკა რომ აქვს, გადაცემის წამყვანის შეკითხვაზე - თუ რა განსხვავებაა ქართველ და რუს მამაკაცებს შორის, მომღერალმა ასე უპასუხა:

„სექსი. ყველა ქართველი მამაკაცი, ვისთანაც საქმე მქონდა, ერთის გარდა, ყველა მინანია“.

„ადამიანებს თავისუფლების მანიაკალურად ეშინიათ. თავისუფლებას ხომ თავისი პასუხისმგებლობა მოაქვს. თორემ, როგორ შეიძლება ადამიანს არ უნდოდეს ორალური სექსი, ან გასინჯვა. ამაზე ყველგან ფიქრობენ, სვანეთში, ხევსურეთში, მაგრამ ამაზე ხმამაღლა საუბარი დიდი გამბედაობაა. აზია ვართ და იმიტომ. მილიონი კომპლიმენტი მივწერე იმ გოგოს (თინა მახარაძე იგულისხმა), „ხოშიანი“ გოგოა, გაუმარჯოს სადაც არის.

კონტრიძის ამ განცხადებებს ძალიან დიდი გამოხმაურებები მოჰყვა სოციალურ ქსელში. ვინმე გიორგი გიგაური კი პირდაპირ „იმედის“ მფლობელებს მიმართავს. მომღერალი „იმედის“ შოუს „ორი ვარსკვლავის“ ჟიურის წევრია, ეპატაჟური, მყვირალა და ფრთიანი ფრაზების ავტორი.

**გიორგი გიგაური:** - პატარკაციშვილების ოჯახს! ან თეონა კონტრიძე, ან - ქართველი მაყურებელი! არა, მერე იტყვიან, გიორგი გიგაური „სიძულვილის ენით“ ლაპარაკობს, ფაშისტიაო და, ხაზარაძის „ჯიბის რატი ამაღლობელივით“, ეთიკისგან იმთავითვე განძარცვული ია ანთაძისა და ზვიად ქორიძის „ჟურნალისტური ეთიკის ქარტიაში“ მიჩივლებენ! ამ გაურკვეველი წარმომავლობისა და სქესის ვიეტნამური ეგზოტიკური მინი-ღორის ნაირსახეობას კი „ვარსკვლავს“ უწოდებენ და ტელეპროექტებში წამყვანად უზით! აი, ბატონო, თუ პატარკაციშვილების ოჯახი ამ ქართლის დედისა და ქართველების საჯაროდ შეურაცხმყოფელ, ფალოსის მაძიებელ, დაუკმაყოფილებელ საქონელს კონტრაქტს არ გაუწყვიტავენ და არ დაიქნევენ ტელეპროექტ „ორი ვარსკვლავის“ წამყვანობიდან, მაშინ მაგათი უიმედო ტელევიზიისაც და მისი უთავმოყვარეო მაყურებლის დედაც. და როცა ხალხი წუწუნებს, რა გვეშველებაო, იმის ნება მაინც უნდა გვქონდეს, რომ პროტესტის ნიშნად, ხმა ავიმაღლოთ და არ ვუყუროთ მაინც ასეთი არარაობების „შოუებს“ და აქტიური ბოიკოტი გამოვუცხადოთ მათ დამქირავებელ ტელევიზიებს! თუ ეს არსება ბოდიშს არ მოიხდის და თუ „ტელეიმედი“ სათანადო ნაბიჯს არ გადადგამს, თუ ღირსება გვაქვს და ხალხი გვქვია, ვუჩვენოთ ძალა ამ ანტიქართულ სიბილწეს! აბა, ეს „ფეისბუკი“ მხოლოდ საკუთარი პატივმოყვარეობის დასაამებელ ასპარეზად ხომ არ გვჭირდება?! ჩათვალეთ, რომ ხელს აწერთ პეტიციას დედის და სამშობლოს შემგინებლისგან ღირსების დასაცავად! თუ ჩვენ ვილაც კონტრიძისთვის არ შეგვიძლია პასუხის გაცემა, მაშინ როგორ და რა პირით შევეწინააღმდეგებით მილიონჯერ ძლიერი ხელისუფლების თავგასულობას? ა, ბურთი და ა, მოედანი! და თუ რამეში ვტყუი, არ დამზოგოთ!

**ნოე სულაბერიძე:** „მაგ გზებით რეიტინგის მოპოვებას არ ვცდილობთ, მაგრამ თუ პარალელურ რეჟიმში ეგეთი რამ ხდება, რეიტინგი ყოველთვის მატულობს. რაღაც ნეგატიურ მოვლენას, სულ რომ არ გინდა, მაინც ხომ უყურებ, ესეც იგივეა“

**გიორგი გიგაური:** „თუ ეს არსება ბოდიშს არ მოიხდის და თუ „ტელეიმედი“ სათანადო ნაბიჯს არ გადადგამს, თუ ღირსება გვაქვს და ხალხი გვქვია, ვუჩვენოთ ძალა ამ ანტიქართულ სიბილწეს“

ერთი წერს - რა ფულს უხდიან ენჯეოები საქართველოს მართლმადიდებლობის საჯარო შეურაცხყოფისთვის, ამ იუდებს? ეს არასამთავრობოები და ასეთი „ვარსკვლავები“ რატომ ცდილობენ ყველაფერი ქართული ჩაკლან და ფეხქვეშ გათელონ. უფრო მიუღებელნი ხდებიან ხალხის თვალში. მეორე ამატებს - ჟიურის წევრი, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ესთეტი უნდა იყოს. თეონას თავისი მუცლისთვის ვერ ამოუდია ლაგამი და ენას და გრძნობებს ამოსდებს?

განხილვა ვრცელი და მრავლისმომცველია. თეონა კონტრიძეს კომენტარზე დავურეკეთ, თუმცა, როგორც თქვა, დრო არ ჰქონდა, დაკავებული იყო და კომენტარისთვის ვერ მოიცალა. სკანდალს „ორი ვარსკვლავის“ პროდიუსერი, ნოე სულაბერიძე ეხმიანება.

**- ნოე, მაყურებლის ერთი ნაწილი საკითხს აყენებს - ან კონტრიძე, ან ქართველი მაყურებელიო და პატარკაციშვილების ოჯახს მიმართავს.**

**ნოე სულაბერიძე:** - რა თქვა ასეთი?

**- „ქართლის დედას კარგა ხანია აქვს ფალოსი“.**

**ნოე:** - რომ დამირეკეს, გადაცემაში „მძიმე კაცთან“ თეონა უპრობლემოდ გავუშვი. რეზონანსული გადაცემაა, გონივრულად და სწორად აკეთებენ. ჩემგან ამ გადაცემას კომპლიმენტი. თეონას ნათქვამი რატომ მიიღეს ქართველების დაცინვად? იმან რაღაც გაიღადავა. დემოკრატიულ ქვეყანაში ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, შედარებითი ფორმით, რაღაც კონტექსტში აზრის გამოხატვა. ზოგს უყვარს ხისტად აზრის გამოთქმა, ზოგს კიდევ კონსერვატიულ ფორმებში. ყველას თავისი ლექსიკა და ხედვა აქვს. გადაცემა არ მინახავს, თუმცა ასეთ შედარებით კონტექსტში ნათქვამი ფრაზა, მე არ მგონია, რომ ასეთი შეურაცხმყოფელი იყოს. ნებისმიერი განვითარებული ქვეყნის შოუბიზნესში ყველა ადამიანს სჩვევია ექსცენტრიკული გამოთქმები. ერი რომ წუხდეს და თავს შეურაცხყოფილად გრძნობდეს, მე ამაში ვერაფერს მსგავსს ვერ ვხედავ. რუსული სიმღერის არ იყოს - მგონია, რომ ჩვენც არავისზე ნაკლები პატრიოტები არ ვართ, ვინც ამ პროექტს ვაკეთებთ, ან მასში ვმონაწილეობთ. ასეთ დროს გამოკიდება და თავის პატრიოტად წარმოჩინება ძალიან მარტივია და აღარ არის საინტერესო. არ მგონია, რომ ეს მუშაობდეს. მე შემჩნეული მაქვს - ის ადამიანები, რომლებიც ამ კრიტიკის ფონზე უფრო მეტად ჩანან, შეიძლება ასე არ ფიქრობდნენ, მაგრამ ცდილობენ საკუთარი თავის დამკვიდრებას.

**- ანტიქართული სიბილწის წინააღმდეგ ჩვენი ძალა ვაჩვენოთო, ქსელში წერენ.**

- მაგრად ველოდები ამ ძალის გამოჩენას.

**- გინდა პროტესტის დაფიქსირება შოუს წინააღმდეგ?**

- არავის გაღიზიანება არ მინდა, არასდროს არ მომწონს.

**- არც რეიტინგისთვის?**

- რეიტინგის გამო ყველაფერზე წამსვლელი კი არ ვარ. მიუხედავდ



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

## ზის ოჯახს! ან თეონა კონტრიძე, ან - ქართველი მაყურებელი!“






იმისა, რომ ქართულ ტელესივრცეში ეგეთი ადამიანებიც არიან. ჩვენ ყველაფერს ვიგებთ, ძალიან კმაყოფილი ვარ. მალე „ცეკვავენ ვარსკვლავებს“ დავიწყებთ. რეიტინგების მოგების უწყვეტი სერია, დარწმუნებული ვარ, ამ სეზონზეც გაგრძლედება.

**- არ ფიქრობ, რომ თეონას მიმართ დამოკიდებულება შოუს მაყურებელზე ცუდად იმოქმედებს?**

- მაყურებელი კიდევ უფრო მოიმატებს.

**- შოუს უფრო რეიტინგულს ხდის ხალხის პროტესტი - კონტრიძე გაუშვით არხიდანო, რომ წერენ?**

- მაგ გზებით რეიტინგის მოპოვებას არ ვცდილობთ, მაგრამ, თუ პარალელურ რეჟიმში ეგეთი რამ ხდება, რეიტინგი ყოველთვის მატულობს. რაღაც ნეგატიურ მოვლენას, სულ რომ არ გინდა მაინც ხომ უყურებ, ესეც იგივეა.

**- შენი, როგორც პროდიუსერის აზრით, როგორი ჟიურის წევრია თეონა?**

- ძალიან მაგარი. მე თეონათი ძალიან კმაყოფილი ვარ. ვფიქრობ, ის ამ პროექტის მნიშვნელოვანი „გარტყმაა“. ასეთს რომ ველოდი, ამიტომაც მინდოდა, რომ ჟიურის წევრი ყოფილიყო.

**- რამდენ ხანში დაიყოლიე?**

- გამიჭირდა დათანხმება, ორი კვირა ვაწარმოებდი მოლაპარაკებას. რომ გითხრა, მაშინვე დამთანხმდა-მეთქი, მოგატყუებთ. დროებით უმუშევარი ხომ არ არის? თავისი საქმე და არც თუ ისე მარტივი გრაფიკი აქვს. მოლაპარაკებაც ამიტომ გაგვიგრძელდა. რაღაცები გადაწია, რომ პროექტში ყოფილიყო. ჟიურის წევრებს ყველას თავისი ნიშა აქვს და ერთმანეთს კარგად აბალანსებენ. ჟიურის წევრი რომ იყო, შენ პროფესიაში საკმაოდ საინტერესო გზა უნდა გქონდეს გავლილი და დამაჯერებელი უნდა იყო. რთული გასაკეთებელი არჩევანია. ვცდილობ, მაყურებლის თვალით გამოვიდე, რომ არ გაჩნდეს კითხვა, რატომ ზის ჟიურიში?

**- როგორ დაახასიათებ თეონას კადრს მიღმა, შოუს გარეთ?**

- ძალიან მეგობრული და კომფორტული, საინტერესო ადამიანია.

# თიბისი ბანკმა კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობისათვის ქართულ ბაზარზე პირველი საერთაშორისო ჯილდო მიიღო

**მსოფლიოს წამყვანმა ფინანსურმა ჟურნალმა, EMEA Finance, თიბისი ბანკი 2013 წლის საუკეთესო ბანკად დაასახელა საქართველოში. ამავე ჟურნალმა, თიბისი ბანკი დააჯილდოვა, როგორც ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში საუკეთესო კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ბანკი 2013 წელს.**

თიბისი ბანკი ერთადერთი ქართული კომპანიაა, რომელმაც კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის გამო საერთაშორისო ჯილდო მიიღო. რაც შეეხება საუკეთესო ბანკის წოდებას საქართველოში, ამ ჯილდოს თიბისი ბანკი EMEA Finance-ისგან უკვე მესამე წელია იღებს.

EMEA Finance მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ფინანსური გამოცემაა, რომელიც იკვლევს ფინანსურ ბაზრებს ევროპაში, ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკაში. EMEA Finance-ის ევროპული საბანკო ჯილდო უკვე 6 წელია არსებობს. წელს თიბისი ბანკი გამარჯვებულად დასახელდა ისეთი მსხვილი ფინანსური ინსტიტუტების გვერდით, როგორებიცაა Barclays, HSBC, Credit Suisse, Raiffeisen Bank International და Citi.

**ტიბ ბურკი, EMEA Finance-ის რედაქტორი:**

„2013 წელი თიბისი ბანკისთვის საკმაოდ წარმატებული იყო. თავისი სასესხო პორტფელით მან შეძლო, მნიშვნელოვანი პარტნიორობა გაეწია ლოკალური კომპანიებისა და ბიზნესებისათვის, ასევე თიბისი ბანკმა შეინარჩუნა ლიდერობა საქართველოს საბანკო ბაზარზე საცალო დეპოზიტების თვალსაზრისით, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ის ყველაზე სანდო ბანკია საქართველოში. საინტერესოა, რომ თიბისი ბანკი უკვე მესამე წელია იღებს ჩვენგან საქართველოს მასშტაბით საუკეთესო ბანკის წოდებას. გარდა ამისა, ვამაყობთ, რომ დავასახელეთ თიბისი ბანკი საუკეთესო კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ბანკად ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. ვფიქრობ, ამ მიმართულებით თიბისი ბანკი მართლაც გამორჩეულია“.




**თიბისი ბანკის გენერალური დირექტორი, ვახტანგ ბუცხრიკიძე:**

„ჩვენთვის მეტად სასიხარულოა ასეთი პრესტიჟული ჯილდოების მიღება მსოფლიოს წამყვანი ფინანსური გამოცემისგან. განსაკუთრებით საამაყოა კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობისათვის მიღებული ჯილდო.

მოგეხსენებათ, თიბისი ბანკი წლების განმავლობაში გამოირჩეოდა მაღალი სოციალური პასუხისმგებლობით - დაარსების დღიდან ის ხელს უწყობდა საზოგადოებისათვის ღირებული სხვადასხვა კულტურული, სოციალური თუ საგანმანათლებლო პროექტის განხორციელებას.

ის თავადაა დამაარსებელი და ორგანიზატორი საქართველოში ყველაზე ცნობილი და პატივსაცემი ლიტერატურული კონკურსისა „საბა“. მკითხველმა, ალბათ, იცის, რომ ჩვენ ასევე ხელს ვუწყობთ ელექტრონული წიგნების პოპულარიზაციას საქართველოში; ჩვენს სათავო ოფისში ფუნქციონირებს ორი გალერეა, ქართველი არტისტების ხელშესაწყობად და დასახმარებლად; ასევე დავაარსეთ „არტარეა“ პირველი ქართული ტელევიზია კულტურაზე, რომლის საშუალებითაც ვეხმარებით და მხარში ვუდგავართ ქართველ არტისტებსა და ხელოვნებით დაინტერესებულ ადამიანებს. ამ ყველაფრის გამო მიმაჩნია, რომ თიბისი ბანკი ამ ჯილდოს მისაღებად ღირებული კანდიდატია და მინდა, მადლობა გადავუხადო თითოეულ ადამიანს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო და თავისი შრომა ჩადო ამ საინტერესო პროექტების მოფიქრებაში, დაგეგმვასა და განხორციელებაში, ეს საერთაშორისო აღიარება კიდევ ერთხელ გვიბიძგებს, რომ გავაგრძელოთ განვითარება და ვიყოთ ლიდერები, როგორც ბიზნესის, ისე სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით“.

Ⓐ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ბრძოლა რეზიდენციის გამო





**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

ორბელიანების სასახლის ისტორიულ სტატუსს ნელ-ნელა პოლიტიკურად სკანდალური ისტორია ცვლის. „ცოცხალი მუზეუმის“ დაკავებას ამერიკის საელჩოსა და კულტურული ცენტრის მუშაობის შემდეგ ჯერ ნაციონალები უმიზნებდნენ და მოგვიანებით ის გიორგი მარგველაშვილის საპრეზიდენტო რეზიდენცია უნდა გამხდარიყო. თანაც ისეთივე მოკრძალებული, როგორიც დღევანდელი პრეზიდენტის უფლებამოსილებებია. თუმცა მარგველაშვილმა რეზიდენციის მშენებლობის დასრულებას დაასწრო და სააკაშვილის მის მიერვე უარყოფილ სასახლეში შევიდა. გადაწყვეტილებას ბევრი მიზეზი ჰქონდა: ის, რომ მას არ ჰყოფნიდა კანცელარიაში გამოყოფილი ორი ოთახი, ვერ ახერხებდა უცხოელი სტუმრების მიღებას... როგორც ჩანს, ეს საკმარისი გახდა, მარგველაშვილისთვის 21-მილიონიან რეზიდენციაზე უარი ეთქვა. თუმცა რეალური მიზეზი შეიძლება სულაც სხვა არის... თუნდაც ის, რომ აღნიშნული რეზიდენცია ბევრად მოკრძალებულია იმასთან შედარებით, სადაც ამ წუთებში გიორგი მარგველაშვილი მუშაობს... როგორც ჩანს, პრეზიდენტი საკუთარ უფლებებსა და ძალაუფლებებსაც გაცილებით სხვანაირად ხედავს და შესაბამისი ზომის რეზიდენციის დაკავების სურვილიც გაუჩნდა... თუმცა ფაქტია, რომ ორბელიანების ყოფილი სასახლე „მესაკუთრის“ გარეშეა დარჩენილი.

ორბელიანების სასახლის, იგივე „გარეთუბნის“ ბოლო ისტორიული პირი, რომელიც სასახლეში ცხოვრობდა, გრიგოლ ორბელიანი იყო. ბოლო ერთი წელია, ისტორიულ შენობას პრეზიდენტის რეზიდენციისთვის ამზადებენ. მშენებლობის დასასრულს კი გაირკვა, რომ ის აღარავის სჭირდება, რადგან მოქმედმა პრეზიდენტმა საკუთარი ადგილსამყოფელი უკვე აირჩია – მისი წინამორბედის რეზიდენცია.

თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ გიორგი მარგველაშვილი საკუთარ გუნდს ოპოზიციაში სწორედ აღნიშნული რეზიდენციის გამო ჩაუდგა. ყველაფერი კი ახალი რეზიდენციის მშენებლობის დასრულების დაგვიანების მიზეზით დაიწყო. ორბელიანების სასახლის გადაკეთების რემონტი-რესტავრაცია თავის დროზე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს, დავით ნარმანიას ჩაჰბარდა. თავდაპირველი პირობა ასეთი იყო – რეზიდენცია მარგველაშვილის ინაუგურაციამდე უნდა დასრულებულიყო. მოთხოვნები კი, ბუნებრივია, პრეზიდენტის უსაფრთხოებიდან გამომდინარე საკმაოდ ბევრი იყო. მაგალითად, რეზიდენციის ირგვლივ ტერიტორია უნდა გასუფთავებულიყო. ანუ მოსახლეობა, რომლებიც ამ ეტაპზე პრეზიდენტის რეზიდენციის მეზობლად ცხოვრობენ, სხვაგან უნდა გადაეყვანათ. ამას სარემონტო ფირმის ხელმძღვანელობა მარტივად ხსნიდა, როდესაც მარგველაშვილი უცხოელ სტუმრებს მიიღებს, ვიღაც მეზობელმა მის ეზოში სიგარეტის „ბიჩოკი“ ხომ არ უნდა ჩამოაგდოსო... საუბარი იყო ასევე მიწისქვეშა გვირაბზე, ტყვიაგაუმტარ მინებზე... მოკლედ, მშენებლობა იმდენი დეტალის გათვალისწინებას ითხოვდა, რომ პროცესი ბუნებრივად გაიწელა და სამშენებლო ფირმასაც პრობლემები დავალების ვერშესრულების გამო შეექმნა. „არტესის“ ხელმძღვანელი მალხაზ ალავიძე მოგვიანებით უკმაყოფილებას გამოთქვამდა რეზიდენციის სარემონტო საქმიანობასთან ჩამოცილების გამო. პრობლემებმა საპრეზიდენტო სასახლის დასრულების ვადა ავტომატურად გადაწია და მომდევნო თარიღად 2013 წლის მაისი დასახელდა. თუმცა ამ დროისთვის ბიუჯეტიდან 16 მილიონი უკვე იყო გამოყოფილი. თანაც ეს მაშინ, როდესაც გიორგი მარგველაშვილი სააკაშვილის სასახლეს სწორედ ძვირადღირებულობის გამო იწუნებდა და აცხადებდა, რომ მას მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზეზით არ გამოიყენებდა: „სააკაშვილის რეზიდენციაში არ შევალ, ერთი მარტივი მიზეზით – საქართველოსნაირ ქვეყანაში ასეთი დიდი ფუფუნების საგანი ერთი ინსტიტუტის საკუთრება არ უნდა იყოს. ის უნდა გახდეს უფრო ხალხის საკუთრება. როდესაც ჩვენი ეკონომიკა ძალიან გაძლიერდება, მერე შეგვიძლია, ავაშენოთ სერიოზული რეზიდენციები. ვფიქრობ, ეს რეზიდენცია უნდა იყოს ხალხის საკუთრებაში, დანარჩენს გუნდის შიგნით ვისაუბრებთ“. გუნდის შიგნით კი გადაწყვეტილი იყო, რომ 21-მილიონიანი რეზიდენცია გახდებოდა მარგველაშვილის სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი. თუმცა კითხვები მაშინვე გაჩნდა, რატომ უნდა დახარჯულიყო დამატებით 21 მილიონი მაშინ, როდესაც გამართული, აშენებული, მოწყობილი და ყველა საჭირო ნივთით აღჭურვილი შენობა უკვე არსებობდა. ამ კითხვაზე მოგვიანებით თავად ბიძინა ივანიშვილმა გასცა პასუხი, როდესაც გიორგი მარგველაშვილთან უთანხმოების დეტალებზე ისაუბრა.

**არჩილ გამზარდია: „ხშირ შემთხვევაში თანამონაწილეობა ხდება კვლევითი ორგანიზაციის პირადი მოსაზრების, ან მათი თანამშრომლების, ან საკუთარი სპეციალისტების მიერ შერჩეული მედიასაშუალებების დასახელების საფუძველზე, სწორედ ამიტომაც ჩნდება კითხვები“**

ხელისუფლებაში მოსვლამდე არსებული პრინციპები მარგველაშვილისთვის მარტივად შეიცვალა. თუ მანამდე სააკაშვილის რეზიდენცია ბოროტების სიმბოლო იყო, დღეს ის უკვე ამაყად იყენებს ადგილობრივ დარბაზებს უცხოელი სტუმრების მისაღებად. წინასწარვე უარს აცხადებს ათონელის #25-ში გადასვლაზე. არადა, ახალი რეზიდენციისთვის გამოყოფილი 21 მილიონი ლარიდან უდიდესი ნაწილი თითქმის უკვე გახარჯულია. იტალიური ავეჯი, რომლის ღირებულებაც 4 მილიონ ლარს შეადგენს უკვე ნაყიდია. შენობისთვის ყველაზე ძვირადღირებული ესპანური მარმარილოა გამოყენებული. რეზიდენციას სრულიად ახალი ტერიტორია მიემატა ღია ვერანდის სახით. ერთადერთი ნაწილი, რომელიც ორბელიანების დროიდან იყო შემორჩენილი და გადარჩენილი, ხელუხლებლად დატოვეს. მას მხოლოდ აუცილებელი სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარდა. დამატებითი დეტალები საიდუმლოდ რჩება. როგორც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ დეტალები არ შეიძლება გახდეს საჯარო ინფორმაცია, რადგან ეს პრეზიდენტის რეზიდენციას ეხება, განსაკუთრებული ობიექტია და გრიფი „საიდუმლო“ ადევს. თუმცა საზოგადოებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ერთი დეტალია, სარემონტო სამუშაოების მსვლელობისას უპირატესობა სწორედ ისტორიული ძეგლის ინტერესებს ენიჭება. ეს კი უმნიშვნელოვანესია. თბილისის მკვლევარისა და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, თეიმურაზ ბერიძის განცხადებით, ორბელიანების სასახლე ისტორიის ნაწილია, რომელმაც საკუთარი იერსახე აუცილებლად უნდა შეინარჩუნოს.

**თეიმურაზ ბერიძე, თბილისის მკვლევარი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი:**

– პირველად ამ ტერიტორიაზე სასახლე ქართლის მეფემ, ვახტანგ V-მ ააშენა და გარკვეული დრო ცხოვრობდა კიდეც. 1751 წელს, თეიმურაზ მეორემ სიძეს, დიმიტრი ორბელიანს, ქალიშვილის – ანას ქმარს სასახლე მთელი თავისი ტერიტორიებით, ბაღებით აჩუქა. იქიდან მოყოლებული, აქ სულ ორბელიანები სახლობდნენ. ორბელიანების სასახლის ბოლო მკვიდრი გრიგოლი იყო. მისი გარდაცვალების შემდეგ შენობა დაინგრა, რადგან მოძველებული და მოუვლელი იყო. ორბელიანებს კარის ეკლესიაც ჰქონდათ, რომელიც, სამწუხაროდ, ახლა აღარ არსებობს.

გრიგოლ ორბელიანის გარდაცვალების შემდეგ შენობა მოუვლელობის გამო დაინგრა და მეცხრამეტე საუკუნემდე ფუნქციონირებაც შეწყვიტა. საბჭოთა კავშირის დროს აქ საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის კომიტეტი იყო განთავსებული. ბოლოს კი შენობა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ჰქონდა დაკავებული. მოგვიანებით ისტორიული სასახლით სააკაშვილის ხელისუფლება დაინტერესდა და ფუნქციაც მალევე მოუძებნეს – მათი გადაწყვეტილებით, ორბელიანების სასახლეში მომავალი პრემიერის რეზიდენცია უნდა განთავსებულიყო. ამ მიზნისთვის საჭირო გახდა დამატებითი, ახალი კორპუსის მშენებლობაც, რომელიც საელჩოს დამხმარე ნაგებობებისა და მოსახლეობის საცხოვრებელი ფართების ადგილას უნდა დაწყებულიყო. ათონელის ქუჩის ყოფილი მობინადრეები დღესაც იხსენებენ, რომ მთავრობის გადაწყვეტილებით, მათ საცხოვრებელი ბინები სამ დღეში დააცლევინეს, რადგან საპრემიერო რეზიდენციის მშენებლობის დასრულებას უმოკლეს ვადებში აპირებდნენ. ნაციონალებმა მშენებლობა 2012 წლის არჩევნებში დამარცხების შემდეგ შეაჩერეს...







© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ANOUKI - შემოდგომა-ზამთარი 2014.15 სეზონის კოლექცია



## „ხარისხიანი, კარგად შეკრული, „გრამატნად“ აწყობილი, ელეგანტური და დახვეწილი“ - დიზაინერები ანუკი არეშიძის ახალ კოლექციას აფასებენ

**exclusive**

## „ანუკი მორჩა ბავშვების გაჩენას, ეგ თემა დახურულია“















**my View**
**თამარ გონგაძე**

**60-ანი წლების ქალბატონი ძალიან მიყვარს, ჩემეულიაო, ამბობს. კოლექციაში, რომელიც 5 აპრილს წარმოადგინა, მეოცე საუკუნის ამ პერიოდის ძალზე ელეგანტური და ქალური სილუეტის კოსტიუმები შედის. ყველა მათგანში თავად ანუკის ამოიცნობთ. ავთანდილმაც იგივე მითხრა, კოლექციას ანუკის ვამსგავსებო. წელწვრილი, გამოყვანილი, ჰაეროვანი ქალბატონების დასათვალიერებლად დიზაინერმა ახალგაზრდული სასახლის სარკეებიან დარბაზში მიგვიწვია. დეფილეს ბევრი სტუმარი დაესწრო. მსგავს ღონისძიებას მონატრებულმა ბომონდმა ორი დარბაზი სრულად გაავსო. მონდომებით გამოპრანჭული საზოგადოება ერთმანეთს შორიდან ათვალიერებდა - ამ ჟესტშიც შეამჩნევდით ორი-სამი წლის წინანდელი ბომონდური ცხოვრების ნოსტალგიას.**

ელეგანტურ კოლექციას აშკარად შეატყობთ, რომ ნაშრომია. დიზაინერმა ძირითადი აქცენტი წელზე და გამოყვანილ ფორმებზე გააკეთა. მუქი ტონები, ფერადი დეტალებითა და აქსესუარებით კლასიკურ სტილთან ერთად მასკულინურ დეტალებსაც ერწყმოდა. უნდა გამოვყო ფეხსაცმელებსა და წინდებზე დამაგრებული სხვადასხვა ფერისა და ტონალობის ქვები, რომელიც კოლექციას ბრწყინვალებას ჰმატებს. ეს დეტალი უკვე ანუკისეულია, მასთან იგივდება, მას ჰგავს.

### „კოლექცია, პირველ რიგში, მე უნდა მგავდეს“

**ანუკი არეშიძე:** - ხუთი-ექვსი თვე ვიმუშავე კოლექციაზე. ძალიან შრომატევადი იყო. ფეხსაცმელებზე მაქვს ხელით ნამუშევარი, რაც ძალიან რთულია და დიდი დრო წაგვართვა. რთული იყო შარფების დამზადება. ბეწვს უნდოდა დამუშავება.

**- მესამე ვაჟი მილანში გააჩინე და გარკვეული პერიოდი იქ დაჰყავი, ინსპირაცია იქედან გამოგყვა?**

- რა თქმა უნდა, ინსპირაციის მხრივ გარკვეული გავლენა მილანმაც მოახდინა. მნიშვნელოვანი ის არის, რომ ქსოვილები ფლორენციიდან მაქვს ჩამოტანილი, რომელიც სპეციალურად ჩემთვის შეიქმნა.

**- რატომ გააკეთე არჩევანი 60-იანი წლების მოდაზე?**

- მიყვარს ის ქალი, უფრო ახლობელი და ნამდვილი ქალია.

**- ავთანდილმა თქვა, ეს კოლექცია ანუკის ჰგავსო.**

- რახან მე ვაკეთებ, კოლექცია, პირველ რიგში, მე უნდა მგავდეს. გამიხარდა, რომ მე მიმამსგავსეს.

**- თვითონ ჩაიცვამ ამ კოლექციიდან კაბას?**

- ჩავიცვამ, ყველა მათგანი მომწონს.

**- რა თვლები გამოიყენე?**

- სვაროვსკის პირველი ხარისხის თვლები.

**- მეოთხე შვილს ელოდებაო, ითქვა.**

- არა, არ ველოდები. ტყუილია. ანუკი მორჩა ბავშვების გაჩენას, ეგ თემა დახურულია.

### შეკრული და „გრამატნად“ აწყობილი

**თამუნა ინგოროყვა:** - ძალიან ლამაზი, ელეგანტური და დახვეწილი კოლექციაა. ლამაზი პალტოები ჰქონდა, მომეწონა.

**ავთანდილი:** - კოლექცია არაჩვეულებრივად აქვს შეკრული. „გრამატნად“ აწყობილი. ინტერიერიც მომწონს. ანუკის ბავშვობიდან ვიცნობ, ყველა სილუეტში ანუკას ვხედავდი. ძალიან ლამაზი სილუეტები აქვს.

**სალომე ღვინიაშვილი:** - ძალიან მომეწონა გეტრები, კაბები და ბოლო კოსტიუმი.

**- რატომ არ გამოხვედი?**

- მე აღარ ვმონაწილეობ. ვეტერანი მოდელი ვარ.

**- კრისტი რომ გამოვიდა?**

- კრისტი ჯერ არ გასულა პენსიაზე, მე გავედი.

კრისტი ყიფშიძემ ჩვენება გახსნა.

**კრისტი ყიფშიძე:** - არამხოლოდ ჩემი კაბა, მთლიანად კოლექცია მომწონს. ულამაზესი იყო. ქალური და დახვეწილია.

**თეონა თავართქილაძე:** - ხარისხიანი, ნაფიქრი და სწორად აწყობილი კოლექცია წარმოადგინა. ფერები და მასალა მომეწონა.

**დათუნა სულიკაშვილი:** - განსაკუთრებით შავი ტანსაცმელი მომეწონა, ასევე კონსტრუქციები, საინტერესო და ქალური, დახვეწილია. მინდა წარმატება ვუსურვო.

**გოლა დამიანი:** - ვიცოდი, რომ კარგი ჩვენება გველოდა, ძალიან კარგი კოლექცია იყო. მინდა წარმატება ვუსურვო და მინდა ყველაფერი გამოუვიდეს.

**ანუკი არეშიძე: „გამიხარდა, რომ მე მიმამსგავსეს კოლექცია“**











© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „პრაიმტაიმი“ X Fa



my View

თამარ გონგაძე

X Factor-ის ჩაწერებზე ისე გადის საათები, ვერც იგებ. კონკურსანტების სიჭრელე, ჟიურის ენაკვიმატობა, წამყვანების კომენტარები, დარბაზის აქტიურობა მოწყენის საშუალებას არ გაძლევს. 31 მარტსა და 1 აპრილს ბევრმა კონკურსანტმა გამოიარა ჟიურის წევრების შეფასების ქარცეცხლში. დარჩა ორი ჩასაწერი დღე - 7 და 8 აპრილს. მერე კი მეგაშოუს პროდიუსერები ხუთი ჩაწერილი საკასტინგო ტურიდან ორ ნახევარ გადაცემას გამოიყვანენ, დაამონტაჟებენ, მხოლოდ საუკეთესო, ექსცენტრიკულ, დასამახსოვრებელ ნომრებს შეკრებენ და მაყურებლის სიამოვნებისთვის გაამზადებენ. „პრაიმტაიმი“ გადასაღები მოედნიდან რეპორტაჟს გთავაზობთ. შიდასამზარეულო სპეციალურად ჩვენი მკითხველისთვის.







## სტეფანე: „სმენა რომ გქონდეს, თინა თერნერის ტემბრი გაქვს“

### „მას სცენა მოენატრა და მე მას გავუგე“

ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი 61 წლის რამაზ დანელიას გამოსვლა იყო. მან ფრენკ სინატრა იმღერა, დიდი სიყვარულით და პროფესიულ დონეზე. ეტყობოდა დამოკიდებულება მუსიკისადმი.

**- ბატონო რამაზ, რატომ მოგინდათ ამ შოუში მონაწილეობა?**

- ძლიერი პროექტია, ასაკი შეუზღუდავია და მესამე - სცენა მომენატრა. ბავშვობიდან რამდენიმე ანსამბლში ვმღერი. ბაჩი ქიტიაშვილთან „ბერმუხაში“ რომ ვმღეროდი, მას შემდეგ ამ სცენაზე არ ვმდგარვარ.

რამაზ დანელია ლეილა აბაშიძის შვილია. ჟიურის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მსახიობი სცენაზე წამყვანებმა გაიყვანეს.

**ლეილა აბაშიძე:** - სულ ერთიანად ვკანკალებ. მე და ჩემი შვილი სხვადასხვა თაობა ვართ, მაგრამ ერთნაირი გემოვნება გვაქვს. ძალიან ნიჭიერი პროექტია, 12 წლიდან განუსაზღვრელი ასაკის კონკურსანტს შეუძლია იმღეროს. თქვენ ყველას მიეცით შანსი - ვისაც ემღერება იმღეროს და ვისაც არ ემღერება იმათაც. მე და ჩემმა შვილმა ერთად საკმაოდ რთული ცხოვრება გავიარეთ. ყველა ხელოვანის ცხოვრება რთულია, არც ჩემი შვილობა იყო ადვილი და არც ასეთი კაცის დედობა. მღეროდა, უკრავდა, ჯაზით და მუსიკით ცხოვრობდა. როდესაც რამაზმა ამ პროექტზე ოცნება დაიწყო, მე მეგონა ჩემი 12 წლის მუსიკალური შვილიშვილი მოჰყავდა. თურმე თავის თავზე ზრუნავდა. უხერხული ხომ არ არის-მეთქი, ვუთხარი. არა, დედა, მე მოვსინჯავო... მას სცენა მოენატრა და მე მას გავუგე. ეს პროჟექტორები რომ მანათებს, უბედნიერესი ქალი ვარ. ბუნებით მეოცნებე ვარ. ადამიანი ოცნების გარეშე ფრთამოტეხილ არწივს ემსგავსება, რომელსაც ფრენა შეუძლია, მაგრამ ჰგონია, რომ ქათამია და მათ შორის დადის და საკენკს ეძებს. ყველამ ჩვენი ბედნიერებისთვის უნდა ვიბრძოლოთ.

### პროდიუსერის მითითებები

კონკურსანტების ჩაწერებს შორის შოუს უცვლელი პროდიუსერი, გიორგი ხაბურზანია ჟიურის წევრებთან მიდის და რაღაც რჩევებს აძლევს. მასზე უკეთ ვინ იცის, როგორი უნდა იყოს ჟიური შეფასებისას. „ჯეოსტარიდან“ მოყოლებული მუსიკალურ პროექტებს წლებია პროდიუსერობს.

**გიორგი ხაბურზანია:** - ვეუბნები, მეტად იპაექრონ, იაქტიურონ, თუ სიტყვა გაუგრძელდათ, მოკლედ თქვან სათქმელი. მაყურებლისთვის ადვილად გასაგები ლაკონური ტექსტი უნდა იყოს. ახლა მონტაჟზე ვფიქრობ და ამიტომ ვზრუნავ ჟიურის სათქმელ ტექსტზე. ლაივებზე ასე აღარ ვიქნები.

**გიორგი გაბუნია: „შეხურებული ვარ და ამაში კონკურსანტები ხელს მიწყობენ. არა მხოლოდ კონკურსანტები, ჟიურიში გვერდით ვინ მიზის დააკვირდით. ყველა მხრიდან ვხურვარ და ვიწვი:)“**



### კონკურენცია მომღერალ მოცეკვავეებს შორის

სტრიპტიზის მოცეკვავე ეკა აბშილავამ კულისებიდან მოყოლებული ისეთი ყურადღება მიიქცია, შოუს სტაფიდან მოყოლებული, გამვლელ-გამომვლელით დამთავრებული ყველა მისი ყურებით გაერთო. გვეგონა სცენას თავზე დაიმხობდა. მაგრამ ვერ მოახერხა. ეკამ წინა ტურზე მოცეკვავე ბაბეტას ნომერი ჩაუშალა. როცა „გოუ გოუ დანსერი“ სცენაზე მღეროდა, დარბაზში მყოფი აბშილავა ისე გამომწვევად ცეკვავდა, მთელი დარბაზი მისკენ მიბრუნდა.

**ეკა აბშილავა:** - ცეკვაში დარწმუნებული ვარ და ახლა სიმღერაში მინდა თავის გამოცდა. ოღონდ იმ კასაბლანკა გოგოსავით არ მინდა, რომ გამოვიდა და მე კონცერტი ჩავუგდე.

**- რატომ ჩაუგდე ნომერი, კონკურენციის მიზეზით?**

- არა. მე ხომ პროფესიონალი ვარ. მუცლის ცეკვა, ყველანაირი ცეკვა ვიცი. ბაბეტას ცეკვა არაფერი არ იყო. ვერაფერს ვერ აკეთებდა სცენაზე, სიმღერა - ნული, ცეკვა - ნული, მე უბრალოდ ვიცეკვე. მთელი დარბაზი ფეხზე იდგა.

**- წარმოგვიდგინე თავი.**

- მე გაგრიდან ვარ, მოცეკვავე. „ორიენტალში“ სტრიპტიზს ვცეკვავ ხუთი წელია. მე არც სახელს ვმალავ, არც სახეს. ვისაც არ უნდა სტრიპტიზი ვიცეკვო, მაშინ თვითონ მარჩინოს. რესტორნებში მიმღერია.





ეკამ თავისი ნომერი უკრაინაში დაღუპულ ხალხს მიუძღვნა. აქ მაგის ადგილი არ არისო, გიორგი გაბუნიამ უთხრა. მერე რუსეთში მცხოვრებ პატარა შვილს მიუძღვნა გამოსვლა, რომელსაც წელიწადში ერთხელ ვნახულობო.

**სტეფანე:** - სმენა რომ გქონდეს, თინა თერნერის ტემბრი გაქვს.





**სოფო ტოროშელიძე:** - რისი დამტკიცება გინდა?

**ეკა აბშილავა:** - მე გამოვედი და ახლა შენ ან კი თქვი, ან არა და თუ არ მოგწონვარ, ეგეც თქვი. მაინტერესებს ვმღერი თუ ვერა.

**სოფო:** - ვერ მღერი. ვერც ცეკვამ მომხიბლა.

**ეკა:** - ნამდვილად, აქ უკეთ ცეკვავდნენ.

**სტეფანე:** - სიმღერასთან კავშირი მართლა არ გაქვს.

**გიორგი გაბუნია:** - შენი ყურება ბავშვებისთვის მართლა არ შეიძლება, მათ შორის არც შენი შვილისთვის.

დანარჩენი შოუში ნახეთ...

### კვერცხული დარბაზში

დარბაზში ხალხის აყოლიებაზე, გააქტიურებაზე მუშაობს „კვერცხულად“ წოდებული თემო ლოლაძე. თემო ყველას გახსოვთ „ნიჭიერიდან“, სასქესო ორგანოების გამძლეობით.

„მე შევთავაზე მამუშავეთ-მეთქი. სიმღერა არ გამომდის და დარბაზს ვიყოლიებ. ბავშვები დავინდე და სტრიპტიზის მოცეკვავეს არ ავუვარდი სცენაზე, თორემ მინდოდა. ისე რა გამაჩერებს“, - ემოციები გაგვიზიარა თემომ.

### „ჩემო კარგო ქვეყანა“

ოფიცერთა შვიდკაციანი შემადგენლობის „ჩემო კარგო ქვეყანამ“ დარბაზში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ამაღელვებელი ნომერი გამოუვიდათ.

**- რატომ მონაწილეობთ ამ შოუში?**

**მალხაზ კოჭლამაზაშვილი**: - ახალი თაობის აღზრდის მიზნით, მა-

**სოფო ტოროშელიძე: „არანაირი პრობლემა და საწინააღმდეგო ლამაზ გოგონებთან არ მაქვს. ესენი არიან მომხიბვლელი, სექსუალური, ლამაზი გოგონები“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ctor-ის კულისებში

**გიორგი გაბუნია: „შენი ყურება ბავშვებისთვის მართლა არ შეიძლება, მათ შორის არც შენი შვილისთვის“**

**EXCLUSIVE**









თში მამულიშვილური განცდის ამაღლებისთვის. მრავალ ცხოვრებისეულ სირთულეებგამოვლილი ხალხი გამოვედით. გვინდა ახალ თაობას მუხტი მივცეთ.

**პინოქიოები**

„ფენსი გერლსის“ გამოსვლას ყველაზე დასამახსოვრებელი კომენტარი გიორგი გაბუნიამ გაუკეთა.

**გიორგი გაბუნია:** - თქვენი პრობლემა მოძრაობაა. ხიდან გამოთლილებს ჰგავხართ. სამი პინოქიო ელოდება გაცოცხლებას, რომ ნამდვილ ადამიანად გადაიქცეს. სცენაზე ყველა დეფექტი ბევრად მკვეთრად ჩანს.

**სტეფანე:** - სოლისტი ლიდერია და ძალიან კარგი გოგოა. საქართველოში სპორტის კულტურა არ არის. სცენაზე რომ არ იყოთ მოსაწყენი, გჭირდებათ იმ ენერგიის, სიმღერის ბოლომდე შენარჩუნება, რომლითად დაიწყეთ.

სოფო თავისი კომენტარით გამოეპასუხა სტრიპტიზის მოცეკვავეს, რომელმაც ჩათვალა, რომ სოფომ იმიტომ დაიწუნა, რომ როგორც ქალი ეკონკურენტა.

**სოფო ტოროშელიძე:** -არანაირი პრობლემა და საწინააღმდეგო ლამაზ გოგონებთან არ მაქვს. ესენი არიან მომხიბვლელი, სექსუალური, ლამაზი გოგონები. უნდა დაიხვეწოთ, იმუშაოთ, რომ ეს ჯგუფი ძალიან მაგარი გამოვიდეს.

**ჯიმი, ჯიმი**

22 წლის ბიულამ „ჯიმი, ჯიმი“ იმღერა, ოღონდ ცეკვის გარეშე, არადა ინდოელი და ასეთი უმოძრაობა, პირველად ვნახე. სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლობს. საქართველოში 4 წელია ცხოვრობს. ამბობს, რომ ლობიანი უყვარს და ქართველი ბიჭები ისე რა მოსწონს.







**ლეილა აბაშიძე:**
**„თქვენ ყველას მიეცით შანსი - ვისაც ემღერება და ვისაც არ ემღერება, იმათაც. მე და ჩემმა შვილმა ერთად საკმაოდ რთული ცხოვრება გავიარეთ. ყველა ხელოვანის ცხოვრება რთულია, არც ჩემი შვილობა იყო ადვილი და არც ასეთი კაცის დედობა“**



**კულისებში**

წამყვანების ნახვა კულისებში შეგიძლიათ, დგანან და კონკურსანტებზე კომენტარებს აკეთებენ.

**გეგა ფალავანდიშვილი:** -მოულოდნელად კარგი კონკურსანტები გვყავს.

**- ია, წინა ჩაწერაზე „ქუსლებმა“ დაგღალა და ისევ მაღალქუსლიანი გაცვია?**

**ია სუხიტაშვილი:** - ისეთ ტანსაცმელს ვარჩევთ, რომ დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი არ უხდება. ყველაფერი შეჩვევაზეა. შევეჩვიე.

კულისებში გიორგი გაბუნიას ლეილა აბაშიძე ეფერა.

**ლეილა აბაშიძე:** - ეს ნიჭიერი ბიჭი ძალიან მიყვარს. დედაშენივით ეკრანისთვის ხარ დაბადებული. მისი ღირსეული შთამომავალი ხარ, ძალიან მომწონხარ. სულ გესიყვარულები. თავი ვერ შევიკავე.

**გიორგი გაბუნია:** -მადლობა. თქვენი ვინმე მონაწილეობს?

**ლეილა აბაშიძე:** - ჩემი შვილი, ბებერი კაცი და მე გულშემატკივრად წამოვყევი.

**- გიორგი, როგორც პროფესიონალს რომ გაფასებენ, როგორი განცდა გაქვს?**

**გიორგი გაბუნია: -** სიამაყის გრძნობა მაქვს, როდესაც ჩემში დედაჩემის გენებს ხედავენ. როდესაც მაყურებელი და მით უმეტეს ასეთი პატივსაცემი ადამიანი ჩემს შრომას ასე დადებითად აფასებს, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია.

**- როგორც ჟიური გახურდი?**

- შეხურებული ვარ და ამაში კონკურსანტები ხელს მიწყობენ. არა მხოლოდ კონკურსანტები, ჟიურიში გვერდით ვინ მიზის დააკვირდით. ყველა მხრიდან ვხურვარ და ვიწვი:)

**- არ ზომავ და არ მალავ შენ დამოკიდებულებას კონკურსანტის მიმართ და ხარ პირდაპირი.**

- მინდა კონკურსანტმა ზუსტად გაიგოს, რისი თქმა მინდა. ეს არის ჩემი მიზანი. არ მინდა მოვატყუო ან ზედმეტად შევაქო და დავაიმედო...







© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება




თამარ გონგაძე

# ხატია შამუგიას მანქანაზე ვარდები დაახვედრეს



ხატია შამუგიას უცნობმა თაყვანისმცემელმა მანქანაზე, ღამით, სამი წითელი ვარდი დაახვედრა. ხატია ზურა შარიას სტუმრობდა გადაცემაში. შარიას „ქართულ არხზე“ მიჰყავს გადაცემა „კულტურაში მოძრაობის წესები“. ტელევიზია ყაზბეგის ქუჩაზეა. ხატიას „ტოიოტა რავ 4“-იც იქვე ჰყავდა გაჩერებული.

**ხატია შამუგია:** - გადაცემიდან გამოვედი და საქარე მინაზე სამი ვარდი დამხვდა. არაფერი ვიცი, ვისგან არის. ეჭვი მაქვს, მაგრამ არ ვეკითხები... თვითონაც დუმს. ვარდები ისევ შუშაზე მაქვს, ხელი არ მიხლია. იყოს, ლამაზია. როგორც ყველა ქალს, მეც მიყვარს სიურპრიზები. მაგრამ თვითონ არ ვიცი სიურპრიზების მოწყობა.



# „ახალი ტალღა“ დუტას წინააღმდეგ - „დუტა რომ ხალხის აზრის ფორმირებას დაიწყებს...“



**„TV 11“-ზე, „მაესტროზე“ დუტა სხირტლაძეს გადაცემა - „ჩაის თემა“ მიჰყავს. პირველი გადაცემა მიუძღვნა თემას - ქართველობა, საიდან მოვდივართ, სად მივდივართ, რა გვინდა, ვინ ვართ? ქართველობას გვართმევენ?! ატყდა სოციალურ ქსელში ამბავი, იმ ოპერიდან - ამ დუტას ხმა უთოშიც უნდა გვესმოდეს? მსახიობი „იმედზე“ შოუ „ორი ვარსკვლავის“ წამყვანია, მალე „GDS“-ზე პროექტში - „ერთი-ერთში“ კონკურსანტის როლში მოგვევლინება. მაყურებელთა ერთი ნაწილის გაღიზიანებაც, როგორც ჩანს, ამან გამოიწვია. გთავაზობთ კომენტარების კორიანტელიდან მცირე ამონარიდს: „რას ბოდავს... დუტა რომ ხალხის აზრის ფორმირებას დაიწყებს... ვაი, ბედკრულო საქართველოვ“. „ბატონო დუტა, დიდი მადლობა, ყველაფერი აბსოლუტურად მართალია. ამდენ რუსეთუმეს რა გაუძლებს, არც ამათ ტვინს ეშველება რამე“. „სხირტლაძე დედის გვარი ყოფილა, თვითონ კი ვალიცკია თურმე და რა ქართველობაზე ლაპარაკობს, მით უფრო რა ქართველობის დაკარგვაზე?! რავა ყველა ჭკუას გვასწავლის ბიჯო!!!“ „რა მოხდა, რა გჭირთ ძვირფასებო, რატომ ასწორებთ დუტას მიწასთან, დუტა უნიჭიერესი ადამიანია ან დედის გვარი რა შუაშია, მოკლედ, არ შეიძლება ასე ადამიანის გათელვა, სირცხვილია“. „ეს ნაცების მასხარა, ესა!!!!“**

დუტა, ამ ეტაპზე, მოკლე კომენტარით შემოიფარგლა.

**დუტა სხირტლაძე:** „თავს შევიკავებ ცოტა ხანი. ისედაც დიდი დოზით ვარ ქსელში. ცოტა მიცხრეს“ .



# პირველი ბოდიბილდერი ქართველი ქალის დიეტის საიდუმლო






**ია უძილაური ბოდიბილდინგის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული გახდა. ტურნირი, ესპანეთში, ქალაქ ბარსელონაში გაიმართა. ია პირველი ქართველი ქალია, რომელიც ბოდიბილდინგის საერთაშორისო შეჯიბრში მონაწილეობდა. ია, ნიკა გრიგოლიას პირველი ცოლი იყო, წყვილს ერთი ვაჟი ჰყავს.**

**ია უძილაური:** „მოწვევები მაქვს ტურნირებიდან, მაგრამ ფინანსებზე ვარ დამოკიდებული, ეს ყველაფერი კატასტროფულ თანხებთან არ არის დაკავშირებული, მაგრამ მაინც პრობლემაა, ამიტომ ახლა სპონსორზე და დაფინანსებაზე ვარ ორიენტირებული.

**- დღეში რამდენჯერ ვარჯიშობ და რა დრო დაგჭირდა შედეგის მისაღწევად?**

- 1 საათიდან 2 საათამდე ვვარჯიშობ, კვირაში 5 დღე. 2 წელია რაც ვარჯიში დავიწყე, მაგრამ 3 თვის შემდეგ უკვე შესამჩნევი შედეგი მქონდა.

**- როგორ ინარჩუნებ ფორმას, როგორია შენი კვების რაციონი?**

- სპორტული დიეტა ჩვეულებრივი დიეტისგან განსხვავდება. დიეტა არ გულისხმობს შიმშილს, მთავარია სწორი კვება, ბევრი ცილები, ბოსტნეული და ხილი, ნაკლები ნახშირწყლები, ცხიმი და ტკბილეული. ჩემი რაციონი, ძირითადად ამ ყველაფრისგან შედგება და ბოლოს, ვისაც ფორმაში მოსვლა უნდა, ვურჩევ ჯანმრთელად იკვებოს, არ არის აუცილებელი მთელი დღე იოგურტზე ან ყავაზე ყოფნა.


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ბერა არანაირად არ ჩარეულა ამ ყველაფერში“

თამარ გონგაძე






**17 წლის წლის ნუცა ბუზალაძე, გასულ კვირას, „ახალი ტალღის“ შიდა შესარჩევ კონკურსზე ნინი ცნობილაძესთან ერთად აარჩიეს. 18 კონკურსანტს შორის ამ ორ გოგონაზე ჟიურის აზრები ორად გაიყო. მათ დამატებით შეასრულებინეს სიმღერები. კასტინგისთვის ჩამოსული იყვნენ - ვალერი მელაძე, ალექსანდრ რუმიანცევი და ნასტია ხმელნიკოვა. ჟიურის წევრებს შორის ასევე იყვნენ - სოფო ხალვაში და სალომე ქათამაძე, „ახალი ტალღის“ შარშანდელი მონაწილე. შიდა შესარჩევ კონკურსზე „ახალი ხმის“ კონკურსანტები მონაწილეობდნენ, მათ შორის - თიკო მოსემღვდლიშვილი, მარიამ პავლიაშვილი, გიორგი მახარაშვილი... 18 კონკურსანტს შორის ჯერ შვიდი კონკურსანტი აარჩიეს, მერე კი ნინი ცნობილაძე და ნუცა ბუზალაძე. შიდა შესარჩევზე გადაღებული ჩანაწერი ტელეკომპანია „იმედმა“ მოსკოვში გაგზავნა. ამ ჩანაწერის ნახვისას გადაწყდება ამ ორი კონკურსანტიდან რომელს აარჩევენ. 17 აპრილს „ახალი ტალღის“ პროდიუსერებს უკვე ეცოდინებათ საქართველოს სახელით კონკურსზე ნინი გამოვა თუ ნუცა. ნინი შარშანაც იყო „ახალი ტალღის“ შიდა შესარჩევ ტურზე არჩეული კონკურსანტი, სალომე ქათამაძესთან ერთად. მაგრამ შარშან არჩევანი სალომეზე გაკეთდა.**

**ნინი ცნობილაძე:** - როგორც მითხრეს, ჩემზე ჟიურის აზრები ორად გაიყო. მეგონა, დამატებით ორი სიმღერის შესრულება დამჭირდებოდა, მაგრამ ექვსი მამღერეს. ნინა სიმონეს, ბიჯისის, ემი უაინჰაუსის სიმღერები შევასრულე.

**- არ გეშინია შარშანდელი განმეორდეს და ისევ პროექტს გარეთ დარჩე?**

- საერთოდ არ ვნერვიულობ. გამიხარდება თუ წავალ, თუ არ წავალ, არაფერი სანერვიულო არ არის. უბრალოდ ვცადე და ხელმეორედ მოვეწონე და თუ კიდევ სხვა გადაწყვეტილებას მიიღებენ, არც ეგ იქნება პრობლემა.

**- რა გითხრეს?**

- ბოლო ორ წელს კარგი ტრადიციაა შესარჩევ კონკურსზე რომ ვხვდებით, მაგრამ ეს ტრადიცია უნდა შეწყდესო.

**- ანუ შენ აგირჩევთო?**

- ეგრე გამოვიდა. ძალიან კარგი გამოცდილებაა და მინდა. თუმცა „იურმალის“ მერე შენ კარიერას განვითარება რომ მოჰყვეს, ეს უკვე შენზეა დამოკიდებული.




ნინი „ახალი ხმის“ და „ცეკვავენ ვარსკვლავების“ კონკურსანტია, რაც შეეხება ნუცა ბუზალაძეს, მას საზოგადოება იცნობს „GDS“-ის პროექტიდან „ერთი-ერთში“. ნუცა ბერას სტუდია ლეიბლის კურსდამთავრებულია. ამბობს, რომ ამ ლეიბლში ორწლიანმა სწავლებამ უზარმაზარი გამოცდილება მისცა. მასზე იმასაც ჭორაობდნენ, ბერას პროტეჟეობით მოხვდა „GDS“-ის პროექტშიო... ნუცა „პრაიმტაიმის“ მკითხველს თავს აცნობს.

წლინახევრის იყო ყურმოკრულ მუსიკას იმეორებდა. ხუთი წლის იყო „მართვეში“ რომ მღეროდა. „მზიურის“ სოლისტი იყო, ექვსი წელი მღეროდა, უკრავდა ფორტეპიანოზე და გიტარაზე. მერე იყო კონკურსები - „ანაბანა“, „ხმა საქართველოდან“, „ნიჭიერი“ (მეორე სეზონის ნახევარფინალი)... ქასთინგის საშუალებით ბერას ლეიბლში მოხვდა. იმ პერიოდს გატაცებით იხსენებს.

**ნუცა ბუზალაძე:** - ინტერნეტში ვნახე ქასთინგი, განაცხადი შევავსე და სამი ტური გავიარე. 13 წლის ვიყავი. სტუდიაში მისულს ამერიკული სიტუაცია დამხვდა, მხოლოდ ფილმებში რაც მქონდა ნანახი. ის პერიოდი ყველაზე მაგარი იყო. ჟიურის წევრები ამერიკელები იყვნენ, მათ შორის იყო ბერაც. ვიმღერე მაიკო კაჭკაჭიშვილის და ბარბარა სტრეიზანდის სიმღერები. ორი წელი ვისწავლე, 17 გოგო და ერთი ბიჭი სწავლობდა. უცხოეთში ასეთი ლეიბლები ბევრია. საქართველოში პირველად გაკეთდა. გვასწავლეს ქორეოგრაფია, ვოკალი, მუსიკა, ინგლისური. ენა იქ ვისწავლე და საერთოდ, დღეს რაც ვიცი, ყველაფერს ამ სტუდიას ვუმადლი. როგორც მომღერალი, ამ სტუდიამ გამზარდა. უდიდესი გამოცდილება მომცა. აშერის ქორეოგრაფი ვისდომი მასწავლიდა ცეკვას. ამ ლეიბლის დიპლომის მფლობელი ვარ.

**- რა შთაბეჭდილება დატოვა შენზე ბერამ პირველად?**

- ქასთინგის პირველ დღეს ვნახე სტუდიაში და უდიდესი სითბო წამოვიდა მისგან, დღემდე, მსოფლიოში ყველაზე თბილი ადამიანი მგონია. მასზე შექმნილი პირველი შთაბეჭდილება დღემდე მომყვება.

**- რა მოხდა ლეიბლში სწავლის დასრულების შემდეგ?**

- ერთწლიანი დასვენება მქონდა. ზაფხულში სტამბულში ვიყავი, როდესაც პროექტის „ერთი-ერთში“ პროდიუსერმა დამირეკა. სკაიპით რომ მითხრეს, მონაწილეობა მიიღეო, სრული შოკი მქონდა.

**- რატომ დაინტერესდნენ შენით?**

- ბერას სტუდიაში მართლა თავდაუზოგავად ვშრომობდი, ეს, ალბათ, ჩემი პედაგოგებიდან იცოდა ბერამ და მან უთხრა პროექტის პროდიუსერებს.

**- ამ გადმოსახედიდან როგორ შეაფასებ შენს თავს ამ პროექტში?**

- სტუდიამ ხომ გამზარდა, ამ პროექტმა ორმაგად. მომცა შესაძლებლობა რაც კი შემეძლო მეჩვენებინა. ამ გადმოსახედიდან რაღაცები მომწონს, რაღაცები არ მომწონს, მაგრამ, საბოლოო ჯამში, საქართველოს ნუცა ბუზალაძე ამ პროექტმა გააცნო. ძალიან მნიშვნელოვანია როგორ გაგიცნობს საზოგადოება. რაც ყველაზე მთავარია, ხალხის სიყვარული მომიტანა.

**„ბერას სტუდიაში მართლა თავდაუზოგავად ვშრომობდი, ეს, ალბათ, ჩემი პედაგოგებიდან იცოდა ბერამ და მან უთხრა პროექტის პროდიუსერებს“**

ai, ამისთვის კი სამომავლოდაც ბევრ რამეს გავაკეთებ.

**- შენ შესრულებულ რომელ ნომერს გამოყოფდი?**

- თინა თერნერისა და ალა პუგაჩოვას როლები მოვირგე. სხვა ეპოქაში გადავვარდი. „იუთუბიზე“ ვნახე მათი ვიდეოები, ინტერვიუები, შესრულება, მანერულობა. ალას შემოქმედება ორი სიმღერის გარდა არ ვიცოდი და ძირფესვიანად შევისწავლე. ბიონსე და შაკირა ჩვეულებრივი იყო, არაფერი მათში განსაკუთრებული არ ყოფილა. ამ პროექტში არანორმალურ შრომას ვდებდით. რთულია ერთ კვირაში ისწავლო ეს ყველაფერი.

**- ჟიურის წევრებიდან ვის გამოყოფდი?**

- ჟიურიზე დაბოღმილი არასდროს ვყოფილვარ. კომპეტენტურად მაფასებდნენ, პატარა ვარ და ბევრი რამ მეშლებოდა. გამოვყოფდი ეფრემ შანელს.

**- ახალ სეზონს უგულშემატკივრებ?**

- ყველა ცოცხალ კონცერტზე მინდა იქ ვიყო. ვინც ყველაზე მეტად მომეწონება, იმას ვუგულშემატკივრებ.

**- კონკურსანტებს შორის ვის დაუმეგობრდი?**

- ელენე კალანდაძეს და ანრი ჯოხაძეს. მიხარია, რომ ასეთ კარგ ადამიანებთან დამამეგობრა. ამ პროექტმა სალომე ქათამაძე გამაცნო.

**- მისი დამსახურებაა „ახალი ტალღის“ ქასტინგზე რომ მიიღე მონაწილეობა?**

- ქასთინგის რეკლამისთვის მნიშვნელობა არ მიმინიჭებია. წინა დღეს სალომეს ველაპარაკე, აუცილებლად შეიტანე განაცხადი და ეს შანსი გამოიყენეო, მითხრა. რჩევა გავითვალისწინე და მონაცემები რუსეთში გავგზავნე. მივიღე თანხმობა და თბილისში შიდაშესარჩევ ქასტინგზე გამოვედი. ნინი ცნობილაძე ძალიან მაგარი გოგოა. ჟიურის რთულად ასარჩევად ექნება საქმე. მას „ახალ ხმაში“ ვგულშემატკივრობდი. ჩემს თავთან ერთად ნინისაც ვგულშემატკივრობ. ძალიან მაგარი იქნება ორივე რომ აგვირჩიონ, მაგრამ ასეთი რამ არ მოხდება. არაფერზე ვნერვიულობ, რომც არ გავიდე. მე ყველაფერი წინ მაქვს.

**- ჭორაობენ, ნუცას გაიყვანენ იმიტომ, რომ ბერას მეგობარიაო.**



**EXCLUSIVE**

**„ეს დიდი სისულელეა. ამას მაშინაც ამბობდნენ მე რომ პროექტ „ერთი-ერთში“ ვმონაწილეობდი. ბერა არანაირად არ ჩარეულა ამ ყველაფერში. ვიღაც რომ უსამართლოდ გაიყვანო, ასეთი ადამიანი უნდა იყო. ბერა ასეთ რამეს არასდროს გააკეთებს. არც მე ვაკადრებ ჩემს თავს. ახლა ვიწყებ კარიერას და მინდა სუფთად დავიწყო“**



- ეს დიდი სისულელეა. ამას მაშინაც ამბობდნენ მე რომ პროექტ „ერთი-ერთში“ ვმონაწილეობდი. ბერა არანაირად არ ჩარეულა ამ ყველაფერში. ვიღაც რომ უსამართლოდ გაიყვანო, ასეთი ადამიანი უნდა იყო. ბერა ასეთ რამეს არასდროს გააკეთებს. არც მე ვაკადრებ, არც ჩემს თავს და არც ჩემ კონკურენტს. ეს დიდი უსამართლობაა. მე არ მივცემ ამის გაკეთების უფლებას, ვინც არ უნდა იყოს. ვერც გამიბედავენ. ახლა ვიწყებ კარიერას და მინდა სუფთად დავიწყო.

**- იცის ბერამ „იურმალას“ კონკურსანტი რომ ხარ?**

- მე არ მითქვამს და არ ვიცი.

**- რას ელოდები კონკურსიდან?**

- უდიდესი პასუხისმგებლობაა საქართველოს სახელით „ახალ ტალღაზე“ გამოსვლა. ახალი ეტაპის დასაწყისია. მე მეგონა ახალი ეტაპის დასაწყისი პროექტი „ერთი-ერთში“ იყო, მაგრამ თურმე უფრო მაგარი რამეები შეიძლება მოხდეს. რაც ჩემს შესაძლებლობაშია, ყველაფერს გავაკეთებ, რომ საქართველო ყველაზე მაგრად წარვადგინო „ახალ ტალღაზე“.

**- შეყვარებული არ ხარ?**

- არასდროს ვყოფილვარ და ჯერჯერობით არც მინდა ვიყო. თავისუფალი, გახსნილი ვარ, სერიოზული ურთიერთობები ჩემთვის ადრეა. სიყვარული საქმეში ხელისშემშლელია. მეგობრები ისტორიებს რომ მიყვებიან, ვფიქრობ - უი, ჯერ არ მინდა-მეთქი! ჯერ ხელისშემშლელია. სანამ კარიერას არ ავიწყობ, მანამდე სერიოზულ ურთიერთობაზე არ ვიფიქრებ. მინდა მსახიობიც ვიყო და მომღერალიც.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ცოტნე ცოტაშვილი და პოლიტიკოსების

**my View**
**თამარ გონგაძე**

„ჩემი ცოლის დაქალების“ მიმდინარე სეზონის ყველაზე მოთხოვნადი და პოპულარული ახალგაზრდა ამბიციური პოლიტიკოსის, ცოტნე ცოტაშვილის სცენებია. ამ სეზონის კოზირი მის გარშემო შექმნილი ქარგაა. „ურა პატრიოტების“ ლიდერის სამსახურებრივისა და პირადი ცხოვრების სინთეზმა სერიალის მაყურებელს მეხუთე სეზონის ყურების ინტერესი არ დააკარგვინა. ცოტნეს გმირმა ერთ სერიაში კოლეგას ასტროლოგიური პროპაგანდის აკრძალვის მომხრე ვარო, უთხრა. თანაგუნდელი პასუხობს, ამით ელექტორატს ვკარგავთ. ისედაც სამი ასტროლოგი გვყავს და ისინიც შარლატანები არიან, ვის დავკარგავთ, პასუხობს ნიშნის მოგებით ცოტნე. ჩვენ მაშინ მიხეილ ცაგარელს დავუკავშირდით. ის საკმაოდ სერიოზულად მიუდგა სერიალის ხუმრობას. „სამწუხაროდ ეს ის რეალობაა, რომელიც შეესაბამება ჩვენს დღევანდელ პოლიტიკოსებს, რომელთაც საერთოდ წარმოდგენა არ აქვთ ასტროლოგიაზე. არცოდნის გამო უამრავ შეცდომებს უშვებენ. სცენარის ავტორი აპარტახებს არა მხოლოდ ჩვენს პოლიტიკოსებს, არამედ ასტროლოგებსაც. მას ასევე სურს აამოს საეკლესიო მამებს, რომლებიც ასტროლოგიის წინააღმდეგ გამოდიან. სცენარისტი ორ თამაშს თამაშობს. ქეთი დევდარიანს ვთხოვდი, მოვიდეს ჩემთან გავაკეთოთ მისი ასტროლოგიური რუკა და ამის შემდეგ ასეთი გაშარჟების სურვილი არ ექნება“. ქეთი დევდარიანმა ამ თემაზე ასეთი პასუხი გამცა: „მე რა შუაში ვარ, დაურეკეთ ცოტნე ცოტაშვილს“. მერე ქეთის „ფეისბუქზე“ დაუპოსტეს, ცაგარელი „რაზბორკაზე“ გიბარებსო. გადამისამართებული ცოტნეს როლის შემსრულებელს მივადექი. გაგაცნობთ გიორგი ბახუტაშვილს.



„თინა მახარაძე არის ადამიანი, ვისთანაც საუბარი და აზრების გაცვლა შეიძლება. კარგი თანამოსაუბრეა. რა მოსაზრებაც დააფიქსირა, დარწმუნებული ვარ, გულწრფელად დააფიქსირა. არ შეიძლება შენი ბოროტი კომენტარით ვიღაცის თავისუფლება შეზღუდო“







„ცოტნე რეალური ტიპია, პოლიტიკოსების რეალური სახე შევქმენით. ჩემი დამოკიდებულება პოლიტიკოსებისადმი ეწინააღმდეგება ჩემ შემოქმედებით პროცესს, ამიტომ ნუ მალაპარაკებთ კონკრეტულად. ჩემს ტვინში მოხარშული იყო პოლიტიკოსის სახე, თავისი ძირითადი თვისებებით და მას ვთამაშობ“

ყველაფერი დაიწყო ფილმიდან - „ჩემი ცოლის დაქალი კინოში“, სადაც 24 წლის გიორგი მემონტაჟის როლშია. მერე კი სერიალში სათამაშოდ დაურეკეს. ვისაც როლის გადანაწილება ევალება, ჩემგან დიდი ქულა, დიდი ლაიქი. ასე კარგად ეხმიანებოდეს მსახიობის ჰაბიტუსი პერსონაჟის ვინაობას, ნაკლებად ნახავთ ქართულ საპნის ოპერებში. თვითონ კი მიმტკიცა, არ ვარ ცოტნეს მსგავსი პიროვნებაო, მაგრამ მეც გულახდილად ვუთხარი, რომ გარეგნობით ზუსტად ის ტიპაჟია, ვისაც ასახიერებს. თავისუფალი დრო აღარ აქვს. სერიალი და თეატრის რეპეტიციები. ორი წელია მუსკომედიის თეატრის მსახიობია. პარალელურად თამაშობს სხვადასხვა თეატრებში, თავისუფალ თეატრსა და ილიას უნივერსიტეტის თეატრში. ახლა მუსკომედიაში „დორიან გრეის პორტრეტი“ იდგმება. გიორგი ამ რეჟიმით კმაყოფილია.

### ინტრიგების სამყაროში

**გიორგი ბახუტაშვილი:** -ჩინოვნიკების მიმართ მე ჩემი დამოკიდებულება მაქვს. ამაზე საუბარი დაკონკრეტებით არ მინდა, ყველაფერი გმირში ჩავდე და იმედია, მაყურებელი დაინახავს.

**- დასცინი პოლიტიკოსებს.**

- დავცინი? სხვანაირები არიან და ვაშარჟებ? არა მგონია. ცოტნე რეალური ტიპია, პოლიტიკოსების რეალური სახე შევქმენით. ჩემი დამოკიდებულება პოლიტიკოსებისადმი ეწინააღმდეგება ჩემ შემოქმედებით პროცესს, ამიტომ ნუ მალაპარაკებთ კონკრეტულად. ჩემს ტვინში მოხარშული იყო პოლიტიკოსის სახე, თავისი ძირითადი თვისებებით და მას ვთამაშობ. პოლიტიკაში მოსვლის ამბიცია, ლიდერობაში სერიოზულ განაცხადს ნიშნავს. პოლიტიკოსები სხვანაირად ქარიზმატულები და მოწესრიგებულები არიან. ეს ის თვისებებია, აუცილებლად უნდა გააჩნდეს, რომ ერთმა ადამიანმა მაინც დაუჭიროს მხარი. მასებზე არ არის საუბარი. ძალიან საინტერესოა პოლიტიკოსის პირადი ცხოვრების შეთხზვა. პოლიტიკოსი რომ გამოდის, გგონია, პრობლემა არ აქვს. ან შეიძლება აგრესიულობის გამო ისეთი შთაბეჭდილება დატოვოს, გეგონოს პირად ცხოვრებაში აქვს პრობლემებიო. ჩემი გმირი, მიუხედავად იმისა, რომ ტყუილებისა და ინტრიგების სამყაროში მოღვაწეობს, კომფორტულად გრძნობს თავს და თვითონაც ერთ-ერთი ჯაჭვია ამ ყველაფრის, არც პირად ცხოვრებაში იკლებს ინტრიგებს. საინტერესო ტიპაჟია.

„ჩემი გმირი მიუხედავად იმისა, რომ ტყუილებისა და ინტრიგების სამყაროში მოღვაწეობს, კომფორტულად გრძნობს თავს და თვითონაც ერთ-ერთი ჯაჭვია ამ ყველაფრის, არც პირად ცხოვრებაში იკლებს ინტრიგებს. საინტერესო ტიპაჟია“

**- თვითონ დაინტერესებულხარ პოლიტიკოსის პირადი ცხოვრებით?**

- კონკრეტულად არავის პირადი ცხოვრებით არ დავინტერესებულვარ.

**- მირიან ბარათეონივით კონკრეტული პროტოტიპი ცოტნეს არ ჰყავს.**

- არ ჰყავს და ძალიან კარგია, რომ ცოტნეს გმირში ვიღაც კონკრეტული პოლიტიკოსი არ ამოიცნეს. ბევრს აინტერესებს - ვისი პრტოტიპია? გულწრფელად ვამბობ, არ ჰყავს ცოტნეს რეალური პროტოტიპი. ცოტა ხანი მქონდა მოსამზადებლად და შეიძლება ჩემი პირადი თვისებები გადაჰყვა კიდეც.

**- რითი გგავს?**

- საერთოდ არაფრით, სხვადასხვა პოლუსებზე ვართ. შეიძლება ცოტნეს საქმისადმი დამოკიდებულებით ვგავდე. მეც ვგიჟდები ჩემს საქმეზე. შეხედულებების მხრივ თანხვედრაში აბსოლუტურად არ ვართ. ტყუილების და ინტრიგების სამყაროში თავს არაკომფორტულად ვგრძნობ. პოლიტიკა კიდევ ეგ არის, რაც უფრო დამაჯერებლად იტყუები, მით უფრო ქარიზმატული ჩანხარ.

**- აკვირდები პოლიტიკოსებს?**

- არ მინდა ვიღაცაზე დავკონკრეტდე. კონკრეტული პროტოტიპი რომც ჰყავდეს ცოტნეს, არც დავასახელებდი. არ მინდა რომელიმე პოლიტიკოსის რეიტინგზე ან დადებითად ვიმოქმედო, ან უარყოფითად. სხვანაირი ტიპები არიან, სულ რეიტინგზე არიან დამოკიდებული. თავისი რეიტინგი ყველამ ყოველდღე ზეპირად იცის. ჟურნალისტს თუ სურს პოლიტიკოსს ცუდი გაუკეთოს, მას უბრალოდ არ ახსენებს.

**- ცოლთან მიმართებაში რაში ამართლებ შენ გმირს?**

- ასეთი რამ ხდება ცხოვრებაში, აღმოაჩენ, რომ აღარ გიყვარს ადამიანი, ვისთან ერთადაც ცხოვრობ და სხვა ადამიანით ხარ გატაცებული.

**- პოლიტიკოსის ამბიციას და „სხვა განზომილებას“ ხომ არ სდევს თან ამგვარი „არალეგალური სიყვარული“?**

- თუ გულწრფელად გიყვარს და ბოლომდე გახსნილი ხარ, გინდ პოლიტიკოსი იყავი, გინდა ქირურგი, გიყვარს და მორჩა. არ ვიცი, ეს რამდენად არის კავშირში პროფესიასთან. მეორე ნახევრის არჩევის დროსაც, ალბათ, ცოტნემ იმიტომ იქორწინა, რომ როგორც პოლიტიკოსს, უბრალოდ, ცოლი ჰყოლოდა.

**- ანკასთან გულწრფელია?**

- ბევრად კომფორტულად გრძნობს თავს მასთან. რაღაც სხვას ეძებს, ვნახოთ, იპოვის თუ არა.

**- ვფიქრობ, ტიპაჟურად შეეფერები გმირს, სწორად აგარჩიეს.**

- მიხარია, ასე თუ ფიქრობთ.

**- პარლამენტის გარემო დაგეხმარათ როლისთვის?**

- კინო იმით არის მიმზიდველი, რომ თეატრისგან განსხვავებით ყველაფერი რეალურია. სხდომა არ იყო დარბაზში ჩვენ რომ ვილებდით. ვაკვირდებოდი ყველაფერს, სად სხედან, როგორ უყურ-



„შეიძლება ცოტნეს საქმისადმი დამოკიდებულებით ვგავდეთ. მეც ვგიჟდები ჩემს საქმეზე. შეხედულებების მხრივ თანხვედრაში აბსოლუტურად არ ვართ. ტყუილების და ინტრიგების სამყაროში თავს არაკომფორტულად ვგრძნობ. პოლიტიკა კიდევ ეგ არის, რაც უფრო დამაჯერებლად იტყუები, მით უფრო ქარიზმატული ჩანხარ“






© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# კრებითი სახე „ჩემი ცოლის დაქალებში“



ებენ ერთმანეთს, გმირის თვალებით ვუყურებდი, ვაკვირდებოდი. ვცდილობ ახალი რაღაცები ჩავდო, ვცადო. ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის, რომ თვითონ მივიღო სიამოვნება, შემოქმედებითი ჯგუფი იყოს კმაყოფილი, მერე კი მაყურებელი.

**- იცნობ პოლიტიკოსს?**

- არა, არ ვიცნობ, ისე საინტერესოა თვითონ თუ უყურებენ და რა რეაქცია აქვთ. მითხრეს, დებატების სცენას ჰქონია გამოხმაურება. მიწასთან ასწორებენ ერთმანეთს ჩვენი გმირები და გადაცემის მერე მოიკითხავენ და ჩაეხვევიან. რეალურად დებატებს არ დავსწრებივარ, რატომღაც ასე წარმოვიდგინე ყველაფერი და გავაცოცხლე კიდეც. ხალხი გამზადებულ „რეჩს“ ისმენს პოლიტიკოსისგან, იქამდე და მერე რა ხდება პოლიტიკოსის ცხოვრებაში, ამას ჩვენ ვთხზავთ. ეს პროცესი ჩემთვის ძალიან საინტერესოა.

**- კადრს მიღმა შეგემთხვა რაიმე?**

- ლამის ტვინის შერყევა მივიღე გადაღების დროს. ერთი სცენაა, ახალგაღვიძებული გამოვდივარ საძინებლიდან. იმდენჯერ გადავიღეთ ამ სცენის დუბლი, რომ მართლა ახალგაღვიძებულივით ვიყავი. დიდი ხანი ვიფშვნიტე თვალები, მართლა „მაკიმარებდა“, მთელი დღე გამყვა ეგ შეგრძნება. უცებ კედელს მუხლით და თავით მივეჯახე. თვალებიდან ნაპერწკლები გამოვყარე და გამოვფხიზლდი.



**- თინა მახარაძის გმირი ცოტნეს საფლირტაო ობიექტია. იცნობდი თინას მანამდე?**

- მეგობრები არასდროს ვყოფილვართ, მაგრამ გვისაუბრია...

**- მის გარშემო ატეხილი სკანდალი გეცოდინება. რა აზრის ხარ ამასთან დაკავშირებით?**

- თინა მახარაძე არის ადამიანი, ვისთანაც საუბარი და აზრების გაცვლა შეიძლება. კარგი თანამოსაუბრეა. რა მოსაზრებაც დააფიქსირა, დარწმუნებული ვარ, გულწრფელად დააფიქსირა. არ შეიძლება შენი ბოროტი კომენტარით ვიღაცის თავისუფლება შეზღუდო. მე ბევრად მაღიზიანებს არაგულწრფელი გამოსვლები და ნაბიჯები.

**- ფიქრობ, თინა გულწრფელი იყო და ხმაურის გამოსაწვევად არ ულაპარაკია?**

- ჩემი აზრით, გულწრფელი იყო.

**- თვითონაც მსახიობი ხარ და ილაპარაკებ ინტიმურ თემებზე ასე გულწრფელად?**

- მე ჩემს პირადზე და საყვარელ ადამიანზე არ ვსაუბრობ და ამაზე ვილაპარაკებ? ჩემთვის ცხოვრებაში მთავარი შეგრძნებებია.

**- თვლი თუ არა, რომ ის, ვინც ხმამაღლა ლაპარაკობს, გამკეთებელი რეალურად არ არის?**

- ასე არ ვთვლი. არსებობს კატეგორია, რომელიც პირად თემაზე გაუთავებლად ლაპარაკობს და ამ დროს თავს კომფორტულად გრძნობს. მე ასეთ დროს ვერ ვგრძნობ თავს კომფორტულად. ჩემი შეგრძნებები ჩემია და მორჩა, რა საჭიროა ამის გასაჯაროვება. ჩემი შეგრძნება სხვისას ვერ დაემთხვევა, სხვას თავისი აქვს. როდესაც არაგულწრფელი ხარ, ეს მაშინვე ჩანს. ჩვენს პროფესიას სჭირდება გულწრფელობა. თვითონ თუ არ ხარ გულწრფელი, მაყურებელში ვერ გამოიწვევ გულწრფელ ემოციას.

**- პოპულისტი არ ხარ?**

- პოპულარობის გამო არაფერს გავაკეთებ. იმას, რაც ჩემ მორალურ პრინციპებს ეწინააღმდეგება, არც ფულის გამო გავაკეთებ და არც პოპულარობის.



**გიორგი ბახუტაშვილი: „ძალიან კარგია, რომ ცოტნეს გმირში ვიღაც კონკრეტული პოლიტიკოსი არ ამოიცნეს. არ მინდა ვიღაცაზე დავკონკრეტდე. კონკრეტული პროტოტიპი რომც ჰყავდეს ცოტნეს, არც დავასახელებდი. არ მინდა რომელიმე პოლიტიკოსის რეიტინგზე ან დადებითად ვიმოქმედო, ან უარყოფითად“**

**EXCLUSIVE**

**„სამსახურში რომ მიდიხარ და შენი საქმე არ გიყვარს, ძალიან ჰგავს ცოტნეს პირად ცხოვრებას, სახლში მიდიხარ და ცოლი არ გიყვარს. საშინელებაა. ზუსტად ვიცოდი ყველაფერი უნდა გამეკეთებინა საყვარელი საქმისთვის. ჩემი საქმე სიამოვნების ეიფორიაში მამყოფებს. ვგიჟდები ისე მიყვარს...“**



პიროვნული ღირებულებები და პასუხისმგებლობა ბევრად მაღლა დგას ჩემთვის.

**პირადი**

**გიორგი ბახუტაშვილი:** - არ მიყვარს ეს თემა. ძალიან არაკომფორტულად ვგრძნობ თავს, როდესაც თავის პირად ცხოვრებაზე დეტალურად ლაპარაკობენ. შემიძლია ის გითხრათ, რომ რამდენიმე თვეა კარგად და კომფორტულად ვარ. ამაზე ლაპარაკი მეგობრების წრეშიც არ მიყვარს.

**- არ ყოფილხარ ისე შეყვარებული, რომ ქვეყანას ამცნო და იმიტომ.**

- ეგრეც ნუ იტყვით. იმის დროც მოვა, რომ ვილაპარაკო. არც მგონია, რომ ეს ვიღაცას აინტერესებდეს.

**- პოპულარული რომ გახდები, კონკრეტულად მერე ილაპარაკე.**

- მოდი.

**- მას მოსწონს შენი გმირი?**

- კი, ერთად ვმეცადინეობთ ხოლმე, ამ ყველაფერს, ჩემს მსგავსად, შემოქმედებითად უყურებს. კომპლიმენტებს მეუბნება ხოლმე. რომ იცოდეთ, როგორ ვიტანჯები პირადზე საუბრისას, არ დამტანჯავდით.

**შეცვლილი ცხოვრება**

**- სერიალმა შეცვალა შენი ცხოვრება?**

- შეცვალა, აქამდე კინოგამოცდილება ფაქტობრივად არ მქონია. მინდოდა მეცადა. ძალიან კმაყოფილი ვარ და მიხარია, რომ ასე აეწყო ჩემი კარიერა.

**- ცოტნეს მსგავსად ამბიციური არ ხარ?**



- რაღაცნაირად ისე აეწყო ჩემი ცხოვრება, რაც მეკუთვნოდა - შრომას თუ გავწევდი, მიფასდებოდა და საპასუხოს ვიღებდი ხოლმე. მერე მეტი მოთხოვნილება გიჩნდება ხოლმე. ასობით მსახიობი ამთავრებს სამსახიობო ფაკულტეტს და ძალიან რთულია მოხვდე თეატრში, სადაც თითზე ჩამოსათვლელად ხვდებიან. მაგაშიც გამიმართლა. გამიმართლა და მესამე კურსზე ვიყავი, როდესაც დათო დოიაშვილი „ქეთო და კოტეს“ დგამდა ბათუმის თეატრის სცენაზე. ბატონმა კოტე ფურცელაძემ დამიძახა ქორეოგრაფიული სცენის შესასრულებლად. ეს იყო პირველი ურთიერთობა მუსკომედიის თეატრთან და დოისთან. მერე კოტემ ქორეოგრაფიულ დრამა „კარმენში“ დამაკავა. ამასობაში დათო დოიაშვილი „ზაფხულის ღამის სიზმარს“ დგამდა და მანაც მომცა როლი. დღეს უკვე დასში ვარ. გადამწყვეტად მნიშვნელოვანია საქმისადმი შენი მიდგომა და დამოკიდებულება. ეს ის საქმეა, რომელსაც თავგანწირვა სჭირდება. სულ უნდა ამტკიცო, რომ საჭირო ხარ. ამ მხრივ პარალელი არის პოლიტიკოსთან. ჩემს საქმეს ფანატიზმი სჭირდება, ხშირად ისე არ ხდება, როგორც კარგი იქნებოდა რომ მომხდარიყო. ერთადერთი სფერო იყო თეატრი, რაც სიამოვნებას მანიჭებდა, დღემდე ასეა. შეიძლება მთელი ცხოვრება ეძებო შენი თავი და მაინც ვერ იპოვო. სამსახურში რომ მიდიხარ და შენი საქმე არ გიყვარს, ძალიან ჰგავს ცოტნეს პირად ცხოვრებას, სახლში მიდიხარ და ცოლი არ გიყვარს. საშინელებაა. ზუსტად ვიცოდი, რომ ყველაფერი უნდა გამეკეთებინა საყვარელი საქმისთვის. ჩემი საქმე სიამოვნების ეიფორიაში მამყოფებს. ვგიჟდები ისე მიყვარს...










© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

N13 (263) ორშაბათი, 7 აპრილი, 2014 წ.

# PRIME Time

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი

www.ptpress.ge

## ANOUKI - შემოდგომა -ზამთარი 2014.15 სეზონის კოლექცია



„ანუკი მორჩა ბავშვების გაჩენას, ეგ თემა დახურულია“



## ნუცა ბუზალაძე: „ბერა არანაირად არ ჩარეულა ამ ყველაფერში“

exclusive



## ცოტნე ცოტაშვილი და პოლიტიკოსების კრებითი სახე „ჩემი ცოლის დაქალებში“



# SCANDAL



„პატარკაციშვილების ოჯახს! ან თეონა კონტრიძე, ან კართველი - ქართველი!“ მაყურებელი



exclusive

# სკანდალი თეონა კონტრიძის წინააღმდეგ

ISSN 1987-7404



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება